

სამართლებრივი

თ. რაფ. პრისტავის იუზილეს გამო

(1895 წ. № 22 ღვინობისთვის)

თავ. ერთხელ. ცხოვლათ სულს და-
აჩნდების
საშვილიშვილოდ გარდაიცემის.
ნიკ. ბარათაშვილი.

3 37 01 17 17 2 23 36

2 1 10 10 10 10 10 10

გამოცემა
ექვთიმე ივანეს-მე ხელაძისა.

გამოცემა 16
გამოცემა 16
გამოცემა 16

თბილისი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა

1899 წ.



Handwritten signature and date: 1917.6.11

საქართველოს დემოკრატიული

თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამოც

(1895 წ. 22 ღვინობისთვის)

33879
კუჩაბაძის

რაც ერთხელ ცხოვლათ სულს და-
აჩნდების
საშვილიშვილად გარდაიცემის.
ნიკ. ბარათაშვილი.

გამოცემა
ექვთიმე ივანეს-ძე ხელაძისა.



თბილისი
სტამბა ექ. ივ. ხელაძისა
1899 წ.

Дозволено Цензурою 30-го Сентября 1899 года.

რაფიელ ერისთავის

სიოგრაფია და სალიტერატურო მოღვაწეობა

(კვალი № 45)

თავადი რაფიელ ერისთავი დაიბადა 1824 წელს აპრილის პირველს სოფელ ქისტაურში. მამა მისი დავითი იყო ცნობილი და შეძლებული თავადიშვილი. პურადობით და სტუმართ-მოყვარეობით განთქმული იყო მისი ოჯახი მთელ კახეთში. მშვენიერ-ბუნებიანი სოფელი ქისტაური, ნამდვილი ქართული ძველებური ოჯახი დავით ერისთავისა უმზადებდენ დავრდომალ საქართველოს არა ომში გაწაფულ მხედარს, არა დახელოვნებულ სარდალს, არამედ კალმით შეიარაღებულ ჭეშმარიტების მქადაგებელს, გულით და სულით ნამდვილ ქართველს, ერთი სიტყვით იმას, ვინც შეუქმნა მოზარდ ქართველობას მეთერთმეტე დიდებული მცნება „სამშობლო ხევსურისა“... გამდელი უამბობდა პატარა რაფოს ქართულ ზღაპრებს, დედა კნენა ნინო, ავთანდილ ამილახვრის ქალი, ასმენდა ვეფხის ტყაოსანს, უმღერდა ნანას. არა ერთხელ უამბია საყვარელ შვილისთვის გაგონილი, ანუ „ქართლის ცხოვრებიდან“ წაკითხული ქართველთა გმირობა ძველ დროში. ხალხი კიდევ თავის დღეობებით, ანუ ხატობით, ტირილითა და მხიარულებით შეასწავლი-

და პატარა პოეტს იმ უღვეველ საუნჯეს, რომელსაც ჰქვია ერის ინდივიდუალური ცხოვრება, ეროვნული ზნე-ჩვეულებით, ავითა და კარგით გამტკიცებული. ბევრი ჩვენგანი შეჰნატრებს ამ შემთხვევაში მოხუც პოეტს—იგი დაიბადა, აღიზარდა თავისიანებში და მოშორდება ამ უმადურ წუთისოფელს ისევ თავისიანათ. ამას იმ აზრით მოგახსენებთ, რომ ჩვენს უკულმართს დროში ერთი-ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. ერთსა და იმავე ოჯახში მისწრაფებანი, ზნე-ჩვეულება, ხასიათი, ენა, სარწმუნოება და საგანი ცხოვრებისა ხშირათ სულ სხვა-და-სხვაობენ. ამიტომ მოხუც იუბილარს კმაყოფილებით და, თუ გინდათ, ჩვენს წინ თავ-გამოდებითაც შეუძლია პოეტ ვახტანგ ორბელიანთან ერთათ წარმოსთქვას:

„ჩემთვის მამა ჩემს სიმღერის სმა სსკა უმღერია,
„აკვანი ჩემი სსკა ნანახედ დედას ურწია“...

ჩუმი, უწყინარი და ნიჭიერი რაფო ძლიერ უყვარდათ ოჯახში, რომელიც გარდა დედ-მამისა შესდგებოდა შეილებისაგან: რაფიელ, იოსებ, პარბარე (შემდეგში ცნობილი მწერალი ქალი კნ. ბარბარე ჯორჯაძისა) და ანნა (კნენა ჭავჭავაძისა).

შვილის წლისა იქნებოდა რაფო, როდესაც დედამ დააწყებინა ქართული წერა-კითხვა. სამ წელს შემდეგ ერისთვიანთ მიიწვიეს თბილისიდან ქინტაურში რუსული ენის მასწავლებელი გვარათ კრასნოსკულოვი. ამას მიაბარეს რუსული ენის შესასწავლათ რაფო, მისი ბიძაშვილი—კიაზო ერისთავი, დიმიტრი და გიორგი ჯორჯაძეები და სხვა თავადიშვილებიც. ყველა შეგირდები წაჰყვენ კრასნოსკულოვს სოფელ გრემს, საცა ის დაბინავდა. ეს მასწავლებელი ძლიერ მკაცრათ ეკიდებოდა თურმე მოწაფეებს, ისე რომ, დიდ ხანს არ გაუვლია, ყველა მოშორდა რაფიელს გარდა. შემდეგ, როცა კრასნოსკულოვი გადავიდა თელავს საცხოვრებლათ, თან წაიყვანა პატარა თავადი, მაგრამ დიდხანს-კი არ შერჩინია ეს უკანასკნელი მო-

წათე, რადგანაც მამამ შეიყვანა იგი თელავის სამაზრო სასწავლებელში. ასე და ამ გვართ პატარა რაფომ ისწავლა მშვენიერათ ქართული წერა-კითხვა და ცოტა ოდნათ რუსულიც. მამამ, თავადმა დავითმა, მოისურვა ახლა შვილისათვის შეესწავლებინა სამეცნიერო საგნები სამშობლო ენაზე. ამისთვის პატარა რაფიელი, რომელიც იქნებოდა ამ დროს თორმეტის წლისა და მისი ბიძაშვილი კიაზო ერისთავი მიაბარეს ბერებს შუამთის მონასტერში, საცა იმ დროს დიდათ განსწავლულს ბერმონაზონ კიკნაძეს სასწავლებელი ჰქონდა გამართული. იქ ასწავლიდენ ყმაწვილებს სამშობლო ენაზე გრამატიკას, საღვთისმეტყველო საგნებს, ღიალექტიკას, რიტორიკას, საეკლესიო გალობასა და სხვას... ყოველ უქმე დღეებში წირვას შემდეგ ბერმონაზონი კიკნაძე წაიყვანდა ხოლმე ბავშვებს მინდორში და ლექსთა თხზვაში ავარჯიშებდა მათ. აქ პირველათ გამოიჩინა პატარა რაფომ თავისი ნიჭი. აქ შეიძრა მის ნორჩ ბუნებაში ის თესლი, რომელიც დედის ძუძუსთან ერთათ ბუნებამ უწყალობა მას. აქ, ბერებში, შეიგნო აგრეთვე ნორჩმა ყმაწვილმა, რა არის შრომა და მეცადინობა. აქ გამოიჩინა საგანიც მისი ცხოვრებისა.

რადგანაც ამ გვარი სწავლა ცხოვრებაში უსარგებლოთ იყო მიჩნეული მაშინ და ყველგან რუსული ენის მცოდნეს აძლევდენ უპირატესობას, ამისთვის თავადი დავითი ამას შემდეგ შეუდგა ყმაწვილის სახელმწიფო სასწავლებლისათვის საფუძვლიანათ მომზადებასაც. შუამთის მონასტრიდან მამამ გაამგზავრა შვილი ქ. გორს და მიაბარა ხერსონის რაზმის ხაზინადარ კაჩერგინს. ეს კაცი რიგიანი თვისებისა აღმოჩნდა.

კარგათ ექცეოდა ბავშვს და ხეირიანათაც ამზადებდა. ქ. გორში ყველასთან მიღებული იყო ბ. კაჩერგინი და ხშირათ დაჰყავდა პატარა მოწათე პოლკოვნიკ ბირილიოვთან. აი, სწორეთ ამ დროს შეისწავლა კარგათ პროეტმა რუსული ენა. ორ

წელს შემდეგ მამამ გადაიყვანა შვილი ქ. თბილისს და მიაბარა არხანოვის პანსიონში. იმ დროს ორნი ძმანი იყვნენ არხანოვები: ერთს პანსიონი ჰქონდა, მეორე-კი მსწავლებლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელსაც ახლა პირველი გიმნაზია ეწოდება. არხანოვის პანსიონში დაჰყო მან სულ ექვსი თვე და მერე პოეტი მიაბარეს მასწავლებელ შიპულინს, რომელმაც თოთხმეტი წლის რაფიელი დასვა მესამე კლასში, ისე კარგათ იცოდა რუსული ენა, გრამატიკა და სხვა საგნები. შემდეგ მიაბარეს ვალტერის პანსიონში და იქიდან დადიოდა კეთილშობილთა სასწავლებელში. გადავიდა მეოთხე კლასში და ამას შემდეგ ყმაწვილის სწავლაც რიგზე წავიდა. ერთ წელს შემდეგ რაფიელი და იოსები თავადმა დავითმა მიაბარა ირიკ-პუხოვის პანსიონში, რომელიც სოლოლაკზე იმყოფებოდა. აქედან თავადი რაფიელ აღარსად გადუყვანიათ კურსის დასრულებამდე.

1845 წელს დაამთავრა კურსი და მიიღო ატესტატი. თუმცა დიდი სურვილი ჰქონდა ყმაწვილ კაცს მიეღო უმაღლესი განათლება, შარა სხვა-და-სხვა შინაურ საქმეებისა გამო ვერ მიახწია თავის გულითად წადილს და ძალა-უნებურათ ჩაება ლუკმა-პურის ქაპანწყვეტაში.

ცხოვრების ქარიშხალმა ვერ ჩააქრო მის გულში ღვთივანთებული ლამპარი, ბუნება—მღელვარე სიყმაწვილემ ვერ შებოჭა, ვერ დაიმორჩილა იგი, ახალ მოდის სიომ, რომელიც იწვევდა იმ დროს ყოველ ყმაწვილ კაცს განცხრომით და ფუფუნებით ცხოვრებისკენ, ვერ სძლია მონასტრის ზღუდეთა შორის გაფოლადებული და განმტკიცებული მისი ბუნება, ვერ აახვეინა გზა, ვერ მოაშორა თავის სატრფიალო საგანს—„სამშობლოს“. იგი კანცელარისტობდა, როგორც ღარიბი კაცი, ცხოვრების სახსრისთვის მომუშავე, თითონ-კი მთელი თავისი არსებით, სულით და გულით შორს იყო ჰაერ-მოშხამულ კანცელა-

რიაზე, სხვას ეკუთვნოდა, დასტრფილობდა, თავს ევლებოდა სა-
შობლოს ყოველ კუთხეს და ამ კუთხეების მცხოვრებთა დარ-
დით—დარდობდა, ლხინით—ლხინობდა.

მრავალ გვარია მოღვაწეობა იუბილარისა ამ ნახევარ სა-
უკუნის განმავლობაში. სრული ბიოგრაფია და დაფასება მისი
რთული სალიტერატურო მოღვაწეობისა, მასალის უქონლობი-
სა გამო, შეუძლებლათ მიგვაჩნია ამ ჟამათ. ჩვენ აქ მოკლეთ
ვეცდებით, შეძლებისადაგვარათ, გავაცნოთ მკითხველებს ჩვენი
თავადი რაფიელი დავითის ძე ერისთავი, როგორც პოეტი-ლი-
რიკი, როგორც ეროტიული პოეტი, როგორც იგავ-არაკების
მთარგმნელი და დამწერი, როგორც დრამატურგი და ბო-
ლოს ლექსიკოლოგი. ჩვენ არ შევებებით ამ ჟამათ მის სახელ-
მწიფო სამსახურში მოღვაწეობას: ამის შესახებ ორ წელს შემ-
დეგ მოილაპარაკებენ რუსის გაზეთები, რადგანაც მაშინ უს-
რულდება ამ მოღვაწეობას ორმოც-და-ათი წელი.

როგორ ესმის თავად რაფიელს დანიშნულება პოეტისა?—
ამაზე შევნიერათ მოგვეთხრობს იგი ერთ თავის ლექსში— „უც-
ნაური მექიანურე“, რომელიც

ჭიანურს გაჭკრავს ძუსას,
როცა ეწიკვბ დაწდა,
ან როცა ლხინობს მიყვრასას
და გულს უყვავის კაწდა!..

აჭა, პოეტო, სურათი
შენის სულისა, გულისა!
ცრემლიც ასეა მჩქეფარე
ღმობისა სისარულისა...

თავად რაფიელს თავის ხანგრძლივ მოღვაწეობაში ერთხე-
ლაც არ გადუხვევია ამ გზისთვის. პოეტი გოგებთან, ბერუ-
ებთან, სესიებთან, თანდილებთან, თინიებთან და სხვა მათ მო-

ძმეებთან ერთათ დარდობს, ერთათ ღიხინობს, ერთათ მოსთქვამს და ჭირ-ბოროტობს!..

მისი ლექსები ნამდვილი ხალხურია. ჰკითხულობთ ამ ლექსებს და ჰკვირობთ, როგორ შეისწავლა ავტორმა ასე დანამდვილებით საზოგადოთ ქართველ გლეხთა ცხოვრება, მათი ხასიათი, ზნე-ჩვეულება, ბედი და უბედობა. ყოველ სტრიქონში თითქო ხედავთ იმ პირებს, რომლებიც შესახებაც ასე პოეტურათ გეგბასებათ ხელოვანი ავტორი. აგერ, დასტკბით „თინიას მამითადით“! როგორი თანაგრძნობით, მარტივათ მოგვეთხრობს მასში ავტორი ხან თინიას გასაჭირს:

ქკრივ-ოხერს, ბეჩავს თინიას ჭყავს ერთად ერთი შეიღია,
ზაწია წვითა და დაგვით, გაებით გამოზდიღია.
დღის მეხრე იყო, მოუხნეს ერთი დღის მიწა ნაოში,
მაგრამ სათესლე გაჭირდა.— არ გახლდათ საკუჭნაოში!..

ხან თითქო გაბედნიერებულ თინიასთან ავტორიც გამოუთქმელ სიხარულს ეძლევა:

დილა აღრიან მოადგნენ კარზედ რჩეული ბიჭები,
„ჭოლაშუმითი“, კიყინით მოედგნენ ქკრივის ყანასა,—
არ შეკსკედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!..

როგორი გულ-უხვობით უმასპინძლდება მუშებს მათგან დავალებული ქკრივ-ოხერი დედაკაცი და ყოველსავე ამას რა თანაგრძნობით გადმოგვეცემს ხელოვანი ავტორი:

თინა მასპინძლობს გულ-უხვად, მოუტანია მჭადები,
მაწონი, ორი დედადი მუშისთვის დანამზადები...

ცოტა არ იყო, რცხვენინან,—ღვინო არ აქვს საწყაღსა,
მაგრამ ზედი-ზედ უზიდავს მამითადს წყაროს ციეს წყაღსა...

რა შეგნიერება რამ არის ლექსი „თანდილას დარდი“, რომელშიაც გლეხი თანდილა უჭირისუფლებს თავის მარჩენელ ხარს— „გიშერას“:

რელათი მოკხნა ნაწრეტი, რით ავიცილო შიმშილი,

რძლათ ზაკუძლვე ქვეყანას, რძლათ კასრინო ცოლ-შვილი?..
შენი ჭირძივე, ვიშეკაკ!.. ჭირძივე შენი ქედისა!..

როგორი გულსაკლავი აკორდით ათავებინებს ავტორი თანდღლას:

რას გუგო შენს ცალს ირძასა, კერძო მოკივარე თიგითა,
დაწბის თკალ დაფეთებულღი, ყვირის სარ ირქივივითა...

ყოველ მუსიკალურ ნამოქმედარში ინტროდუქციას, ანუ
ოპერაში უვერტიურს შემდეგ იწყება ტემა, რომელსაც მოჰყვება
ხოლოვე ვარიაციები. ვარიაციები იგივე ტემაა მხოლოთ სხვა რი-
გათ გამოთქმული. თ. რაფიელ ერისთავის ყველა საღირიკო
ნამოქმედარის ტემა, ანუ დედა-ძარღვი პოეზიისა არის „სესიას
ფიქრები“. დანარჩენი ამ გვარი ლექსები კი ამ ფიქრების დედა-
აზრით გამოწვეული ხელის-ხელ საგოგმანებელი ვარიაციებია.
მართლაც-და როგორი გულიდან აღმონაქაფე ჭირვარმით შემო-
გვირვის „ბეჩავი, გლენხათ შობილი, სესია, რომლის დედ-მამა
და და ძმობილი მიწა“:

მიწის ზატრონიც მე მიწვნის, ჯინჯიკლაც კემი მტერია,
მოსკლე, მღკდეღი და კრი—ყველაც მე შემომცქერია..

ნეტავი გამკებინა: რადის-ლაც მომსკენებენ?

კერძო შეკესწრები, მკონია, მინამ არ წამასკენებენ!..

„ტეტეას მოთქმა“, „ბერუას ჩივილი“, „შიმშილი“, „ბერუ-
ას ჩაფიქრება“, „დემეტრეს ჩივილი“ სხვა რალა არის თუ არა
იგივე „სესიას ფიქრები“, ხოლო სხვა რიგათ გამოთქმულები.
ვარიაცია მაშინ არის მოსაწონი მუსიკალურ ნამოქმედარში,
როდესაც იგი ტემის დედა აზრს არ გადასცილებია, მაგრამ ადა-
მიანის ყურს კი ისე აღხენს, ისე მოესმის, თითქო სრულიათ
სხვა რამ ახალი არისო:

ნეტა რას წყალში ჩაკარდე, რით გამოკვეებო ცოლ-შვილი?
ო დისაქცეკმა სეტყვამაც კარს მომსყენა შიმშილი!..

.....

ყველა მე ჩამომეკიდა: მამასახლისი, გზირია...
როგორ არ ვსთქვა ბეჩაგმა, მეც ჩემი გასაჭარია!.

.

გეო, გაჭარი ჩემს სახლში ნაკარდობს, როგორც ქონია,
გზირიც არყისგან გამტყუარაღი გოჩაობს, როგორც ღორია.

რომელი ერთი ამოგიწეროთ. ყოველი ამგვარ ლექსების
სტრიქონი ფას დაუდებელი მარგალიტია, ამ ლექსებში თვალ წინ
იშლება ჩვენთვის, მკითხველო, უცნობი ზღვა ცხოვრებისა,
საცა ყველა თანამცხოვრებთ აქვთ თავისებური საზრუნავი, ჭირ-
ვარამი, სიხარული, მისწრაფებანი და იმედები. ნუ გგონიათ,
რომ ქონიან ტყაბუჭებში და ქალამან-მჩვრებში განხვეულ გო-
გიებს, სესიებს და სხვებს სულიც დაბალი, ლაჩარი, დავრდო-
მილი და წაპილწული ჰქონდეთ. ამის შესახებაც მოუსმინეთ
დიდებულ „თავად—გლებ“ პოეტს:

კერპია თედა, კერპია,
გაუტეხელის გულისა,
მუშა კი არის მშრომელი,
მეჭონი დიდის სულისა.
ეს სიღარბეს არ უთრთის,
მაჯის იმედით სრულა;
ებრძვის შავს მიწას დღითი-დღე,
ჯაფისგან მოქანტულია.
სხვისა არ უნდა თედოსა,
მომეს არ შეეცდიება.
ცის რისხვას, ბატონის წერომას
ქედ-მოხდით ემოჩნილება...

პოეტი ყოველთვის საუკუნის შვილია. მაშასადამე, ბევ-
რიც რომ მოესურვა, თავადი რაფიელი ვერ აუხვევდა გზას
იმ კითხვებს, რა კითხვებიც წამოუყენებია ცხოვრებაში. თვით
საუკუნეს. საქართველოს ბევრი სადარდებელი ჰქონდა და

აქვს. უმთავრესი ჭირ-ვარამი ქართველობისა, როგორც დღეს, ის იყო, რომ მის სამშობლო ენას ფრთა ეკვეცებოდა უფარ-ჯიშობისა და სხვა-და-სხვა გარემოებათა წყალობით. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენათ უფრო და უფრო იდგნებოდა ყოველგან ჩვენი სამშობლო ენა და თვით საქართველოს შვილნი გულ-გრილათ დაადგნენ გადაგვარების გზას.

ამ დროს ვერ მოითმინა პოეტის მგრძნობიარე და მღელვარე გულმა, გრიგალათ მოასმინა საქართველოს შვილთ თავის ლექსები: „დედა ენა“, „სამშობლო ხევსურისა“ და ბოლოს იჭეჭა ლექსით „კაცი ის არის“. ყველაზედ უკეთესი ამ ლექსებში არის „სამშობლო ხევსურისა“. იგი სამუდამოდ დაუბრუნებია მოზარდ ქართველობას მეთერთმეტე მცნებათ. სხვა რომ არა დაეწერა რა პოეტს ამ ლექს გარდა, მაინც საუკუნოთ სახსენებელი ეყოლებოდა იგი ქართველობას და მაინც საპატიო ადგილს დაიჭერდა მოხუცი პოეტი ჩვენს მოღვაწეთა პანთეონში.

ამ ლექსის ^{მსჯეტი} გვარი მე არა შემხვედრია-რა უცხო ლიტერატურაში. მართალია, მაგ. რუსულ ლიტერატურაში პუშკინს აქვს ლექსი: „**Опять на родинѣ**“ და სხვა, მაგრამ ძალიან შორი-შორს არიან ერთი-ერთმანეთზე. პუშკინი ვერ შეჰქმნიდა ამ გვარ ლექსს, იმიტომ რომ მას აკლდა ის სულის მოუსვენრობა, ის ენტუზიაზმი, რომელიც საკუთრებაა მარტო დავრდომილი, დამონავებული ერის შვილისა.

პოეტს უწერია ისეთი საარშიყო ლექსებიც, რომელთაც ერთი მხრით აქვთ ავტობიოგრაფიული მნიშვნელობა. იქ ლექსებში იგი თავისი მრავალ გზის ტანჯვით და უბედობით გამოწვეულ ცრემლებს ჰგერის ყოველ მკითხველს.

შეხედეთ, ოც-და-ათი წლის პოეტი, ჯანითა და სიცოცხლით საესე ყვაწვილი კაცი, რას ნატრობს, როდესაც მოა-შორეს მას სულის მეფა:

მესისხლობა, შუნი, მტრობა ამისთანა ჩრის განა?
სულის მეფას მომპოროს, გუფსა დამცეს მჭრელი დანა,
არ დაწვეკელი, კანტეს მიქნა, შემდეგ სელი გადიბანა,
მსოფოდ ვანტობ: მასცა შესკდეს დღე და ბედი ხემისთანა.

ეს პირველი აღგზნებული სიყვარული გაუცრუედა პოეტს და თითქოს თავის თავათ გადასწყეიტა კიდევ უცოლო დარჩენილიყო. გავიდა დრო და ჟამი, 1857 წელს დაინიშნა ზუგდიდის ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლათ. ამ დროს ოც-და-თოთხმეტ წელს მიხწეული პოეტი, დადარბაისლებული შფოთავს, უფიქრდება თავის მარტოობას:

რამ მომიღრუბლა ბედი წყეული?..

შავნი სეკდანი გუფს მსწკებინა—

რათა ვარ მარტო, რაგორც ეული?..

გავიდა კარგა ხანი და გაეცნო სამეგრელოში თავად ერისთავის ასულს, შეენიერებით, სწავლა-განათლებით და სათნოებით აღსავეს თეოდოსიას. ამ დროს უცნაურათ ატოკდა, თითქო შევებითაც მოიხედა პოეტის დაჭრილმა გულმა, ერთი გზით თითქო დაივიწყა კიდევ თავისი უკურნებელი წარსული, მაგრამ რა ემართება ამ დროს უბედურ პოეტს... იგი იცრემლება, იმდულრება, ეჭვი ეღვასავით ურბენს თავში, არ ჰჯერა, რომ სრულიად ნორჩი, შეენიერებით შემკული თეოდოსია იკადრებდა ხანში შესულ მოტრფიალის თანაგრძნობას. ის კი არ იცოდა სიყვარულით აღგზნებულმა პოეტმა, რომ სახე მისი ამ „ქალთა მეფა“-საც ჩასჭროდა გულში და რომ თეოდოსია არათ აგდებდა თავის მოტრფიალის ხანში შესულობას. პოეტი გულახდით უძღინის მას ლექსს, რომელსაც ასეთი საცაური აქვს— „წრეს გადასული წრეში შემოსულს“:

ფიქრმა და დარდმა სულ დამადუნა,

ადრე დამაჭკნო, დამამაბუნა;

ორმოც-და-ათმა წელმა გამდუნა,

ვისერში მაგრა ჩამიკაკუნა!
რად შემიყვარებ? განა არ ვიცი,
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე-კი მოხუცი...
შენ გაგაწითლებს თუნდა სიწმინდაში,
ვისაც არ უჩანს ჭადაჩა თმაში,
შენ აჯყურყოლებს თუნდა ყინვაში
ამწვანებულ ახლად ულვაში!..

მაგრამ წინანდელი გულის ჭრილობა მაინც ვერ გაიმთე-
ლა ვერაუროთ პოეტმა. შემდეგშიაც აგონდებოდა ხშირათ თა-
ვისი გატაცებული სიყვარულის საგანი. ლექსში „ვარსკვლავს“,
როდესაც პოეტი მდულარებით შეჭყურებს ლაქვარდოვან ცაზე
მდიდრულათ გადმობრწყინებულ ვარსკვლავს, უნებლიეთ ცრემლ-
მორეულს აგონდება წარსული თავისა საამქვეყნიო ვარსკვლა-
ვი, რომელიც მას ისე უღვთოთ მოაშორეს.

მოგონებამ განმიახლდა ჭრილობანი, ძველნი წყლულნი!

მაგრამ ის ბედი, იმედი მომტაცა სკედრმა უწყალოთ...

აი, კიდევ შემდეგში რას გვეუბნება პოეტი გადაჭრიო:

მანამ მზის სსივი არ დახნულდება,
მანამ ქვეყანა არ დახნულდება,
შავსა უფსკრულში არ დაინთქმება,
აჩა არსებათ არ ჩაითკლება, —
მანამდის, სწორეთ, ვერ დაგვიწიებ...
ზეტასაც შენით ცხოვრებას ვაწიებ!..

ჩვენი პოეტები კარგა ხანია, შეუდგნენ კრილოვისა და სხვე-
ბის იგავ-არაკების გადმოთარგმნას და გადმოქართულებას. მაგ.
ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ალექსანდრე ორბელიანმა, გრიგოლ
ორბელიანმა და სხვებმა მოგვეცეს რამდენიმე ნიმუში იგავ-არა-
კების გადმოღებისა. მაგრამ მათი წადილი ისევ წადილათ დარ-
ჩა, რადგანაც არც ენა უფარგოდათ ამ გვარ ნაწარმოებთა გად-

მოღებინათვის და ვერც ხეირიანათ გადმოაქართულეს მათი შინაარსი. 1876 წელს დაისტამბა ქ. თბილისში თავად მიხეილ არ. ბებუთოვის გადმოთარგმნილი „არაკები კრილოვისა“. ეს შრომა ბებუთოვისა უნდა ჩაითვალოს კრილოვის მასხარათ აღდებათ, რადგანაც ამ ნაშრომში თითქმის ყოველივე იგავი კრილოვისა წმინდათ დამახინჯებულია. ოთხმოც-და-ერთში პირველათ ელირსა ქართველ მკითხველ საწოგადღობას დამტკბარიყო პაპა კრილოვის რჩეულ იგავებით სამშობლო ენაზე რაფიელის მეოხებით.

თავადი რაფიელი ჩინებული მთარგმნელია აგრეთვე ზოგიერთ რუსი პოეტებრსა: პუშკინისა, ლომლის „ძუნწი რაინდი“ სანაქებოთ აქეს გადმოთარგმნილი ქართულათ. აგრეთვე უთარგმნია თხზულებანი: ოგარიოვისა, მიცკევიჩისა, ლერმონტოვისა, გრეკოვისა, ტიუტჩევისა და სხვებისა.

იუბილარს ის ღვაწლიც მიუძღვის, რომ თავის ხალხურ ლექსებში ბევრი ნამდვილი გლეხური სიტყვები და გამოთქმანი დააკანონა და სალიტერატურო ენას მიაღებინა. თავადი რაფიელი თერთმეტი სხვა-და-სხვა წყობილებით გვიწერს თავის ლექსებს. აი, ზოგიერთი სხვა-და-სხვი წყობილების მაგალითები:

1) არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

2) უწყალო ხვედრმა, შაკმა ბედმა თავს გადმიარა,
დამცინა მწარეთ, ამიშალა ძველი იარა!..

3) ენით ვცოცხალეარ, მით მიუკარს ლხენა,
მიუკარს სამშობლო მე ტუბილი ენა!

4) ქართლსა ვიხილე ქალთა მეფაი: ტურფა დიანა,
კეკლური, ნაზი, ბადრი და ნორჩი, კეთილხმიანა...

5) რა ვარსკვლავი რა ვარსკვლავზედ ჩვენ დაგვებადაო,
დედამ ღმრთისამ მოწყალებით ჩვენ გადმოგვებადაო,

კაჟი მოგვცა, მით გვიწვიმა წიღამ მანანაო,
იაგ-ნანა, კარდო-ნანა, იაგ-ნანინაო!..

6) ბიჭო, ჰური შემოსულა, ღელავს, ბზინავს რქროს ფერად,
უფლის თვალი შიგ ტრიალებს, — მოდით, ნახეთ, თუ არ გვკვრათ!..

7) ღმერთმა მოგვცეს, რაც შენ გინდა,
რაც შენ გიჯობს, მოგვცეს ბედმა...

8) მითხრეს სტირისო, რას სტირი,
რამ აგიდულა გულია?
რას სტირი, გოგოკ ბეჩაკო,
რათა გდის ნაკადულია?.. და სხვები.

საჭიროა აგრეთვე გავიხსენოთ, რომ თავად რაფიელმა სანაქებოთ გაგვიღექსა ამბავი ასპინძის ომისა, რომელიც შეადგენს უდიდებულეს წამს ჩვენი ისტორიისას. ამასთანავე დიდებულიმა პოეტმა და დაუცხრომელმა მუშაკმა დიდი ღვაწლი დასდვა ჩვენს თეატრსაც. მინ დაწერა რამდენიმე პიესა: „ბიძიასთან გამონუმრება“, „ადოკატები“, „ჯერ დაიწოცნენ, მერე დაქოწილდნენ“, „მბრუნავი სტოლები“ (მგონი, 1868 წელს ცისკარშია დასტამბული), „პარიკმახერისას“ და სხვა... ზოგიერთი ამ პიესათაგანი რუსულიდან არის შეუღარებლათ გადმოქართულიებული და აქამდე ჩვენი თეატრის რეპერტუარში საუკეთესო პიესებათ ითვლება.

მოხუცმა პოეტმა არა ნაკლები მოღვაწეობა გაუწია ქართველობას როგორც ლექსიკოლოგმა. მან 1884 წელს დასტამბა ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“.

დიდება ძლევა-მოსილ მოხუცს, ამოდენა შრომის ამტანს, დიდება „თვად-გლებ“ პოეტს, რომელმაც ასე კარგათ გაგვაცნო და შეგვაყვარა გულ-უბრყვილო ჩვენი მოძმე გლებობა და მით მჭიდროთ დაგვაკავშირა მათთან სულიერათ.

I.

(მოკლე საბიოგრაფიო ცნობა)

ჩვენი მოხუცი პოეტი თავადი რაფიელ დავითის ძე ერისთავი დაიბადა 1824 წლის 9 აპრილს ქართლის სოფ. ქალაში და მონათლულია შემდეგი წლის პირველ აპრილს. მისი განსვენებული ღედა იყო თავად ავთანდილ ამილახვრის ასული ნინო, ხოლო მამა თელავის მაზრის სოფელ ქისტაურის ცნობილი მეზატონე თავადი დავით რაფიელის ძე ერისთავი. თავ. რაფიელი პირველი შვილი იყო თავისი მშობლებისა და ამიტომ პაპის სახელი უწოდეს. ჩვენს მხცოვან პოეტს ყმაწვილობიდანვე კარგათ აქვს გაცნობილი საქარაველო, რადგან ხშირათ გადადიოდნენ მისი მშობლები კახეთიდან ქართლს და ქართლიდან კახეთს და შვილიც თან დაჰყავდათ. შვიდიდან ცხრა წლამდე, ვიდრე მას მშობლები ქ. ტფილისში გადმოიყვანდნენ, იგი მიაბარეს შიომღვიმის მონასტრის ცნობილ ბერს მ. კიკნაძეს*), რომელიც, როგორც თვით პოეტისაგან გაგვიგონია, ზეპირათ ასწავლიდა ყველაფერს, მინდორში გაიყვანდა ხოლმე ბავშვებს და ლექსებს ათქმევინებდა ყვავილებზე; ეს ბერი თურმე ძალიან სწავლული ყოფილა და მზის საათიც გაუმართავს. ამავე დროს, 1833 წლამდე, რაფიელი რუსულსა სწავლობდა გორში იქაურ რაზმის ხაზინადარ ნ. კოჩერგინთან და ხშირათ დადიოდა პოლკოვნიკ ბირილიოვის სახლში, სადაც საღამოები და ბალები იმართებოდა და საუკეთესო საზოგადოება ესწრებოდა.

1833 წ. თავადი რაფიელი ტფილისში გადმოვიდა და შევიდა მაშინდელ კეთილშობილთა სასწავლებლის (აწინდელი პირველი კლასიკური გიმნაზია) მესამე კლასში, ხოლო ცხოვრებით-

*) ამ ბერის შესახებ იხილე თავ. გ. ერისთავის თხზულებაში ბ-ნი იონა მეუნარგიას წინასიტყვაობა.

კი ჯერ სიტყვიერების მასწავლებელ შიპულინთან სცხოვრებდა და შემდეგ არხანოვის პანსიონში. გადავიდა თუ არა ჭაბუკი თ. ერისთავი მეოთხე კლასში, ვალტერის საგიმნაზიო პანსიონში შევიდა, სადაც შეგირდები ბინადრობდნენ, ამათში რეულმა მაშინ ერთი ინდოელიც-კი გვარათ სულტანი, რომელიც შემდეგში ინგლისის ელჩათ ყოფილა ინდოეთსა და რუსეთში, 1837 წ. კავკასიაში რომ ჩამობძანდა რუსეთის ხელმწიფე ნიკოლოზ პავლეს ძე, ბ-ნ ვალტერის პანსიონიც დაუთვალიერებია და დიდად მოსწონებია. ამას შემდეგ თავ. რაფიელი გადავიდა ბ-ნ ირიცკუხიჯოვის პანსიონში და აქედან დადიოდა გიმნაზიის მეხუთე კლასში; ეს პანსიონი აღარ დაუტოვებია სწავლის დამთავრებამდე. ახლათ სწავლა-დამთავრებულ ჭაბუკს, სავსეს სწავლისა და უმაღლესი განათლების მიღების წყურვილით, თვალების ტკივილი აუჩნდა და იძულებული გახდა უნივერსიტეტში შესვლის ზრისათვის თავი დაენებებია.

33879

სწავლის დამთავრებას შემდეგ თ. რაფიელი ხან სოფლათ სცხოვრებდა და ხან ქალაქში 1845—46 წლამდე, როდესაც იგი მამამ სამსახურში მისცა. ჯერ იგი შევიდა თარჯიმანათ „თუშფშავ-ხევსურეთის ოლქის სამმარჯველოში“ და ამ თანამდებობაში 1½ წელიწადს დაჰყო. ამავე ხანებში მან დაიწყო ლექსების წერაც. პირველი ლექსი, ჩვენი მოხუცი პოეტის მიერ დაწერილი, „დარიგება“ და ეკუთვნის 1844 წ. ჩამოვიდა თუ არა პოეტი ტფილისში, ის შევიდა კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიაში უბრალო მოხელეთ და თავად ვ. ი. ბებუთოვის ხელ-ქვეით ორ წელიწადს „სტოლის უფროსის“ თანაშემწეთ იყო. აქედან გადაიყვანეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თ. ივანე მუხრან-ბატონის საგანგებო მინდობილებათა უფროს მოხელეთ. თავად ივანე მუხრან-ბატონის შემდეგ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორათ დანიშნულ იქნა გენერალი ნ. პ. კოლუბიაკინი, რომელმაც ყურადღება მიაქცია

ნიჭიერ ახალგაზდა საგანგებო მინდობილებათა მოხელეს და დანიშნა იგი ზუგდიდის მაზრის უფროსათ. ამ დროიდან 1866 წლამდე თავ. რაფიელი რამდენსამე თანამდებობაზე იქმნა განწესებული; მაგ., იგი იყო სამეგრელოს მმართველობის საბჭოს წევრათ, ამასთან ერთათ სამეგრელოს თავად-აზნაურობის უფლებათა გამსინჯველ კომისიაში მთავრობის მოხელეთ, შემდეგ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის საბჭოს წევრათ და სხ. ამ ხანებში, 1863 წლის 21 იანვარს, პოეტმა შეირთო გურჯაანს ქალი დავით ერისთავის ასული თეოდოსია, რომელთანაც ხუთი ქალიშვილი მიეცა და რომელიც 1891 წლის 4 დეკემბერს გარდაიცვალა. ხუთ ქალიშვილს შორის პოეტს ოთხი-ღაჰყავს ამ ჟამათ. მეორე ქალი ნინო, რომელიც იაკიმოვს ჰყავდა მეუღლეთ, გადაიცვალა.

დაიწყო ახალი ხანა მესამოცე წლებისა, ახალმა სიომ დაჰბერა, დაიწყეს ჩვენში ახლის სასამართლოების დაწესება და თავ. რაფიელ ერისთავი დანიშნა ქ. ქუთაისის მომრიგებელ-მოსამართლეთ. ამ თანამდებობას იგი ასრულებდა 1870 წლამდე, ამ წელს-კი თავი დაანება სამსახურს, რადგან რაჭის მაზრაში დაუპირეს გადაყვანა: ამას შემდეგ პოეტი ტფილისში დაბრუნდა და ვექილობდა 1881 წლამდე, როდესაც, ვექილობასაც თავი დაანება და უფრო მაგრათ მოსჭიდა ხელი ლიტერატურულ შრომას, რომლისათვისაც პოეტს, რასაკვირველია, არასოდეს არ დაუბნებებია თავი, არც წინათ, რადესაც ათას გვარ რთულ თანამდებობას ასრულებდა, და არც ამ ჟამათ, თუმცა, სამწუხაროთ, ამ ბოლო დროს ჩვენი საყვარელი პოეტისა აღარა იბეჭდებარა ჟურნალ-გაზეთებში. რვა წელიწადს თავისუფლათ, უსამსახუროთ, ატარებდა პოეტო; მაგრამ ბედმა კვლავ სახელმწიფო სამსახურში შესვლა არგუნა: 1889 წელს იგი დანიშნულ იქმნა ქართული ენის ცენზორათ.

რაც შეეხება თავ. რაფიელის ლიტერატურულ მოღვაწე-

ობას, იგი ფრიად ვრცელია და ყველასათვის ცხადი და, რასაც კვირველია, აქ მისი აღნუსხვა მეტია. თითქმის არც ერთი დარგი ხელოვნებისა არ დაუტოვებია ჩვენს მხცოვან პოეტს, რომ თავისი წვლილი არ შეეტანა და რითიმე არ გაემდიდრებია. მისი ლექსების კრებული, როგორც ვუწყით, შარშან გამოსცა მეორეთ ქართველთა ამხანაგობამ. ლექსებს გარდა პოეტს ბევრი აქვს დაწერილი სცენები, მოთხრობები, დრამატული ნაწარმოებნი, პუბლიცისტური წერილები და სხვ. ჯერ მარტო დრამატული ნაწარმოები თორმეტამდე აქვს დაწერილი ჩვენ პოეტს. გავიხსენოთ მხოლოდ ზოგიერთი: „ადვოკატები“, „ბრილიანტი“, „იქვიანი“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, „სადილი მარშლისას“, „ბიძიასთან გამოხუმრება“, „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელ ხარს თან გაიტანს“, „სკოლის მასწავლებელი“, „ბამბის თოფის წამალი“ და სხვ.

ქართულ ენაზე არც ერთი ჟურნალი და გაზეთი არ დაბეჭდილა, რომ თავ. რაფიელ ერისთავი არ ყოფილიყო მის თავ-მოსაწონებელ და ნიჭიერ თანამშრომელათ და თავისი კალმის ნაწარმოებით არ გაემშვენირებია მისი ფურცლები. 1884 წ. დაიბეჭდა ორი დიდი შრომა თავ. რაფ. ერისთავისა: ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა სულხან-ორბელიანისაგან, თავ. რაფიელის რედაქტორობითა და ალექსანდრე ეპისკოპოსის ხარჯით დაბეჭდილი, და მის მიერ შედგენილი ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან, ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასითვე დასტამბული.

ამას გარდა, თავადი რაფიელი რუსულ ენაზედაც სწერდა გაზ. „კავკაზში“ ფელეტონებს, მოთხრობებს და წერილებს. იმერეთიდან მისმა წერილმა, ამ გაზეთში დაბეჭდილმა, თუშეთში ფშავ-ხევსურთა შესახებ საზოგადო ყურადღება მიიქცია და მეცნიერებსაც-კი დიდი მასალა მისცა. იქვე დაბეჭდილია თავად

შარშან

რაფიელის მოთხრობა რუსულ ენაზე „Оборванецъ“-ი. ამ ჟამდაც, როდესაც, როგორც ვთქვით, პოეტის შესახებ ლიტერატურაში არა ისმის-რა, იგი ასრულებს სამს დიდ შრომას, რომელიც დიდი ხანია დაწყებული აქვს—ორი დიდი წერილია რუსულ ენაზე სვანეთისა და სამეგრელოს შესახებ და ერთიც ქართულ-რუსული ლექსიკონია. მოიცლის თუ არა ხოლმე დიდათ პატივცემული, უკვე ხანში შესული პოეტი თავის სამსახურისაგან, მაშინვე ლიტერატურას მიჰყოფს ხელს და წერს ლექსებსაც, რომელთაც არა ჰბეჭდავს-კი. რაც შეეხება სამსახურში წარჩინებას, თავად რაფიელს ეხლა „სტატსკი სოვეტნიკის“ ხარისხი აქვს.

რალა თქმა უნდა, არც ერთი მოღვაწეობა პოეტისა არ შეედრება მის ლექსებს, რომელსაც ზედ ატყვია ღვთის მადლი და რომლითაც იგი სწორეთ თავ-მოსაწონებელი და სათაყვანებელია სამშობლო ერის მიერ. ვერ წარმოგვიდგენია მთელ საქართველოში ისეთი ქართველი, რომ ამ მხრივ თავ. რაფიელის სახელი არ გაეგონოს და სიამოვნება არ ეგრძნოს მისი ლექსების წაკითხვის ღროს, ის სიამოვნება, რომელსაც მხოლოდ ჭეშმარიტი, ზეგარდმო მადლით აღბეჭდილი პოეზია აგრძნობინებს ადამიანს. ერის გულში ღრმად ჩაიხედა რაფიელმა და იქიდან ამოალაგა ძვირფასი მარგალიტები პოეზიისა, ის ხელის-ხელ საგოგმანებელი ლექსნი, რომელთა შექმნამაც უკვდავ-ჰყო მისი სახელი და რასთვისაც მთელმა ერმა სიცოცხლეშივე საერთო მოწადინებითა და სურვილით დადაფნა საყვარელი მამულიშვილი.

ღიად, ამიერიდან თავ. რაფიელის სახელი უკვდავია ერის გულში და უკვდავადაც დარჩება, ვიდრე ქართველი ერი არსებობს დედამიწის ზურგზე; ძნელათ რომ ქართველის სახელი დაერქმეოდეს და ქართველის სული და გული ედგას იმ ადამიანს, რომელიც თ. რაფიელის ლექსებით არ აღიზრდება და ბავშვობაშივე აღტაცებას არ იგრძნობს მისი ლექსების „აღდ-

გომას“, „ბზობას“ და სხვათა წაკითხვის დროს. ამ გვარ ლექსებით უკვდავ-ჰყო პოეტმა თავისი სახელი.

ა. ახნაზაროვი.

„ივერიის მეთაური“

დღეს ქართველ ერს დღესასწაული აქვს! დღეს ყოველი ქართველი, ვინც უნდა იყოს, დღესასწაულობს დიდ ეროვნულ დღეს. მრავალ მხრით შესანიშნავია ეს დღესასწაული ქართველ ერისათვის და დიდად მნიშვნელოვანი. საქვეყნოთ გამოთქმა თავისი მხურვალე გრძობისა, თვისი ღრმა პატივის-ცემისა საყვარელ მგონისა და საზოგადო მოღვაწის მიმართ, ღირსეული დღესასწაულობა მგონის ცხოვრებაში დიდებული დღისა, სწორეთ დიდმნიშვნელოვანი გარემოებაა. ეს არის სიმპტომი ერის მოქალაქობრივი მომწიფებისა და ჯანვითარებისა. ეს მაჩვენებელია ერის გაღვიძებისა და საუკეთესო ცხოვრებისკენ მისწრაფებისა. თუ ერი ერთი გულწრფელი გრძობით ივსება და საჯაროთ პატივის-ცემას და სიყვარულს უცხადებს მას, ვინც მის სულიერ მხარეს ემსახურებოდა, თუ ის ღირსეულათ აფასებს მოღვაწის შრომასა და ღვაწლს, ეს ყოველთვის და ყველგან ითვლება ბმ საიმედო მდგომარეობის მაჩვენებლათ, რომ ერს მომავლისკენ აქვს თვალ-ყური მიქცეული, რომ ის დღიური ვარმით და ყოველ-დღიური ბრძოლით-კი არ არის მარტო სულდგმული, არამედ გულში უღვივის მაღალი იდეალი, რომლის მიღწევასაც ფიქრობს მომავალში.

თუ ეს ასეა ყველგან და ყოველთვის, უჭველია ჩვენთვისაც ასე იქნება და ამიტომ, ვიმეორებთ, დღევანდელ დღესასწაულს დიდი სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში. მეტათ შესანიშნავია კიდევ დღევანდელი დღე იმ გარე-

შოებით, რომ, როგორც ვთქვით, მას უქმობს მთელი საქართველო! ყოველ მხრიდან გვესმოდა და გვეწოდნენ მზადების შესახებ, საქართველოს ყოველ ნაწილს გამოუგზავნია დღეს წარმომადგენელი, ყოველი კუთხე ჩვენი სამშობლოსა დღესასწაულობს და სიყვარულს უცხადებს დიდ მგოსანს.

ეს გარემოება უტყუარი მაჩვენებელია ჩვენთვის ძლიერ სასურველი ერთობისა. განცალკევებამ, სამშობლოს დანაწილებამ მეტათ დიდი ჭრილობა მოგვცა წარსულში და ძლიერ დავგვცა. ეს კარგა ხანია იგრძნო ქართველმა ერმა და თითქმის სტიქიონურად იწყო გაერთიანება. ჩვენი ისტორიის ახალი ხანა მით არის სანუგეშო, რომ ერთობა მყარდება, შემთხვევით დანაწილებული ქვეყანა კავშირდება და ერთობით მაგრდება. ბევრი რამ გვიმტკიცებს ამ სანუგეშო გარემოებას და, სხვათა შორის, დღევანდელი დღისთანა დღესასწაულებიც...

ამ რიგათ ჩვენს დღევანდელ დღესასწაულს საგულისხმო მნიშვნელობა აქვს, როგორც საბუთს ჩვენი განვითარებისას და გაერთიანებისას და ამგვართვე მომავლისკენ მისწრაფებისას.

ერთ უდიდეს საშუალებას ჩვენი ერის განვითარებისა და მასში ერთობის დამყარებისათვის შეადგენს ლიტერატურა და ამიტომაც პირველი იუბილე—დღესასწაული ხვდა ლიტერატურის წარმომადგენელს, მსოფლიან მგოსანს, ჩვენს საყვარელ რაფიელს; ჰხვდა მას, ვისაც უჭირავს დიდი და მეტად საპატიო ალაგი ქართველთა მწიგნობრობაში.

ორმოც-და-ათი წელიწადია მას აქვთ, რაც ეს მგოსანი შეუდგა ძნელსა და მნიშვნელოვან სამსახურს თავის სამშობლოს საკეთილდღეოდ. ორმოც-და-ათი წელიწადია ის დაუღალავათ და მრავალნაირათ იღწვის ერის განვითარებისთვის. ორმოც-და-ათი წელიწადია

„...სამშობლო ტანჯად აქვს,
თავი—სამსხვერპლო წილადა,

ჭეუენისა ცრემლი ჭირად უხნს,
მისი ღიმილი ლხინდა...”

ექვს გარეშეა, რომ: ჩვენმა ქვეყანამ ამ 50 წლის განმავლობაში შესამჩნევად წადგა ფეხი წინ. შედარება დღევანდელი დღისა და იმ დროისა, როდესაც რაფიელმა დაიწყო მოღვაწეობა მეტალ შორს წაგვიყვანს და არც არის საჭირო: ყველას კარგათ გვემის, რაშია ამ წუთის უპირატესობა! აი ამ უპირატესობის შექმნაში დღევანდელ იუბილარს მეტათ დიდი ღვაწლი მიუძღვის!

საკვირველია პირველი ხანა ჩვენი მგოსნის მოღვაწეობისა: ის ვერ გრძნობს თავის ძალას, ვერ მიმხედარა თავის დანიშნულებას! დაჰმღერის სიყვარულს, თვალებს, ღვინოს; დაჰმღერის დიდი გრძნობით, საკვირველი სილამაზით, მაგრამ გაუბედავათ, თითქო მართლა ეძებდეს რასმე, თითქო მართლა:

„ჭეუენად ვეპებდი სამოთხეს, სამსრეთისაკენ ედემსა,
კეფრატის გაღმა გავსედე გადასრუკულსა ქედებსა“...

ედებს, მაგრამ „სიყვარულისა და თვალების“ გაღმერთებაში ვერ ჰპოვებს კმაყოფილებას, მაშინ მობრუნდა, მხარი იცვალა და სიხარულით შემოგვიძახა:

„აგერ მოკედი და შეკვდი სანატრელს ნეტარებსა,
ვიპოვე იგი სამოთხე, ვინ მოსთგლის ამის ქებსა“...

ედებდა, ჩაიხედა ერის გულში, მიუხედა მის მისწრაფებას, მიხედა, გაიგო თვისი დანიშნულება და საკვირველი ენერგიით დაჰმღერა:

„არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა სეზედა.

არ გავსცვლი მე ჩემს საეშობლოს სხვას ჭეუენის სამოთხეზედა!“

შესანიშნავია ამ მხრით რაფე. ერისთავის მოღვაწეობა, მოღვაწეობა ერის თვით-ცნობიერების გაწვრთნისათვის და სავსებით მისი დაფასება მხოლოდ იქნენ მომავალ თაობას შეეძლება!

გარდა ამ დიდი მნიშვნელობისა იგივე მომავალი თაობა

მოწიწებით აღნიშნავს ჩვენთან ერთად იმ მეტათ სიმპატიურ მიმართულებას, რომელიც შესაძინევად განასხვავებს რაფიელს სხვა ჩვენს დიდ და საყვარელ მგოსანთაგან: რაფიელი ხალხის, გლეხის, მუშის პოეტია უმთავრესათ'.. ხალხს უძღვნა მან უმეტესი და უმშვენიერესი თვისი ლექსები; გლეხის გულითა, გრძნობითა, სიხარულისა და ტირილის აღწერას მოანდომა მან უმნიშვნელოესი ხანა თვისი მოღვაწეობისა! ამ მხრით რაფიელი კარგა ხანია დაადარეს ჩვენს ლიტერატურაში ნეკრასოვს და მართლაც მას იგივე სიმპატიური მიმართულება აქვს, რომელიც უპირველეს ღირსებას შეადგენს გამოჩენილ რუსის პოეტისას.

ჩვენ არ შევეხებით აქ რაფიელ ერისთავის სხვა გვარ მოღვაწეობას, მის კომედიებს, მის თარგმანებს, მის ლექსიკონს, მის ეთნოგრაფიულ წერილებს რუსულ ენაზე, აგრეთვე მის საზოგადო მოღვაწეობას. ყოველივე ეს იცის ქართველმა მკითხველმა კარგათ. საკმარისია წარმოვიდგინოთ საზოგადო ხასიათი მისი პოეზიისა, გავიგოთ ის, რაც ასულდგმულებს პოეტის არსებობას და ეთქვას, რომ რაფიელი ღირსია ქართველი ერის სიყვარულისა და დიდი პატივისცემისა. ღირსია, რადგანაც მას დიდათ უყვარს თვისი სამშობლო, რადგანაც ის აგერ რამდენი ხანია ემსახურება თვისი ერის გაღვიძება-განვითარებას; რადგანაც მან გვასწავლა, როგორ უნდა გვიყვარდეს ჩვენი მოძმე-გლეხი, რადგანაც მან თვისი დიდი ნიჭი მოანდომა ერისა და ქვეყნის საქმეს.

დღეს ქართველ ერს ლიტერატურული დღესასწაული აქვს. დღეს ის აღიღებს ლიტერატურის ერთს უკეთეს წარმომადგენელთაგანს, რომელიც 50 წლის განმავლობაში სხვა ჩვენ სახელოვან პოეტთა და მოღვაწეებთან ერთად გულ-წრფელათ და სამაგალითოდ ემსახურა თავის „სანატრელ ნეტარებას“, თვის „სამოთხეს“.

ლალი.

„კვალის“ მითაური

რაფიელ ერისთავი, როგორც პოეტი.

დღეს საქართველოც ერი დღესასწაულობს თავისი საყვარელი პოეტის ორმოც-და-ათი წლის მოღვაწეობას ქართულ სალიტერატურო ასპარეზზე. ნახევარი საუკუნის შრომის ნაყოფს რომ მოსწრებოდეს ვინმე ქართველი სამშობლო სიტყვიერებაში, ამის მნახველი ჯერ არაინი ვართ. მით უფრო შესანიშნავი და სახარბიელოა ასეთი დღესასწაულობა. გადავფიქროთ თვალი ამ ორმოც-და-ათი წლის ნაღვაწ და ჩვენ დაერწმუნდებით, რომ ჩვენი დაუფიწყარი პოეტი ყოფილა დამსწრე მეცხრამეტე საუკუნეში ქართველთა გონების პირველ თვალის ახელისა. მას თავის სიცოცხლეში თან უტარებია ქართული ლიტერატურის ბედი და უბედობა, მისი ტანჯვა და სულმობრძობა, მისი შავი უკუნი და მასთან დრო-გაშოშვებით მას უნახავს შიგ შეჭრილი მზას შუქი, რომელსაც ჩვენი პოეტი ალტაცებაში მოუყვანია და უთქმევინებია, იქნება ქართველთა გონების განვითარების საქმე სულ არ ჩაილუპოს იმ უფსკრულ, უძირო უკიანეში, რომელიც უცხო კულტურის ელფერით გარშემოდგომოდა ქართველთა გონების განვითარებას. დიდი და ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო ის ტანჯვა სამშობლოს მოტრფიალისა, როცა შენედავდა, რომ თვით-არს ქართველის ქკუა-გონებას მოაკლდა ამდენი საუკუნოების ნაევარჯიშევი განვითარება. თავისებური აღმაფრენა მისი შეიბოჭა და შეიჭვდა კარგაუღებელ რკინის გალიაში. მაგრამ ჩვენი პოეტი იმასაც მოესწრო, რომ ქართველის მიძინებულ გულისხმას დაუდგა განთიადი, ისევე მოფრინდა ქართველი მუზა და მღულარე ცრემლით მოსთქვა თავისი შავ-ბედი. მეორმოცე და მეორმოც-და-ათე წლებში აჭიკჭიკდენ ქართველი მგოსნებიც, ბრწყინვალეთ ჩაერაზმენ სოლომონ დო-

დაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი და მგოსანთა მეფე ნიკოლოზ ბარათაშვილი. იმინათავი ქართულმა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ. მოიმარჯვეს კალმები და დაუკრეს ბუკი ჩვენი ერის გამოსალდიძებლათ და იმის გულჩასახედლომათ ჭონქაძემ, რჩეულიშვილმა, არდაზიანმა და მათთან ივანე კერესელიძემაც. ნუ თუ ამისთანა ბრწყინვალე მამულის მებრძოლ გუნდში არ უნდა ჩარეულიყო ჩვენი საყვარელი მგოსანი და დღეს იუბილარი თ. ერისთავი? დიად, იკრიბლა მისმა ხევესურულ-კახურმა ხმამ, მაგრამ, აბა, მიიღებდენ კი მოძმენი იმ მგოსანს, რომელსაც სულ სხვანაირათ ესმოდა საგანი პოეზიისა?—არა. ამას მხოლოდ წელში გამწყდარის მშრომელი ხალხისთვის უცემდა გული. ის მათი წრის არ იყო და ვერც გააგებინებდა მათ თავის გულის გადმონაჩქევს. მაშინ ისეთი დრო იყო, რომ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში და ლექსათა თხზვაში პოეტები უფრო ვაკრიალეებულს, გადაპრეხილ სიტყვებს ანდომებდენ თავის ნიქს; იმათ კარგი, ლამაზი სიტყვა აზრსაც ერჩიათ და თავსაც. მაღალი ფრაზები, ღრმა, გაუგებარი სიტყვებით გამოთქმა, აი, საგანი მათი ჩანგისა. როგორც თვითონ იყვენ მაღალი წოდებისა, ისე მათი ლექსებიც მაღალ ფარდებში დაფრინავდა. რაფიელ ერისთავი თუმცა მოხარული იყო პატარა წრეში გონების გამოფხიზლებისა, მაგრამ მისი ქნარისათვის ჯერ კიდევ დრო არ იყო მომწიფებული, მის საგანს პოეზიისას ჯერ კიდევ ნიადაგი არ ჰქონდა და არცარავინ ჰყავდა თანამგრძობი.

„ძნედი არის მარტოობა სუფისა,

მას ეფტვიან სიამენი სოფლისა...“

თუ რაოდენი დაცინვა და ტანჯვა კისრათ უნდა ელო ჩვენს დაუვიწყარ მგოსანს მაშინდელ სიტყვა-მძიმე და სიტყვა-მჭრელ მოლექსეებისგან, ამას შემდეგი აშბავი გვიმტკიცებს. თბილისის საოპერო თეატრში მეორმოცდაათე წლების გასულს იყო გა-

მართული საქველ-მოქმედო წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო მთელი მაშინდელი უმაღლესი ქართველი წოდება და მწერლობა. სხვათა შორის სცემაზე თამაშობდა თურმე თ. რ. ერისთავიც. მისმა შეენიერმა თამაშმა მოწონების ტაში გამოიწვია. ყაფილან ორბელიანმა ევლარ მოითმინა და ლოქიდან ხმა-მალლა გადმოიძახა: „დახე ამ უნიჭოსა, აკი, იმანაც არ გააცინა საზოგადოება?!.“ აბა, იფიქრეთ, ამას შემდეგ რა აბუჩათ აგდებული უნდა ყოფილიყო თ. რ. ერისთავი იმ თანამედროვე მწერლებისაგან, რომელნიც ძალიან იჭკის თვალთ უყურებდნ მათ მიერ ცნობილ პოეტს. მაგრამ გავიდა ორმოცი წელიწადი მას აქეთ და ახლა არც ერთი მივარდნილი საქართველოს კუთხე არ მოიპოვება, — გინდ ფშავ-ხევსურეთის მიუვალი კლდეები აიღეთ, გინდა სვანეთის მთათ-სავეანეები, — საცა არ გაისმოდეს ჰაწია მოზარდ თაობაში ჩვენი იუბილარის ლექსები.

ძალიან ცოტაა ისეთი მოღვაწე, რომ თანამედროვე საზოგადოებისაგან დევნილი, სიცოცხლე დამწარებული ყოფილიყოს და მოსწრებოდეს ბოლოს ისეთ თაობას, რომელსაც განებარციელებიოს მისი აზრები, დაეფასებიოს მისი ღვაწლი. ასეთ ბედნიერს კაცს წარმოადგენს ჩვენი საყვარელი ღრმათ მოხუცებული მგოსანი.

ქართულ ლიტერატურაში ჯერ კრიტიკის მიერ არ დაფასებულა თ. რ. ერისთავი, როგორც მეთაური და საერო პოეზიის შეკლის დამაარსებელი. მაგრამ მითხარით, სხვა კი ვინმე დაფასებულა და შესწავლულა?.. ასეთია გონების სიღარიბე ჩვენი თანამედროვე თავობისა. ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ ერთი უაღრესი მიზეზთაგანი ის არის, რომ ჩვენს ლიტერატურულს მოღვაწეებს აკლიათ ისტორიული ცოდნა მემკვიდრეობითი ლიტერატურის წინმსვლელობისა. ასეთი უცოდინარობისა გამოდღეს ყოველი ქართველი მწერალი ფიქრობს, რომ მხოლოდ მისი გამოჩენის დროიდან დაწყებული ქართული ლიტერატურა.

თუ მათზე წინ ვისმე რამე უკეთებია, ამის გაგება არა აქვთ და ვერც წარმოუდგენიათ. აი, ამის შედეგია დღეს ქართულ ლიტერატურაში კრიტიკის არ ქონვა, მისი სიძაბუნე, სილაჩრე, თუ უკაცრავათ არ გახლავართ...

თ. რ. ერისთავი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შემაერთებელი ხილია ერთი მხრით ნ. ბარათაშვილსა და ილ. ჭავჭავაძესა და მეორე მხრით აკაკი წერეთელსა და ა. ყაზბეგს შორის. მისი ლექსთა თხზვა, ესე იგი გარეგანი სამკაული აზრისა და შინაარსი, ესე იგი სული პოეზიისა, აღბეჭდილია საერო, სახალხო თვისებით. მხოლოდ თ. რ. ერისთავს შემდეგ არის ნათლათ გასაგები და საგულისხმო აკაკი წერეთლისა და ალ. ყაზბეგის მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში. თ. რ. ერისთავს უჭირავს თავის საკუთარი წრე ქართულ პოეზიაში. მისი ენა, მისი გრძნობა და მისი იდეალი ნამდვილათ ხალხის გრძნობა და მისი იდეალია, ნამდვილათ ხალხის გრძნობა და იდეალი იმდენათ, რამდენათაც თვით ქართველ დაბალ ხალხს ესმის აქნობამდე თავის საკუთარი ჭირ-ვარამი. რაფიელმა უკვე შეჭქმნა თავისი უკოლა პოეზიისა, მან შემოიტანა ახალი ნაკადული ფშავ-ხევსურეთის და მთიულთა ლიტერატურული კილოსი. მის მიერ გაკვალებულ გზას გაჰყვენ პოეზიაში ძმანი რაზიკაშვილები, მღვიმელი, აფშინაშვილი, და სხვ.

მანაკვალი.

საიუბილეო დღესასწაულის აღწერა.

მაისის 21-ს „კვალში“ (№ 22) ჩვენმა საყვარელმა მგოსანმა აკაკიმ რაფიელის იუბილეს გამართვის შესახებ საყურადღებო წერილი დასტამბა. ამ მოწვევას მოჰყვა თვალსაჩინო და მრავალმნიშვნელოვანი შედეგი. დღესასწაულს მიეცა საერთო

ხასიათი და ამიტომ ამ წლის ღვინობისთვის ოც-და-ორი სამუ-
დამოთ წაუშლელი დარჩება ქართველის ხსოვნაში. ჩუმათ და
წყნარათ მზადდებოდა, თურმე, ეს დიდებული საერო თვით-
ცნობიერების წამი!..

ღვინობისთვის 22-ს დღე იყო მშვიდი, მყუდრო და მზიან-
ი. დილის ათი საათიდანვე ქაშევითი წმ. გიორგის ეკლესიის
გალაფანში დიდძალი ხალხი მოგროვდა. გალაფანი ცოტა ხნის
განმავლობაში ისე გაიჭედა რაფიელ ერისთავის პატივისმცემლე-
ბით, რომ დიდი გუნდი ხალხისა გალაფანს გარეთაც იდგა. შუა-
დღე ახლოვდებოდა, რომ იუბილარი თეთრ ცხენებ შებმული
ლანდოთი მობჰანდა ეკლესიაში. ეტლში იუბილარის პირდა-
პირ ისხდნენ აკაკი წერეთელი და ილია ქავჭავაძე. იუბილარს
თან მოჰყვა სხვა ეტლებით სახლობა და ნათესაობა. პარაკლი-
სი გადიხადა კრებულით ყოვლათსამღვდელო აღექსანდრე ეპის-
კოპოსმა და არქიმანდრიტმა ლეონიდმა. პარაკლისს დაეს-
წრენ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი
კოსტანტინე მუხრან-ბატონი, კავკასიის კორპუსის სარდალი თა-
ვადი ივანე ამილახვარი, სახელმწიფო ქონებათა გამგე, ბ. გამ-
რეკელი, თბილისის ქალაქის თავი, თავადი არლუთინსკი, ქარ-
თულ-სომხურ-რუსულ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი
და საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილების დეპუტატები და სხვ.
ეკლესიაში გალობდა თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებ-
ლის მოწაფეთა გუნდი. პარაკლისს შემდეგ იუბილარს უგალო-
ბა „მრავალ-ქამიერი“ ყმაწვილების გუნდმა. ყოვლათ სამღვდე-
ლომ მიჰმართა იუბილარს მოკლე, მაგრამ გრძნობით საესე,
სიტყვიერ დი დალოცა მაცხოვრის ხატით. შემდეგ წარომოსთქვა
სიტყვა არქიმანდრიტმა ლეონიდმა. რაფელი დალოცა და ხა-
ტი მიართვა აგრეთვე ქაშევითი ეკლესიის წინამძღვარმა დეკა-
ნოზ დავით ქრელაშვილმა. ეკლესიის გალაფანში და ქუჩაში
შეგროვილი ხალხი იუბილარს ქუდ-მოხდილი მიესალმა და მიუ-

ლოცა: აუარებელი ხალხი დაიძრა და გასწია თეატრისკენ. წაბ-
ძანდა იუბილარიც. ქართველ თავად აზნაურობის ქარვასლის
კიბეზე იუბილარს ხალხი დაუხედა „ვაშას“ ძახილით და ორ-
კესტრმაც ქართული მარში დაუკრა. თეატრის დარბაზი შევნი-
ერათ იყო მორთული ყვავილებით, გვირგვინებით და გრენი-
ლებით. თორმეტ საათზე აინადა ფარდა და საზოგადოების თვალ-
წინ გადიშალა საოცარი სურათი... ელექტრონული მზით განა-
თებულ სცენაზე, მარჯვნივ მომზადებული იყო იუბილარისა-
თვის სავარძელი.

მარცხენა მხარეს მანდილოსნებს ეჭირათ ადგილი. იქით-
აქეთ იდგენ და ისხდენ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხის წარ-
მომადგენელი შესაფერი ტანსამოსით მორთულნი საჩუქრებით
და ადრესებით ხელში.

შემობძანდა თუ არა რაფიელი სცენის დერეფანში, მას მიე-
გება გურულების და მ. რატილის გუნდი და სიმღერით შე-
მოიყვანა სცენაზე. იუბილარს მოჰყვებოდნენ აკაკი და ილია.
როგორც კი გამოჩნდა სცენაზე იუბილარი, მთელი საზოგადო-
ება ფეხზე წამოუდგა და ერთხმად იგრიალა: „ვაშა, ვაშა!“-მ კარ-
გა ზანს საშინელი ხმაურობა იყო: ისმოდა ტაშის ცემა და „ვა-
შას“ ძახილი. აღტაცებული საზოგადოება ძლიერ ღელავდა. ეს
იყო დიდებული სანახაობა!.. დაწყნარდა საზოგადოება და იუ-
ბილარმაც დაიკავა მისთვის დანიშნული ალაგი, ესტრადის ქვე-
მოთ ისხდენ: რაფიელის მარჯვნივ აკაკი, მარცხნივ ილია. გუ-
რულებისა და რატილის გუნდებმა იგალობეს ეროვნული ჰან-
გები და შემდეგ ამისა დაიწყო მილოცვა. ყოველი დეპუტა-
ტი რიგ-რიგათ კითხულობდა ადრესს და მილოცვას¹⁾.

¹⁾ წარმომადგენლები გამოგზავნეს: თბილისის გუბერნიის თავად-აზ-
ნაურობამ, თელავის თავად-აზნაურობამ, ქალაქ თელავმა და მცხოვრებლებ-
მა, ქუთაისის ქალებმა, გურიის თავად-აზნაურობამ და ხალხმა, თბილისში

წერა-კითხვის საზოგადოების ადრესის წაკითხვის შემდეგ წარმომადგენელმა ექიმმა ივანე ელიაშვილმა გამოუცხადა იუბილარს, რომ „საზოგადოების“ გამგეობამ გადასწყვიტა დაწარსოს წიგნთსაცავი იუბილარის სახელზე იქ, სადაც საყვარელი მგოსანი დაიბადა. რუსეთის მწერლობის წარმომადგენელმა პოეტმა ვასილ ევლიჩკომ შეენიერი ლექსით მიულოცა იუბილარს: სიტყვები წარმოთქევს „კავკაზის“ რედაქტორმა იური მილუტინმა, „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორმა ვასილ თუმანიშვილმა, „არძაგანქის“ რედაქტორმა აბგარ იოანესიანმა, „მშაკის“ რედაქტორმა აღექსანდრე ქალანტარმა, გიორგი გვაზაევამ, „ტარაზ-აღბიურის“ რედაქტორმა ტიგრან ნაზარიანმა და გაზეთ „ნორ-დარის“ წარმომადგენელმა. ყოველ დეპუტაციას და ადრესს საზოგადოება ალტაცებით ეგებებოდა. განსაკუთრებით სა-

მცხოვრებ გურულებმა, გორელებმა, სამეგრელომ, აჭარამ, ბათუმმა, ქობულეთმა, თიანეთმა, ფშავ-ხევსურეთმა, დაღისტნის ქართველობამ, თუშებმა, ახალციხელებმა, წერა-კითხვის საზოგადოებამ, თბილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოებამ, თბილისის სათავად-აზნაურო სკოლამ, აგრეთვე ქუთაისისამ და სენაკისამ, თბილისის საკვირაო სკოლამ, ქართულ ჟურნალ-გაზეთებმა, სომხურმა გაზეთებმა: „არძაგანქმა“, „მშაკმა“ — „ტარაზ-აღბიურმა“ და „ნორდარმა“, რუსულ გაზეთებმა: „კავკაზმა“, და „ნოვოე ობოზრენიემ“, მოსკოვის ქართველმა სტუდენტებმა, თბილისის ქალებმა, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ, თბილისის საბაღოსნო სკოლამ, თიანეთის სკოლამ, თბილისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობამ, აგრეთვე ქუთაისისამ, ბაქოს ქართველობამ, წინარეზის სკოლამ, ივრის ხეობის მცხოვრებლებმა, ჭიათურის მუშებმა, ექვთიმე ხელაძის სტამბამ, ქართველ ფარმაცევტებმა, ოდესის ქართველ სტუდენტებმა, თბილისის ნოქრებმა, თბილისის ღურგლებმა, თბილისის მეჩექმეებმა, საჩხერელებმა, ქვემო-ქიზიყელებმა, სიღნაღის მაზრამ, განჯის ქართველებმა, ვაზ. „კავკაზის“ ქართველ თანამშრომლებმა, კავკავის ქართველებმა, ოზურგეთის მაზრის სოფ. იკეთის მცხოვრებლებმა, კიევის ქართველ სტუდენტობამ, ქუთაისელებმა, დუშელელებმა და სხვ.

სიამოვნო სანახავი იყო ეროვნულ ტანსამოსში გამოწყობილი აქარა-ქობულეთის და თუშ-ფშავ-ხევსურების დეპუტაცია. დიდი წამი იყო, როცა ჯაჭვ-ჯაფშანში ჩასხმული ფშავ-ხევსურნი წამოდგნენ წინ, ვითომც ზღაპრული დევ-გმირები ყოფილიყვენ და მიულოცეს იუბილარს მოკლეთ: „ღმერთმა დაგლოცოს, დიდხანს გაცოცხლოს, გადღეგრძელოს?..“

გვირგვინები მიართვეს თბილისის ქართულ ჟურნალ-გაზეთებმა, რუსულ ოპერეტის დასმა, ქართულ დრამატიულმა დასმა, ქართულ დრამატიულმა საზოგადოებამ, სომხურ დრამატიულმა დასმა და რატილის ქართველთა გუნდმა წარწერით: „ძვირფას პოეტს თ. რაფიელ დავითის ძე ერისთავს: „სამშობლო დედის ძუძუთ არ გააცვლები სხვაზედა, ორივე ტკბილია, ძმობილო, მირჩვენის ორსავე თვალზედა“.

ლექსები წააკითხეს კენინა ნინო ორბელიანისამ, დ. მაჩხაწყელმა, ა. ახნაზაროვმა, ი. ევდოშვილმა, ა. წულაძემ, მეჩექმეთა წარმომადგენელმა გარსევანაშვილმა, ბ. იურკევიჩმა (რუს-იმერელმა) და თბილისის ხელოსანთა წარმომადგენელმა. ბოლოს გამოვიდა ახალგაზდა პოეტი გრიგოლ აბაშიძე და თავისი მოკლე გრძნობიერი სიტყვა დროსა და გარემოების შესაფერი ლექსით დაამთავრა. ამ ლექსმა დიდი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოებაზე. ამან სწორეთ დააგვირგვინა დღესასწაული. იუბილარმა მადლობა გადაუხადა ყველას. სამი საათი იქნებოდა, როდესაც იუბილარი სიმღერით გამოაცილეს გარეთ, სადაც აუარება ხალხი მიეგება „ვაშას“ ძახილით. მანდილოსნები თაიგულებს უფენდენ გზაზე იუბილარს; სათავად-აზნაურო შენობის გამოსასვლელ კარებთან თუშ-ფშავ-ხევსურებმა დასძახეს ხალხური სიმღერა. ამას შემდეგ იუბილარი ჩაბძანდა ეტლში და გაემართა სახლისკენ.

სალამოს 8 საათზე სათეატრო დარბაზი ხელ-მეორეთ აივსო ხალხით. შეენიერთ მართულ თეატრში დანიშნული იყო,

რუს-იმერელი

„საიუბილეო წარმოდგენა“. დრამატიულობა დასმა ითამაშა იუბილარის პიესები: „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და „ბიძიასთან გამოხუმრება“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს საუკეთესო არტისტებმა. უმნიშვნელო როლებსაც კი ჩვენი ცნობილი მსახიობნი ასრულებდნენ. ამიტომ წარმოდგენამ მეტათ წყობრათ და სასიამოვნოთ ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ სადღესასწაულო მილოცვა კამართა დრამატიული საზოგადოების გამგეობამ. გამგეობის წარმომადგენელმა წაუკითხა ადრესი და მიართვა იუბილარს დიპლომი „საზოგადოების“ საპატიო წევრობისა შემდეგი შინაარსით: „ქართული დრამატიული საზოგადოება. პატივცემულო პატრონო რაფიელ დაფითის ძე! ქართულმა დრამატიულობა საზოგადოებამ ნიშნად თქვენი მოღვაწეობისა ქართული თეატრის მიმართ ამოგირჩიათ თავის საპატიო წევრათ. 22 ოქტომბერა, 1895 წელი. თაემჯდოპარე საზოგადოებისა მიხეილ კვალიაშვილი. მდივანი ივანე მაჭავარიანი“. შემდეგ მიულოცეს ქართული, სომხური და რუსული დასების წარმომადგენლებმა ღ წაუკითხეს ადრესეზი. ქართულ მომღერალთა გუნდის სახელით მიულოცა ბ. იოსებ რატილია. იუბილარს მიართვეს აგრეთვე სხვა და სხვა საჩუქრები. იუბილარმა სხვათა შორის შემდეგი საჩუქრები მიიღო:

- 1) მაცხოვრის ხატი ალექსანდრე ეპისკოპოზისგან.
- 2) მაცხოვრის ხატი დეკანოზ ჭრელაშვილისგან.
- 3) ვერცხლის გვირგვინი: „თ-დ რაფიელ ერისთავს, კავკაველი ქართველობა, მრავალ არიან შენნი მჭვრეტელნი, არ ცუდად იმკვებარაან, 1845—1895 წ.“
- 4) ჩანგი: „თ. რ. ერისთავს ქართველ ფარმაცევტებისგან. 22 ოქტომბერს, 1895 წელს. არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.
- 5) ვერცხლის სურა თავისი ლაგაანით და ექვსი ჭიქით:

„თავ. რაფიელ ერისთავს კახელებისგან ნიშნათ უგულითადესი პატივისცემისა. 1895 წ. 22 ოქტომბერს“.

6) ვერცხლის სურა თავისი თეფშით: „თ. რაფიელ დავითისძე ერისთავს ლეინობისთვის 22, 1895 წ. გორის ქართველ საზოგადოებისგან“.

7) ფრაფეს ძვირფასი საპურე: „თ. რ. ერისთავს. სენაკის სასულიერო, საზნაურო, ნორმალურ და საქალბო მასწავლებელთაგან 50 წლის იუბილეს სახსოვრად“.

8) ფრაფეს სურა: „თ. რ. ერისთავს ს. ს.-აზ. ნორ. საქ. მასწ. 50 წ. იუბილეს სახს.“

9) ვერცხლის კალენდარი ბარომეტრით და ტერმომეტრით მაგიდაზე დასადგმელი: რაფ. დავ. ერისთავს. სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება. გურულები 18²²/X95.

10) შავი მარმარილოს საწერელი: „რაფიელ ერისთავს ქუთაისის სათ.-აზნ. სკოლის მოსწავლეთაგან“.

11) ალბომი დალისტნის არე-მარეს სურათებით: „ჩვენს სასიქადულო და უსაყვარლეს პოეტს თ. რაფიელ დავითის ძე ერისთავს ნიშნად ჩვენი უგულითადესი და უალრესი პატივისცემისა. დალისტნის ქართველები“.

12) შავი ქვის სამელნე: „ჭიათურის შავი ქვის მადნის მუშებისგან: „კაცი ის არის, ვინც მამულს ეტრფის და ეთაყვანება.“ 50 წ.

13) წიგნი „სამოთხის ყვაილი“ მღვდელ ვასილ კარბელაშვილისგან.

14) წიგნი „ალექსანდრე მეორის დიდი რეფორმების შესახებ“, გრიგოლ ჯანშიევისგან.

15) წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისგან შვენიერ ყდაში გაკეთებული იუბილარის ლექსთა წიკრება.

16) ვერცხლის დანა-ჩანგალი ოქროში დაფერილი ორის კოვზით სენაკის ქალებისგან.

17) ვერცხლის კალამი კნენა პუპი მაჭუტაძის ასულისგან.

18) ალბომი სემენარიელებისგან.

19) მარმარილოს საწერელი და კალამი: „თავ. რ. ერისთავს თბილისის სათ.-აზნ. სკ. მოწაფეთაგან“.

20) მაგიდა: „ხარ უბედურთა და მაშვრალთა მცველი მგოსანი, ნიშნად პატივისა ამას გიძღვნიტ ჩვენ ხელოსანნი. 1895 წ. 22 ღვინობისთვეს“.

21) სასურათე უჯრა: „ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ღხენა, მიყვარს სამშობლო მე დედა-ენა. თ. რ. დ. ერისთავს თიანეთის სკოლის მოსწავლეთაგან. 22 ოქტომბერს, 1895 წ. ს. თიანეთი“.

22) ხავერდის ბალიში, რომელზედაც ახალციხური ხელოვნების ვერცხლის ჩარჩოა დაკრული: „პოეტს რ. ერისთავს ექვთიმე ხელაძისაგან. 1845—1895 წ.“

23) ალბომი—ქართულ დრამატიულ საზოგადოებისგან.

24) წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მოწაფეთაგან: კაკლის ხის ხონჩა, ხის სამელნე, კალამი, დანა და ორი შანდალი.

წარმოდგენის შემდეგ ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლის ეგრედ წოდებულ „საზამთრო ბალში“ გაიმართა ნადიმი, რომელსაც სამასამდე ქალი და კაცი დაესწრო. პირველათ დალიეს იუბილარის სადღეგძელო, შემდეგ აკაკისა და ილიასი, მერე რუსის მწერლის ვასილ ველიჩკოსი, შემდეგ საქართველოს ყოველი კუთხის დეპუტაციისა. დალიეს აგრეთვე სადღეგძელო ქართველი დედისა და საზოგადოთ ქართველ დედათა სქესისა, ქართველი სტუდენტობისა და ბოლოს წარმოითქვა საქართველოს ერის დღეგძელობა. ყოველ სადღეგძელოს დალევაზე ჯერ ორკესტრი უკრავდა „ტუშს“, შემდეგ ქალთა და ვაჟთა გუნდი მღეროდა „მრავალ ჭამიერს“, ამას მოზღვედა ბ. რატილის გუნდის სიმღერა, მერე გურულებისა და ბოლოს დუ-

დუკზე უკრავდენ. ბევრი საგულისხმო სიტყვა წარმოითქვა იმ ლამეს. როდესაც გრ. აბაშიძემ შენიშნა: ეს რა ამბავია, ჩვენი ორი გამოჩენილი პოეტი სხედან და ხმას არ იღებენ მაშინ, როდესაც ასე საქარველოს ყოველ მხრიდან შეკრებილ საზოგადოებას ესენი ძვირათ ნახვენო. ჩვენ ველით მათგან საგულისხმო სიტყვების მოსმენას და ესენი კი გაჩუმებული სხედანო. აკაკიმ წარმოთქვა საყურადღებო სიტყვა. აკაკის *) შემდეგ ილაპარაკეს ილია ჭავჭავაძემ, გიორგი წერეთელმა, ივანე მაჩაბელმა, მიხეილ მაჩაბელმა, კ. ჩხეიძემ და სხვ. აკაკის სიტყვის შემდეგ გაბუნიას ქალმა ნატალიამ გრძნობიერი ხმით იმღერა აკაკის „აღმართ აღმართ მიედროდი მე ნელა“ დუდუკზე. ამას მოჰყვა ველიჩკოს რუსული ექსპრომტი: „ვისურვებ, რომ აკაკის ილია ჰყვარებოდეს ზე ილიას აკაკიო“. ამის პასუხათ აკაკიმ საყოველთაო გასაგონათ ბძანა: „ამ ბატონმა, რუსის მწერალმა, უადგილოთ და უსაფუძვლოთ ინატრა, რომ ქართველ მოღვაწეთა შორის თანხმობა და სიყვარული იყოსო. ცხადია, რომ ეს ამბობს განაგონებს და მაშასადამე ჩვენშიაც ყოფილა ზოგიერთი იმავე აზრისა. უნდა მოვახსენოთ, რომ ეს ძლიერ შემცდარი აზრია!.. რალა საჭიროა მისი ნატერა, რაც არსებობს და ხელში გვიჭირავს. „მცირე რამე სამღურავი მოყვარეთა წესიაო“ — უთქვამთ ძველებს. როდესაც დიდ ოჯახებში შევიწროების დროს გარდა გამღლებისა ბევრი აღარავინ რჩებოდა და მათაც სამუშაო უმრავალკეცდებოდათ, მაშინ ისინი ერთმანეთს ეჩხუბებოდენ, ეწინააღმდეგებოდენ ზე ესაყვედურებოდენ: იმდენს ზე ისე ვერ აკეთებ, როგორც გარემოება მოითხოვსო! ამ ვაი-უშველელებელში ხშირათ კიდევ სწყევლიდენ ერთმანეთს, მაგრამ ეს პირადობითა და შურ-ბოროტობით როდი მოუდიოდათ!.. ოჯახის ერთგულება ამწარებდა

*) აკაკისა, ივ. მაჩაბლისა, მ. მაჩაბლისა და კ. ჩხეიძეს სიტყვები იხილე წიგნის ბოლოს.

მათი.. სურვილის სიდიდეს მათი ჯან-ღონე ვეღარ სწვდებოდა და როგორც თავის თავს, ისე ერთმანეთსაც, ესაყვედურებოდნენ. სწორეთ ამ მდგომარეობაში არიან ჩაცვინული ღღევანდელი ჩვენი მოღვაწეებიც და მათი ერთმანეთთან უკმაყოფილება სა-შიშო და ხელწამოსაკრავი არ არის!.. ქვეყნის ერთგულებით აშფოთებულ-აღელვებულებს, ეს კინკლაობა ხელს ვერ შეუშლის, რომ საქიროების დროს ქვეყნისთვის ერთათ დასდვან თავი. ასე გრძნობს ყველა ნამდვილი მოღვაწე და ვინც ასე არ ფიქრობს, ის მხოლოდ თვალთმაქცობს და არ ჩაითვლება სასურველ მოღვაწეთ!.. ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს და ნათელი“.

როდესაც საქართველოს დედათა სქესის სადღეგრძელო დალიეს, გიორგი წერეთელიმა წარმოსთქვა: „ღღევანდელი ღღე-სასწაულობის საუკეთესო სამკაული იყო დედათა სქესის დებუტაციების მილოცვა. ეს იყო ყველაზე უფრო სასიამოვნო და გამამხნეველელი მითი, რომ ქართველ დედას უკვე შეუგნია და ჩარეულა საერო თვით-ცნობიერების განვითარებაში. ღმერთ-სა ეთხოვე, რომ ჩვენი დედები დაბრუნებოდნენ ძველებურათ თავიანთ ოჯახს და აღეზარდოსთ სამშობლოსათვის მომავალი გამირები“.

დალიეს აგრეთვე კერძოთ სომხის დრამატურლის სუნდუ-კიანცის სადღეგრძელოც, რომლის პასუხათ ბატ. სუნდუკიანცმა მოახსენა საზოგადოებას: „მე კერძო სადღეგრძელოს ღირსი არა ვარ დღეს, რადგან ყოველივე ამისთანა სადღეგრძელო მარ-ტო ჩვენს იუბილარს ეკუთვნის. ამასაც მოგახსენებთ ჩვენი გვა-რის მაგიერათ, რომ ჩვენ საქართველოში აღზრდილი სომხები ქართული მიწით ვართ გაზრდილი, ჩვენ საქართველოს ჭირის და ღონის მუდამ თანამოზიარენი ვყოფილვართ და ვიქნებით“.

ბ. კოტე მესხმა წაიკითხა შიო მღვიმელის ლექსი. ამას მოჰყვა საზოგადოებისადმი მიმართული იუბილარის სამადლო-

ბელი ლექსი. ეს ლექსი საზოგადოებამ დიდი აღტაცებით მიიღო და გაამეორებინა კოტე მესხსვე. ამას შემდეგ ნადიმოდან წამოდგა მთელი საზოგადოება და გაიმართა შევნიერი ლექური. მხიარულებამ გასტანა დილის ოთხ საათამდის.

ამავე დღეს, სანამ ქაშევთის ეკლესიაში პარაკლისი დაიწყებოდა, ქართულ საკვირაო სკოლაში გამართული იყო „საუბილეო დილა“. ორასზე მეტი მოსწავლე ქალი დაესწრო თავიანთი მშობლებით; პირველათ წაიკითხეს იუბილარის ცხოვრების აღწერა, შემდეგ ყმაწვილები თითონ კითხულობდნ და მღეროდნ რაფიელის ლექსებს. დილამ შევნიერათ ჩაიარა და ყველა ნასიამოვნები გაუდგა გზას ქაშევთისკენ.

ნაშუადღევის ოთხ საათზე, ეგრედ წოდებულ, ავქალის ქუჩის „იაფ-ფასიან სასადილოს“ შენობაში, ხალხისთვის საიუბილეო წარმოდგენა გამართეს. დიდძალი მდაბიო ხალხი მოაწყდა ამ წარმოდგენას; მაგრამ, რადგანაც შენობამ სამასზე მეტი ვერ დაიტია, გულ-დაწყვეტილი ხალხი იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო. აქა-იქ გაისმოდა უკმაყოფილობის ხმა: „მანათს გაძლევთ შაურის მაგიერათ, ოლონდ შეგვიშვით“! წარმოდგინეს იუბილარის კომედია „ადვოკატები“ და ორიოდე სიტყვით გააცნეს რაფიელის ცხოვრება და იმ დღის მნიშვნელობა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ზოგიერთი მასწავლებელი ქალი და ხელოსანი.

სამადლოჯელი ლექსი.

ქართლ-კახეთ-სეკსურ-იმერი,
თუშ-ფშაველ-მეგრელ-გურული,
მთლათ საქართველო მოყრილს,
ერთათ სძგერს ერის აქ გული...

ეკელა მილოცავს სიბერეს:
ჩემზე ლესავენ ენასა,
სიტყვით ლამაზით, კაზმულით,
სცდიან ჩემ გამოჩენსას!

მე გი რა მეთქმის, რაღა კოჭვა,
რა დამრჩა მოსალოცავი,
ერთი რამ, მხოლოთ ერთი რამ,
ის არის კარგი და ავი.

ეს არის ჩვენი აქ მოყრა,—
ეს კრება შეერთებული,
საერთო გრძნობა და ძმობა,
ერთბაშად გაღვიბებული.

„ერთი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბადნარსა“,
მაგრამ რაღა სჯობს ამ გრძნობას
საერთოს, სანეტარსა!..

Handwritten signature and red diagonal line.

ა ღ რ ე ს ე ბ ი.

თავადი კოსტანტინე მუხრან-ბატონი:

თავადო რაფიელ!

სიამოვნებით მოგილოცავთ დღევანდელ ღირს-შესანიშნავ დღეს და ამ დღესვე ვულოცავ ჩვენს მესვეურ წოდებას—საქართველოს თავად-აზნაურობას. თქვენი მოღვაწეობა მუდამ იმ აზრით იყო გამსჭვალული, რომ ეგ წოდებაც განუყოფელი ნაწილია ჩვენი ერისა. თქვენმა მადლით მოსილმა ნიქმა ჰპოვა და გამოსთქვა ის წმიდა გრძობანი, რომელიც ერთნაირი ძლიერებით სძგერს ჩვენს გულში და გვაერთებს მდაბიოსა და კეთილ-შობილს. დიად, თავადო, გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, როგორც თქვენ ხევისურს—თვისი სალი კლდე და „არ გავცვლით ჩვენსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

მოგილოცავთ განვლილ 50 წლის მოღვაწეობას და გმადლობთ თავად-აზნაურობის სახელით. ვისურვებ თქვენს კიდევ დიდხან სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის სასამსახუროდ ღ სადიდებლად.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი
კოსტანტინე მუხრან-ბატონი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება:

დაუვიწყარო მგოსანო!

დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან მომართულია თქვენდამი საერთო გრძობა სიხარულისა და მადლობისა. ორმოცდაათმა წელმა განვლო, რაც თქვენ, ჩვენო სასიქადულო, დაუ-

ღალავათ მოღვაწეობთ სალიტერატურო ასპარეზზე,— გვიხატავთ შვენიერი ლექსებით ქართველი კაცის სულისა და გრძნობის მოძრაობას. განვლენ ჟამნი და ბევრი ავიც და კარგიც ცხოვრებაში მიეცემა დავიწყებას, მაგრამ თქვენი კალმის ქმნილებანი-კი ქართველის გულში დარჩება სამუდამოდ.

გილოცავსთ თქვენი მოღვაწეობის ორმოც-და ათი წლის შესრულებას და ისურვებს თქვენს დიდ-ხან სიცოცხლეს საქართველოს ხალხის სასიკაძულოთ მართველობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომლის საპატიო წევრათ თქვენ ბძანდებით და რომლის წინაშე დიდი ღვაწლი მიგიძღვით, როგორც თქვენი უკვდავი ნაწერებით, ისე პირადი შრომით და თქვენი საკუთარი ბიბლიოთეკის შემოწირვით.

22 ოქტომბერს 1895 წ.

თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე.

თავმჯდომარის ამხანაგი ნ. ცხვედაძე.

გამგეობის
წევრნი:

- | | |
|---|------------------------|
| } | იაკობ გოგებაშვილი. |
| | ივანე ელიაშვილი. |
| | დავით კარიჭაშვილი. |
| | ნიკოლოზ მთვარელიშვილი. |
| | გიორგი იოსელიანი. |

ქართული ღრამატიული ღასი:

ჩვენო მოძღვარო!

დღევანდელ ღირს შესანიშნავ დღეს თქვენი ორმოც-და-ათი წლის მოღვაწეობისა სამშობლო ენასა და ლიტერატურის ასპარეზზე, ჩვენ, თქვენი მოწაფენი და წარმომთქმელნი შვენიერი ქართული ენით თქვენგან დაწერილი აზრებისა, მოგიძღვნით სალამს და დიდ პატივისცემას. ეს დაფნის გვირგვინი მიიღე ჩვენგან ისე, როგორც უძველეს დროებში ბრძენი

ბერძნები აგვირგვინებდნენ თავის ტკბილ-მგოსნებს და სურათნი, აქ, ამ ალბომში, გამოსახულნი, იყოს-მცა თქვენთვის მოსაგონებლათ იმისა, რომ თქვენის შვენიერი, ტკბილი ენით ქართველ ერს ვესაუბრებოდით. მასწავლებლო, ნუ მოგვაკლებ ამ ტკბილ ენას, რომ კიდევ დიდხანს ისიამოვნოს ჩვენმა ქვეყანამ!...

ქართული დრამატიული დასი.

წიგნების გამომცემი ამხანაგობა თბილისში:

ჭიჭუასო ჰოქტო!

„წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობას“ თავის სასიამოვნო მოვალეობათ მიაჩნია გულით და სულით მოგილოცოსთ დღევანდელი თქვენი დღესასწაული. ჩვენ კარგად ვიცით, რაოდენ ძრიელია თქვენი სიყვარული ჩვენი მწიგნობრობისა ზღსურვილი წიგნით ხალხში განათლების სხივის მოფენისა. თქვენა ბძანდებით განხორციელება ძველი ქართველისა, რომელმაც მამულთან და რჯულთან ერთად დაიცვა ენა ქართული და ჩვენი სამწიგნობრო საუნჯენი. არა მარტო თქვენი სამგოსნო ჩანგი გვიწევს დღეს დიდ სამსახურს, არამედ მთლათ თქვენი მოღვაწეობა, ჩვენი ენისა და ლიტერატურის ასაღორძინებლათ მომართული. თქვენმა მგოსნობამ ამოჰკრიბა მარგალიტნი იმ ღრმა ზღვიდან, რომელსაც ერის გული ეწოდება, თქვენმა შრომის მოყვარეობამ გაგვაცნო სხვა და სხვა თემი ჩვენი ქვეყნისა, თქვენმა მწიგნობრობის სიყვარულმა ცხოველი მაგალითი მოგვცა იმისი, თუ რაოდენ უნდა ვაფასებდეთ წიგნსა და ქართულსა. იყავით დღეგრძელ ჩვენი მწერლობისთვის ღვაწლ-მოსილ დარაჯათ, ჩვენთვის სამაგალითოთ.

ამხანაგობის გამგე ალ. ჯაბადარი.

ჭუთაისში წიგნების გამოცემის აღმასრულებელი ახსნაგობა:

ჩვენს დიდებულს, დაუვიწყარ მგოსანს თ. რ. დ. ერისთავს.

უუხუცესო მგოსანო,
პოეტო ჩვენო ჭალარავ!
ჩვენ დღეს სუყველა აღგვანთო
ჩანგთ ჟღერამ, დაფმა, ნალარამ.
როგორ არ გამოვიღვიძოთ
„შენი ფანდურის ხმაზედა“,
და არ დაგადგათ გვირგვინი
ჭალარით მოსილს თავზედა!

დღეს იძვრის მთელი საქართველო, გრძნობებით აღვსილი, აღვზნებული, დღეს ჭეშმარიტი ქართველი მოგმართავს შენ, დიდო მგოსანო ივერიისავ, რომ გაითვალისწინოს ის ლხენა-შეება, ალტაცება, რომელიც გამოუწვევია შენი ნახევარი საუკუნის ჩანგთ ჟღერას; დღეს იხარებს შესმენილი ქართველი, ნამდვილი შვილი მამულისა, მხედველი შენის ასეთი მხნეობისა, დღეს შეგიძკობს იგი გვირგვინს მაგ ჭალარა, მაგრამ უკვდავ თავზეთ დასადგმელათ; დღეს იგი აღმართავს თავის ნორჩ გულში ძეგლს ნიშნათ შენი უკვდავებისა. დღეს იგი ყანწით სვამს შენ სადღეგრძელოს, რომ ბახუსმა მას ჩააგონოს სხვა რამე შენთვის მოსართმევათ, რომ გულ-მკერდ გახურებული შენთან ერთად გაერიოს ფიქრით და გრძნობა-გონებით მაინც სახელოვანს „ასპინძის ომში“.

ჩვენცა ვსცლით დღეს ყანწით შენს სადღეგრძელოს, დიდებულო პოეტო, რომ შენთან ერთათ მსწრაფლ გავითვალისწინოთ შავი სურათი ჩვენი წარსულისა.

დღეს, მოხუცო, ყველა მონდომილია შენი წინასწარმეტ-

ყველური, ღვთიური ნიჭის შემწეობით გამოარკვიოს შენ-მიერ უკვე მიწდომილი საიდუმლოება სიყვარულისა.

მოვალთ შენდამი ჩვენცა, რომ შენგანვე ვისწავლოთ ეს-ტეტიკური გემოვნება, დატკობა კავკასიის კეკლუცი და გულის მომხიბლავი ბუნების შევნიერებით, რომ შენ თან გაგვიყოლო გლახის აბიზინებულს მამულში.

„სად ყურძენი წითლად ღუის“
და ნამეტანი სიჩქარით

„კოლო, ბუზი თავს დაჰბზუს“.

სად პურიცა შემოსულა,

ღელავს, ბზინავს ოქროს ფერათ.

ნამგლის პირიც გაუღესავთ,

გადაქცეულ მთლათ სიმღერათ“,

ყველა ამაებით ახტაცებულნი მოვილტვით ღღეს შენთან სიყვარულის დასამტკიცებლათ, გრძნობების ამოსალაგებლათ; მოვისწრაფით, რომ შენგან ვისწავოთ ახალი თაობის დანიშნულება, მიზანი და მოწოდება, რომ შენთან ერთათ „მამლაცინჩას“ ყვიღოზე და მერცხლის პირველ „ჭიკჭიკზე“

„წამოვყაროთ ყმაწვილები,

გავახსენოთ ღვთის სახელი—

ზარმაცობა შეიძულონ,

წიგნს მოჰკიდონ მარდათ ხელი“.

შენს წინაშე მოვიდრეკთ, დიდებულო პოეტო, მუხლს! შენ აღვინთებთ კელაპტარს! შენ შეგვედრებით, რომ გვასწავლო რე გამოგვირკვიო „გიგლას ტიტინის“ საიდუმლოება, შეგვაყვარო მის ღვიძლი ენა, დედა-ძუძუსთან ტკბილი საუბარი, რომ „ხეფსურთან“ ერთათ კუბოს ფიცრამდის გულში ჩაგვეწერგო სენი საკუთარი სახარების მოძღვრება:

„სადაც ვშობილვარ, გავზდილვარ
და მისროლია ისარი,

სად მამა-პაპა მეგულის,
იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, —
ჩემი სამშობლოც ის არი“.

რომ, დიდებულო პოეტო, შენი ჩაგონებით
„არ ვცვლიდეთ სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ ვცვლიდეთ ჩვენ ჩვენს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“,
ვისწავოთ: „დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა“.

ჩვენც, მოწამეთ მამულის შვილებისგან დღეს შენი ასეთი პა-
ტივის-ცემისა, მნახველებს ესოდენ ჭეშმარიტ ქართველთა შენთან
შეკრებისა, „გვიყვარს ეს ენა
ჩვენი მშობლისა,
რომლითაც ნანას
გვეტყოდა ისა,
აღერსს გვაგონებს
დედისას ტკბილსა,
ჩვენი ტოლების
მღერა-ჟღივილსა“.

„შენ შეგვაყვარე ჩვენ დედა-ენა,
ამით ვცოცხალვართ,
მით გვიყვარს ლხენა“.

„მაშ მოვალთ შენდა, დიდო მგოსანო,
და მოგილოცავთ დიად დღეობას,
ეგ შენი სახე ლამპრათა უდგეს
ჩვენს დაცემულ ხალხს, მამულს და ძმობას.

მართველი ამხანაგობისა მელიტონ კელენაერიძე.
მდივანი ამხანაგობისა მიხეილ ცხაკაია

საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება:

დიდათ ჰატვიცემულა თაკადო რაფიელ დაკითის ქუქ!

საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ, ჩვენდა სასიამოვნოთ, დაგვაელა მოგილოცოთ დღევანდელი დღე—შესანიშნავი არა მარტო თქვენთვის, არამედ იმ საზოგადოებისთვისაც, რომელიც მას დღესასწაულობს.

ამ დღესასწაულიდან ცხადათ სჩანს, რომ თქვენს 50 წლის მოღვაწეობას სამეცნიერო და სალიტერატურო ასპარეზზე არ ჩაუვლია უქმათ და უღვიძებია საზოგადოებაში ის კაცობრიული აზრები, რომელიც ნიჭიერათ დახატულია თქვენს თხზულებებში.

თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა უკვე იყო ღირსეულათ დაფასებული სამეურნეო საზოგადოებისგან. თქვენგან შედგენილი (1873 წ.) მცენარეთა ლექსიკონი სამეურნეო საზოგადოებამ დააჯილდოვა დიდი ვერცხლის მედალით.

თქვენი ლიტერატურული მოღვაწეობა, უმთავრესი საგანი თქვენი პოეზიისა, რომელსაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ერისათვის, თუმცა პირდაპირ არ ეკავშირება სამეურნეო საზოგადოების მისწრაფებას, მაგრამ შეეხება იმ ნაწილს ერისას, რომელიც დამყარებულია მეურნეობაზე. უფალმა განაგრძოს თქვენი დღენი მრავალ ჟამს სამშობლოს სასიქადულოთ და სანუგეშოთ.

თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და სხვანი.

თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა:

ჩვენო მგოსანო, ძვირფასო გულის მოპასუხე ჩვენი მთისა და ბაჩისა!

დღეს მთელ საქართველოსთან ერთათ თბილისის სათავად-

აზნაურო სკოლაჲ თავის მოსწავლე და მასწავლებლებით გილოცავს ამ შესანიშნავ საეროვნო დღესასწაულს და გიძღვნის სალამს. დღეს შეგიძლია სავსებით დასტკბე შენი ორმოცდაათი წლის პოეტური მოღვაწეობით. უკვდავი ლექსები, შენი კალმით დაფრქვეული მარგალიტები, დიდი ხანია მოიფინენ ჩვენს საყმაწვილო წიგნებში; მათ ზეპირობს გულმოდგინეთ, მღერის ხალისიანად ჩვენი მოზარდი თაობა; ამ ცქრიალა, სამური ლექსებით იგი სწავლობს და ითვისებს ტკბილ დედა-ენას; იფაქიზებს, იცხოველებს სულსა და გულს; იღვიძებს და ინათლებს გონებას; შენი ლექსების წყალობით მოსწავლე ახალგაზდობა ინერგავს გულში წრფელ სიყვარულს ჩვენი მრავალტანჯული ერისადმი და მეტადრე ბედ-შავი გლეხ-კაცობისადმი; აი, სად მოელის შენისთანა კეთილ მთესავს უხვი სამკალი. მთასაჲ ესმა შენი უკვდავი ჩანგის ჟღერა, გულს მოხვდა და ბანი მოგცა. დღეს ხარობს მთელი საქართველო, ამერ-იმერი გითვლის სალამს, გამკობს და გიწნავს გვირგვინს. გაიხარე და დასტკბი, ჩვენო ტკბილო მგოსანო! შენი ჩანგის ჟღერა დღეის იქით უფრო შორს და ფართოთ მიმოეფინება ჩვენი ქვეყნის მთასა და ბარს და, თუ დღეს ხედავ ამ სასიხარულო საეროვნო დღესასწაულს, მომავალი ერთი-ორათ უფრო მეტი დიდებით შეამკობს იმის სახელს, ვინც შეჰქმნა: „თინას მამითადი“ და „სამშობლო ხევსურისა“.

ჭუთათური ჟღერა:

სამშობლოსათვის თავ-დადებულ და დაუცხრომელ მუშაკო!

აი ეს ნახევარი საუკუნეა, რაც შენს საყვარელ ერს ემსახურები და თავს დასტრიალებ! ყოველ-გვარ ლიტერატურაში გიცილია შენი ნიჭი და სინიღისიერათ შეგისრულებია გიღვევაც შრომა, რომელიც გიკისრია; მაგრამ ქველაზე უფრო დაფა-

სებული და დაუვიწყარი შენი თანამემამულეთათვის დარჩება შენი პოეტური ნაწარმოები, საყვარელო მგოსანო! იქ, იმ ტუბილს და გრძნობით სავსე ლექსში დინჯი, მოსვენებული კილოთი, მაკრამ შეურყევლათ დაგიჟინია, რომ ქართველი ერი ვერ დაივიწყებს თავის ენას; იქ მეღვრათ, გულ-გამეხებული, ვაჟკაცურათ გაიძახის შენი ზევსური—იგივე ქართველი—„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“... იქ გვაცნობ და ძმურათ გვიახლოვებ „ჩატეხილ ხიდს გაღმა დარჩენილ“ ქართველ გლეხს, გვახედებ მის პატიოსან და სანდო გულში, გვაყვარებ მის „ნიკორას“, მის ჯან-საღ შრომას, სიცოცხლეს და ბოლოს გვიხატავ ქართველ ქალს, რომელიც შოითხოვს თავის საქმროსგან თავ-განწირულებას საგმირო საქმეებში, ყოველი ეს დიდებული გრძნობა არ დაივიწყება ქართველი ერისგან განურჩევლათ სქესისა.

იხარე ბედნიერო მგოსანო, შენ გხვდა წილთ ტკბილი ხვედრი: მოიმკე ას წილ ის, რაც დასთესე კურთხეული ხელით.

მამა-შვილური გრძნობით მოვიქცევით შენდამი, მსცოვანო მგოსანო, ქუთათური მანდილოსნები და აღვითქვამთ საქვეყნოთ, რომ ვეცდებით ღრმათ დავიმარხოთ გულში და გადაეცეთ ჩვენ შვილსა და მომავალს ის დიდებული აზრები მშვენიერი გრძნობანი, რომლებიც უხვათ არის გაბნეული შენს ნაწარმოებში.

ქართველი დედები:

მაღალ დიძსეულო მგოსანო რაფიელ!

ჩვენ, ქართველი დედები, გილოცავთ შენ ორმოც-დაათი წლის სახელოვან ფილვაწეობას პოეზიის სარბიელზე და ვამაყობთ, რომ ქართველმა დედამ, ქართულმა ნიადაგმა შობა

გამოზარდა, ააყვავა და დაამწიფა შენისთანა მძლავრი ღონე და ნიჭიერება.

ჩვენ, ქართველი დედები, გილოცავთ შენ, რომელმაც შექქმენ ახალი ხანა ჩვენს პოეზიაში მით, რომ პირველმა ღრმათ ჩაიხედე გლეხის გულში, შეისწავლე მისი წრფელი სული, მისი სადა და მარტივი მისწრაფებანი, მისი ზღვაზე უღრმესი ჭირვარამი და ამ მისდამი მზურვალე სიყვარულით არა ერთი გამოიწვიე მომბაძავი მწერლობაში. ერთი სიტყვით შენით იწყება მწერლობის ახალი ხანა, შენით მყარდება ძმობა ერთობა, სიყვარული და თანაგრძობა ხალხსა და მათ წარმომადგენელთა შორის.

გილოცავთ შენ „ხ ე ვ ს უ რ ი ს ს ა მ შ ო ბ ლ ო“-ს ავტორს და ვინატრით, რომ ამ ლექსის სიტყვები:

სამშობლო, დედის ძეძუი, არ გაიტკელებს სსკაზუდა...

როგორც უფადა, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!

არ გაგვკვლი ჩემს სამშობლოს სსკა ქვეყნის სამოთხეზედა.

შენს სახელთან ერთათ წაუშლიელათ აღბეჭდებოდეს ყოველი ქართველას გულში და აცხოველებდეს მას პატრიოტულ გრძნობას და მისწრაფებას.

დასასრულ, ჩვენო უძვირფასესო რაფიელ, ქართველი დედები ვინატრით შენს დღეგძელობას, ბედნიერ ცხოვრებას და მოგიძღვნით ჩვენს უსაზღვრო სიყვარულს და პატივისცემას.

სენაკის სათავად-აზნაურო სკოლა:

ყოვლად გონიერო, ქართველთათვის

სასიქადულო მკლასნო!

დღეს ყველა მასწავლებელი იმ კუთხისა, საიდანაც მე გაიხელით, დიდი სიხარულით, სიყვარულით და მადლობის გრძნობით გახსენებს და ღმერთს სთხოვს განაგრძოს თქვენი სი-

ცოცხლე, სიცოცხლე ჩვენი საყვარელი პოეტისა, რომლის ქნარი ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში დაუღალავათ და ნიჭიერათ ემსახურება ქართველთა სამშობლოს.

თქვენ, დაუვიწყარო მგოსანო, მხატვრულათ გვისურათებდით ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს და გულწრფელათ გვამცნობდით ჩვენი ერის ყოველი წრის ნაკლულევენებას, მაგრამ განსაკუთრებითი ეროვნული ხასიათი მაშინ გამოიჩინა თქვენმა კალამმა, როცა მან ჩაგვახეჯა დაბალი ხალხის ბეჩავს ცხოვრებაში და დაგვიხატა მისი ტანჯვა და ყოველ დღიური ვარამი. ამ მიმართულების გამომეტყველი თქვენი ლექსები მოსწავლე ახალგაზდობას გულსა და გონებაში ისე ღრმათ უნერგვენ სიბრალულს დაჩაგრულისადმი, რომ ასეთ ლიტერატურულ ნაწარმოებზე აღზდილი ახალი თაობა, იმედი გვაქვს, შედგრათ ღ შეუპოვრათ გამოესარჩლება ჩვენი ერის უმეტეს და დაჩაგრულ ნაწილს, რომლის კეთილდღეობაზე უნდა აშენდეს ქართველთა ეროვნული დიდება.

ხოლო ისეთი ლექსები, როგორც არის „სამშობლო ხეესურისა“, ახალ-გაზდასაც და მოხუცსაც იმდენათ უღვიძებს მამულის სიყვარულს, რომ ყველა მზათ არის თავ-განწირულებამდე მივიდეს და თვით—„თოვლიან ყინულიანი“ კუთხილამაც ერთი მტკაველი მიწა თავისი მამულ-დედულისა არაგის დაუთმოს. ასე გვესმის თქვენი სამსახური სამშობლოსადმი.

მოწიწებით მოგართვეს ჩემმა ამხანაგებმა მცირედი ნივთი. მიიღე, საყვარელო პოეტო, ეს პაწია ძღვენი ასეთი დიდებული წამის სახსოვრად. მრავალ ჟამიერ თქვენი სიცოცხლე!..

ჭუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეები:

ჩვენ სჯეჯარულ მამტკარო, ძვირფასო პოეტო რაფიელ!

ჩვენი სიღარიბე, რომელიც, შეიძლება, თქვენც მოგეხსენებოდეთ, გვაბედვინებს ასე მცირე ძღვენის მორთმევას.

თუმცა ჯერ ერთობ მცირეწლოვანები გახლავართ, მაგრამ კარგათ გვესმის, რომ თქვენისთანა მოღვაწე, სამშობლო ენისა და მამულის სიყვარულსა და სამსახურში მოხუცებული, ღირსია თავის თანამეუბლებათაგან თაყვანისცემისა.

ჩვენც გვწადია გამოვიცხადოთ ჩვენი გულის-პასუხი, ჩვენი გულის-თქმა:—გთხოვთ, მიიღოთ ეს მცირე ძღვენი ნიშნათ ღრმა პატივისცემისა და გულითადი სიყვარულისა.

ჭუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეები.

საკვირაო სკოლა:

ძვირფასო პოეტო, ბ.ნო რაფიელ!

გამსჭვალულნი ღრმა და გულწრფელი თქვენდამი სიყვარულით, რომელიც აღუხოცველათ ჩვენს გულში აღბეჭდა თქვენმა მრავალგვარმა ხანგძლივმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ, სულით და გულით ვისწრაფით შეუერთდეთ საზოგადო ღიტიანას და მთელ საქართველოსთან ერთათ ვისურვებთ, რომ თქვენი მამულიშვილური გულის ცემა ისმოდეს ჩვენ შორის მრავალ უამიერ.

თბილისის დედათა საკვირაო სკოლის მოსწავლემელი ქალნი და მოწაფენი.

მოსწავლეებელ და აღმზდელ ქალთა საზოგადოება:

ღრმად პატივცემულ ბატონო რაფიელ!

მოსწავლეებელ და აღმზდელ ქალთა საზოგადოება სიხარულით და გულის სიწრფელით ეგებება ბედნიერ დღეს თქვენ-

ნი ორმოც-და-ათი წლის მოღვაწეობისას სალიტერატურო ასპარეზზე. თქვენი სასიქადულო ღვაწლი, რომელიც დიად ღირსეულათ დაფასებულია ყველასგან, ვისაც-კი სწამს დიადი საქმე ხალხთა გონებრივი წარმატებისა, არის ჩვენთვის დაუვიწყარი მაგალითი პატიოსნური შრომისა და მოქმედებისა.

ვერაღებო-რა განურჩევლათ ეროვნებისა ან საზოგადო დღესასწაულის დროს, ვისურვებთ, პატივცემულო პოეტო, რომ სიყვარულის მაღალი გრძნობით გამსჭვალული თქვენი კალმის ზეგავლენა უფრო-და-უფრო გაძლიერებულიყოს კავკასიის მკვიდრთა განსანათლებლათ.

მასწავლებელ და აღმზდელ ქალთა საზოგადოება.

წინარეხის სკოლა:

ეკლასგან ღრმით პატივცემულო, ენა-ტკბილო მგოსანო!

ყოველი ქართველი ბედნიერათ უნდა აღიარებდეს თავის თავს, რომ თქვენ, ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნაშრომ-ნაღვაწს კიდევ ჯანღონებზე გხედავს! დიდათ პატივს გცემენ ქართველი სახალხო სკოლები, რადგან დაულალავი კალმის წვერით, თქვენი ენა-წყლიანი ლექსით, მშვენიერათ დახატეთ ჩვენი გლეხის გულ-კეთილობა, მათი ერთმანეთის გატანა, მშობლებისა და ოჯახის სიყვარული და მრავალი ამისთანა კაი გრძნობანი.

თქვენი ლექსი „თინიას მამითადი“ ამხნევებს ყოველ ოხერტიალ ქვრივს, ღარიბ ადამიანს და უღვიძებს შველის სურვილს ცოტათი მეტად შეძლებულ გლეხს. ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ ხომ განხორციელებული სამშობლოს სიყვარულია! ამ ლექსის მომსმენი, თუ წამკითხველი, ღოცვა-კურთხევით განხენებს, ჩვენო ხალხის გულში მჯდომო მგოსანო, და გაკვირვებული ამბობს: „ეს ღვთისაგან კურთხეული, ამ ლექსის

გამომთქმელი, სწორეთ ჩვენს გულში მჯდარაო“. გლეხის ცხოვრების დამხატავი თქვენი ლექსები საყვარელი ლექსებია სოფლის სკოლებისა და ამის გამო მთელ ხალხში მოდებუღია მათი კითხვა-სიმღერა. ამ ბედნიერ დღეს, როდესაც ეს ამო დენა საზოგადოება შემოგხარის და როდესაც ყოველი ქართველის სიხარულს და სიამაყეს შენ შეადგენ, ჩვენო დაუფიწყარო მოღვაწევ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოფ. წინარეხის სკოლის ნაშაგირდლები და მათთან ერთათ მეც, ხსენებული სკოლის მასწავლებლათ ნამყოფი, გილოცავთ თქვენი თვალსაჩინო მოღვაწეობის ორმოც-და-ათი წლის შესრულებას ქართული მწერლობის სარბიელზე და ვისურვებთ თქვენს ბედნიერ სიცოცხლეს.

სოფ. წინარეხის სკოლის მასწავლებლათ ნამყოფი სალ. მაღალაშვილი და მოსწავლეებად ნამყოფნი ბიხა ქეზებაშვილი და ნინო შარმანაშვილი.

„მოამბე„ და ქართული ჟურნალ-გაზეთები „ივერია“, „კვალი“, „მწყემსი“ და „ჯეჯილი“:

სასიქედუფო მგოსანო!

ქართული ჟურნალ-გაზეთობა სიხარულით გილოცავს დღევანდელ დღესასწაულს. ეს დღესასწაული საერთოთ ჩვენი ღზინი რ მუჯლისიცაა. ის პატარა კალამი, რომელიც ფარიცაა და ხმალიც, მაშინ აიღეთ ხელში, როცა ჯერ პატივცემაში არ იყო ჩვენი მწერლობა, ეს საღარო და განძი ჩვენი ერის ჭკუაგონებისა. დღეს-კი სხვათა შორის თქვენის მაღლ-მოსილი ნიჭის წყალობით, პატივი დაედო მწერლობას და ქვეყანა სიყვარულით იხსენიებს თქვენისთანების სახელს. მთელს ნახევარ ასუკუნეს ჰყდერდა თქვენი ჩანგი. აღვიძებდა მთა-ბარს და იფრ-

ქვეოდა ყოველ მხრივ ცრემლი სიხარულისა, ღმობიერებისა, თქვენდამი მადლობისა და სიყვარულისა! ვერა-რა იწროებამ, ვერა-რა განწირულებამ ვერ დაგათმობიათ სამგოსნო ჩანგი— ეგ ნუგეში თქვენი და უმეტეს ნუგეში თქვენგან ესოდენ შეტკბობილის «ბეჩაფი» ერისა. მაშ, ნუ გაგიკვირდებათ, რომ ყველა მისი წარმომადგენელი დღეს აქ არის სიხარულითა და მადლობით აღვსილი, პატივსა სცემს თავის ტკბილ მგოსანს. ვინც ვერ მოვიდა, იმის გულიც დღეს თქვენთან არის, თქვენ გეკუთვნით, ჩვენო ძვირფასო მსცოვანო პოეტო. იცოცხლეთ, იცოცხლეთ კიდევ დიდ-ხანს ჩვენდა სანუგეშოთ, ჩვენდა სასიქადულოთ!

კახელები:

მგოსანო!

კახეთი თავს გიკრავს თავის დიდებულ შვილს, ბატონო რაფიელ! გიცხადებს პატივის ცემას ზე გადიდებს შენ, რომელმაც იტვირთვე ღვაწლი დიადი, სამშობლოსათვის მრავალ-ნაყოფიერი და ცხოველს-მყოფელი.

გაქებს დაულაღავ მუშაკს, რომელმაც გაუხსენი მოსიყვარულე გული დიდსა და მცირეს, ქვრივსა და ობოლს, ბატონსა და ყმას, უწყალოსა და მოწყალეს, მღვდელსა და ერს, (ცოცხალსა და მკვდარს) და ყველას თანაბრათ მოჰფინე გულის სიღრმიდან ამონადუდი საღმრთო გრძნობა.

შენი ქვეყანა ვერ დაივიწყებს შენ სახელს, ვიდრე პირში სული უდგია და ამ სულის სარკეთ ექმნება „სამშობლო ენა“. უკვდავება შენი, მსცოვანო მოხუცო, და შენი სამშობლოსი ერთ-ერთზე უწყვეტელი ჯაჭვით გადაბმულია; შენ აღაფრთოვანე ყოველს ჩვენგანში გრძნობა და სიყვარული სამშობლოსადმი და მით აღზარდე მომავალი შენის ერისა.

დღეს, როცა 50 წლის შრომას მოუნიჭებია შენტვის უფ-
ლება შეკვრისა და გახსნის, წყევისა და ლოცვის, შენი ქვე-
ყანა ჰფიცავს შენს წინაშე,—როგორც შვილნი ისრაელთანი
ჰფიცავენ ოდესმე წინაშე მამამთავრისა თვისისა იაკობისა, რომ
ყოველ ღონისძიებას იხმარს შენი მოძღვრება დედის ნანასთან
ერთათ ჩააწვეთოს თავის შვილებს, რათა სრული ღირსებით
შეეძლოთ წარმოთქმა ზეგარჯმო შთაგონებით შენგან ნათქვა-
მისა: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ
გავცვლი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“, ჰფი-
ცავს ქართველობა წინაშე შენსა, ცოცხლათ, დიდებულთა ენოქო
ქართველთაო, რომ არ უღალატებს შენგან გაკვლეულ გზას
და საუკუნოთ იქმნება შენი ღირსეულათ მხსენებელი.

გურულები:

ჩვენს სასაქადულო მგოსანო, ძვირფასო თავადო რაფიელ!

გურიათ წარმოგვგზავნა თქვენ წინაშე, გამოგიცხადოთ უ-
გულათადესი პატივისცემა და სიყვარული. გურია აფასებს თქ-
ვენს ორმოც-და-ათი წლის მოღვაწეობას მწერლობის ასპარეზ-
ზე. დღეს აქ დამსწრე ჩვენ გურულთაგან მიიღეთ სახსოვრათ
ეს წვლილი, ხოლო გურიათ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილე-
ობა თქვენ სახელზე ფონდის შედგენაში. დასასრულ ვისურ-
ვებთ მზგავსათ სკიმონ მოხუცისა მოსწრებოდეთ იმ ბედნიერ
წამა საქართველოსთვის, როდესაც შეგეძლებათ გულდამშვიდებით
ნუგეშ-ცემულს წარმოთქმა: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო,
სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემ-
თა მაცხოვარება შენი“.

ბათუმელები:

ჩვენო სასიჭადულო და საუკარულო მგოსანო!

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც თქვენ პირველათ ააჟღერეთ საერო კილოზე გრძნობათა ამშლელი საამო და ტკბილი სიმები. ძნელი და ეკლით მოსილი რყო, მეტადრე ჩვენში, ის ღრო, როცა თქვენ თავს იდევით მწერლობის მსახურება. ქართულ სტამბას ჯერ კიდევ ფეხი არ მოეკიდებინა, საზოგადო გრძნობა და აზრი ჯერ კიდევ ნათლათ არ გამორკვეულიყო.

თქვენ ეკუთვნით იმ მარათ დაუფიწყარ ქართველ მოღვაწეთა გუნდს, რომელიც ვერ შეაფერხა ვერა დაბრკოლებამ, რომელსაც ვერ გაუტება გული ვერა უკულმართმა გარემოებამ. არ იყო სტამბა, მაგრამ თქვენი ნამდვილი ქართული, მაღლიანი გულიდან ამონადენი, სიმღერა-ლექსები ხელთნაწერით იფინებოდა საქართველოში; იფინებოდა და ზდიდა-ამაგრებდა სიყვარულს მრავალ-ტანჯულ ტურფა მამულისას.

იმ ღვაწლსა და სამსახურს, რომელიც თქვენ გაუწიეთ საშობლო მწერლობას, — თუ ენის გაშვენიერებით ზე ნამდვილი საერო კილოს შეტანით პოეზიაში, თუ ქართველი კაცის გრძნობიერი გულის შესწავლით ზე თან ღრმა პოეტური შემკულობით, — ღირსეულათ დააფასებს ჩვენი მწერლობის მომავალი ისტორია.

ახლა თქვენისთანა წრფელ და ფრიათ ნიჭიერ მუშაკთა წყალობით დრონი იცვალნენ. თქვენით აღზდილი საზოგადოება დღეს გულწრფელი სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით ეგებება ნახევარი საუკუნის თქვენს ნაყოფიერს და ზეგარდმო მაღლით აღბეჭდილ მოღვაწეობას.

მოკლებულნი თქვენს ხილვა, ჩვენც, შავი ზღვის პირათ მყოფი ბათუმის ქართველობი, ვუერთდებით დღეს ჩვენი გრძნო-

ბებით დანარჩენ ქართველობას ლ, ესარგებლობთ-რა ამ დიადი წამით, მხურვალეთ გიძღვნი, ძვირფასო მგოსანო, ამ საქართველოს ძველთა-ძველ კუთხიდან ჩვენი წარმომადგენლების პირით უგულითადეს სალამს, მოწიწებითს პატივისცემას და ვინატრით თქვენს სიცოცხლეს მრავალ ჟამიერ.

ბათუმის ქალაქის მოურავი ასათიანი, გრ. ვოლსკი და სხვანი.

ქუთაისელები:

უხუცესო და სსსიქადელო პოეტო ჩვენო, ბატონო რაფიელ!

ქუთათურები, დიდათ პატიემცემელნი შენი მაღალი პოეტური ნიჭისა, გილოცავენ ჩვენი პირით ორმოც-და-ათი წლის სამშობლოს წინაშე სამსახურს. შენმა ნიჭმა განაშვენიერა დედა-ენა და დაატყო წაუშლელი კვალი ერის გონებითი და ზნეობითი წარმატებას, შენმა შვენიერმა პოეზიის კალამმა აგვადგმევინა ჩვენ ენა.ღმერთსა ეთხოვთ, რომ შენი ხანგძლივი და ბოლომდე სიჭაბუკით აღსავსე შრომა სამაგალითოთ დარჩენილიყოს მომავალ მოღვაწეთათვის.

თავადი პავლე თუმანიშვილი, ი. ჯაიანი და ა. ნანეიშვილი.

გორელები:

დიდად პატივცემულო ბატონო რაფიელ!

ღღეს შესრულდა მთელი ნახევარი საუკუნე მას აქეთ, რაც თქვენ პირველათ გამობძანდით საქვეყნო ასპარეზზე. იმ დროს მეტის-მეტ სავალალო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი მთელი ჩვენი სამშობლო მხარე. სამი ათასი წლის განმავლობაში თავგამოდებით მებრძოლი ერი ძილსა და მოსვენებას მისცემოდა. ეროვნული გრძნობა, მისი თავისუფალი ძარღვის ცემა თითქო სრულიათ შეჩერებულიყო, გამქრალიყო! ერის სულისა და გონე-

ბას საღამო-ჟამური ბინდბუნდი სუდარასავით გადაჰფენოდა და შავბნელი გარემოებანი, თუმცა შხამით საესე, მაგრამ ტკბილ ხმაზე ნანას უგალობებდნენ. პირველსავე ნაბიჯზე თქვენმა გამ-ჭრიახმა თვალმა ცხადათ შენიშნა ეს სამწუხარო მდგომარეობა მოძმე ერისა და აღივსო იმ ჟამიდან თქვენი პატიოსანი გული სამშობლო ქვეყნის სიყვარულით. ეს დიდებული გრძნობა გარ-დაიქცა მთელი თქვენი მომავალი ცხოვრებისთვის ბეთლემის ვარსკვლავათ, რომლისაგან განათებულ გზას არ გადასცილებია არცა ერთი ბიჯი თქვენი მსვლელობისა.

გამოფხიზლება მიძინებული მოძმისა, განცხოველება მასში ეროვნული გრძნობისა,—აი ის დიდებული საგანი, რომლის წინაშე მოწიწებით გქონდათ მარათ გადაშლილი თქვენი სული ღ გული, თქვენი „ზეგარდმო მადლით ცხებული“ ნიჭიერება. ამ წმიდა საგნის სადიდებლათ მოიმართა პირველათვე თქვენი მად-ლიანი ჩანგი და მას აქეთ ორმოც-და-ათი წლის განმავლო-ბაში შეუჩერებლივ ისმოდა მისი ზეციური წკრიალი, ხან ღრმა მწუხარებისა და სევდა-ვარმის გამომხატველი, ხანაც საესე მამა-პაპური ქველობითა და მხნეობით.

დღეს, უპატივცემულესო რაფიელ, თქვენა ჰგევხართ იმ გუთნის დედას, რომელმაც ერთგულათ მოხნა მინდორი, საგან-გებოთ გარჩეული ხორბალი დათესა და, თუმცა ათასნაირი უა-მინდობა ხელს უშლიდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოესწრო ნა-თესის აღმოცენას და თავისი თვლით ნახა ლამაზათ აბიბინე-ბული ყანა. ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში თქვენის გუ-ლიდამ აღმოფეთქილი გრძნობებ ამ ჟამათ ფესვ გადგმულია მთლათ საქართველოში, რომლის სხვა-და-სხვა მხარეთა წარმომადგენე-ლნი დღეს აქ, თქვენ წინაშე, შეყრილან, რათა წრფელი გუ-ლით მოგიძღვნან მალლობა და პატივისცემა!..

გორის საზოგადოება.

ახალციხელები:

თქვენო ბრწყინვალეხვ, თაკადო რაფიელ დავითის ძე!

შესრულდა ნახევარი საუკუნე მას შემდეგ, რაც ზეციურმა ნიჭმა, ჩანერგილმა თქვენს გულში, იჩინა თავი. იგი ვარდის კოკორივით დღითი დღე იფურჩნებოდა და ბოლოს გადიშალა მდიდრათ, შვენეერ და სურნელოვან ყვავილათ.

მართლაც, თქვენ ღვაწლს სამშობლო მწერლობის სარბი-ელზე მრავალ ქართველისთვის აუტოკებია გული, გაუღვიძებია მის გულში სამშობლოსა და დედა-ენის სიყვარული.

თქვენ გვარი სამშობლოს მოყვარე და ღვაწლით შემოსი-ლი ქართველი, თავისი ეროვნებისა და ენის დამცველი, გა-მღვიძებელი ეროვნულ გრძობა-მისწრაფებათა, მართლა რომ იშვიათია ჩვენში და ამიტომ ვალდებულნი ვართ ამისთანა მო-ღვაწე დაუვიწყარ-ვყოთ ჩვენცა და ჩვენმა მომავალმაც.

ვერც დაივიწყებს ქართველი ამ მოძღვრების წარმომთქ-მელს:

„სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გაიტკეპების სხვაზედა:
ოწიკ ტკბილია, ძმობილო,
მირჩვენის ორსაკ თვალზედა.
როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა...
არ გავცვლი სულს კლდეებსა
უკვდაკებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..“
და: „ენით ვცოცხლავარ,

მით მიუკაცხვარებ,
 მიუკაცხვარებ სამშობლოს
 მე დედაქანს!..“

მარტო ამ სტრიქონებით სრულიად იხატება ისეთი ეროვნული გრძნობა, რომელიც ხდის მოღვაწეს დაუფიწყრათ საერო-ვნო ისტორიაში, სადაც იგი აღინიშნება ოქროს ასოებით.

ღრმა გრძნობანი, რომელნიც იხატებიან თქვენ მიერ ქმნილ ლექსებში, ამხილებენ თქვენში უმანკო გულს, საფუძვლიანათ ადამიანის ბუნების ცოდნას და იმ საკვირველ ნიქს, რომლის ძალითაც მწერალი აღვიძებს მკითხველის გულს და ამცნობს, რომ ადამიანს ამ მოკლე ცხოვრებაშიაც შეუძლიან იპოვოს სიამოვნება, თუ-კი იგი იმ ღვთიურ ნაპერწკალს, რომელიც ბუთბუთავს ყოველ ჩვენგანის გულში, განაღვივებს სწავლით, განათლებით და ერთ-ერთის სიყვარულით.

ჩვენ, ქ. ახალციხეში მცხოვრებმა ქართველთა პატარა საზოგადოებამ დიდი სიამოვნებით მივიღეთ ის ამბავი, რომ დღეს მთლათ საქართველო დღესასწაულობს თქვენს დიდებულ მოღვაწეობას ქართველთათვის ნახემარი საუკუნის განმავლობაში. ყოველი ჩვენგანის გული სავსეა გრძნობით და მადლობით იმის გამო, რომ არა ერთ გზის დავმტკბარვართ, როცა-კი გადგვიკითხავს თქვენი თხზულებანი.

სამაგიეროდ ამისა მიიღეთ ჩვენგანაც გულით და სულით პატივისცემა და მადლობა იმ სიტყვობებისა და გრძნობის გაღვიძებისათვის, რომელიც უეჭველათ უნდა ყოფილიყვნენ შედეგათ თქვენის ჩინებული მწერლობისა, თქვენი პატიოსანი და მგრძობარე გულისა, თქვენი ღვაწლისა, რომელიც დასდეთ საქართველოს, როგორც პოეტმა, საზოგადო მოღვაწემ და მოძმეთა მოყვარე პირმა.

გარდა ამისა, ჩვენი ქართველთა პატარა საზოგადოება ნიშნათ თქვენდამი პატივისცემისა და სიყვარულისა წრფელი

სურვილით აგროვებს თანხას შესაერთებლად იმ ფონდისა, რომელიც არსდება საქველ-მოქმედო მიზნით სახსოვრად თქვენის საუკუნოთ დაუფიწყარი სახელისა.

ქ. ახალციხეში მცხოვრები ქართველობა.

ივრის ხეობის მცხოვრებლები:

ბატონო რაფიელ!

ჩვენ, ივრის ხეობის სოფელს მცხოვრებნი, მკვიდრნი და მოსულნი, სიხარულით ვეგებებით ამ დღეს, როდესაც პირველათ გვეძლევა შემთხვევა განვუცხადოთ გულითადი პატივისცემა ჩვენ ქართველ პოეტს. ორმოც-და-ათმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც თქვენ ემსახურებით ქართველთა ერის განათლებას. თქვენ ეხლა მოხუცი ბძანდებით, მაგრამ იგივე ჭაბუკი სულით ღ გულით. თქვენი წინაპარნი იყენენ თავნი ერისა, იგივე ხართ ამ ჟამად თქვენც, ხოლო სხვა იარაღით შემკული. ღმერთსა ვთხოვთ, მრავალ ჟამიერ ჰყოს თქვენი სიცოცხლე ჩვენ სასარგებლოთ და თქვენ სასიამოვნოთ.

ექიმი აბელ იაშვილი და სხვანი...

18 ოქტომბერი 1895 წ.

ს. საგარეჯო.

დალისტანში მცხოვრები ქართველობა:

დიდათ-პატიოსანო მოღვაწე,

რაფიელ დაკითხის ძეგ!

თქვენი ცხოვრების შესანიშნავ დღეს წრფელი მხიარულებით ეგებება დალისტანში მცხოვრები ქართველობა, რომელიც თქვენი ორმოც-და-ათი წლის სალიტერატურო და სასაზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის დღეობაში ხედავს ეროვნულ

დღესასწაულს ზე ქართული ლიტერატურის მჭიდროთ დაკავშირებას ჩვენ ერის ცხოვრებასთან. ეს პრავალ-მნიშვნელოვანი დღე გვაძლევს ჩვენ ახალ ძალას, რწმენას და იმედებს საუკეთესო ბრწყინვალე მომავალზე. დაღისტანში მყოფი ქართველობა თავს იხრის იმ დედა-აზრების წინაშე, რომელთაც თქვენ ემსახურებოდით ნახევარი საუკუნის განმავლობაში. თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობა, თქვენ მიერ მოპოვებული თანამედროვე ახალგაზღობისა და ახალი მოზარდი თაობის თანაგრძნობა გვამხნეებს და ვპოვებთ მასში დაუშრეტელ წყაროს თვითწარმატებისას, წინმსვლელობისას. თქვენი სულის ძლიერება და თქვენ მიერ დათესილი სიკეთე, რომელნიც ღრმით ჩაინერგენ ჩვენს გულში და ოქროს ასოებით აღიბეჭდენ ჩვენს გონებაში, კეთილათ იმოქმედებენ ჩვენს გრძნობებზე ეროვნული თვით-ცნობიერების გასაღვიძებლათ და ეროვნული თვით-არსებობის დასაცველათ. პატივი და დიდება თქვენისთანა გონიერს და დაუღალავ სამშობლოს მოწვაწეს! დიდება და პატივი თქვენისთანა ნამდვილი უროვნული პრინციპების დამცველ მამულიშვილს! მიიღეთ ჩვენგან, სახელოვანო ქართველო, სრულიათ გულწრფელი მოლოცვა ამ თქვენი ცხოვრების შესანიშნავ დღეს, ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენს მამულს არ მოჰკლებოდეს თქვენისთანა თავდადებული მშრომელი მოძღვარი და გონიერი, სიცოცხლითა ზე სათნოებით სავსე წინამძღოლი! ღმერთმა პრავალ ჟამიერ მოგანიჭოთ დღეგძელობა ჩვენის ძვირფასი სამშობლოს საკეთილდღეოთ!

ვშთებით, კეთილშობილო მშრომელო რაფიელ დავითის ძე, თქვენი ღრმათ-პატივისმცემელი და კეთილდღეობის მსურველი, დაღისტანში მცხოვრები, ქართველობა.

ბანჯელეზი:

ბატონო რაფიელ!

ქ. განჯისა და განჯის რკინის გზის სადგურის ქართველობა პატივისცემით გილოცავთ ორმოც-და-ათი წლის გულწრფელ მოღვაწეობას ქართული მწერლობის ასპარეზზე, როგორც მრავალს ჭირში მყოფის ქართველი გლეხის გრძნობისა და ხასიათის გამომეტყველს.

ჩვენთვის დაუფასებელია ის უანგარო შრომა, რომლითაც ემსახურებოდით სამშობლო ლიტერატურას ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ხალხში დაჩაგრული მოძმისადმი გულშემატკივრობის გამოსაწვევით.

ის ძვირფასი გრძნობა თქვენგან ნაგალობი მამულის სიყვარული ქართველთა გულს მგზნებარეთ მოდებული ექნება, ვიდრე პირში სული უდგიათ.

ქართველობა.

მოსკოვში მცხოვრები სტუდენტები:

უღრმესათ ჰატიგტუჟლო ბ-ნო რაფიელ!

დიდი ხნის ნატვრა აღსრულდა და ძლივს ველირსეთ იმ სასიამოვნო წუთს, როდესაც ერი გულახდით ეგებება სამშობლოს ღირსეულ მოღვაწეს, რათა განუზიაროს მას უაღრესი მადლობა და თანაგრძნობა. მით უფრო გვიხარის ეს წუთი, რომ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო საზოგადოთ ვერ გვიხერხდება ჩვენი მოღვაწეებისადმი ღირსეული პატივისცემის გამოაშკარავება, რითაც ვაკლებთ მათ თავის ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგის ხილვას. ეხლა, საბედნიეროთ, გველირსა ამ ხანგძლივი ნაკლის თავიდან აშორება და სიამოვნებით ვეგებებით თქვენი მოღვაწეობის ორმოც-და-ათი წლის შესრულების დღეს. სამ-

წუხაროთ, შორს ვართ და არ ძალგვიძს პირადათ მოგიძღვნათ ჩვენი მოლოცვა, მაგრამ ნება მოგვეცით აქედან მაინც ჩვენი აღტაცების ხმა შევეუერთოთ იმ წმიდა გულიდამ მძლავრათ აღმომსკდარ მადლობისა და თანაგრძნობის ხმას, რომლის გამოსაცხადებლათ საქართველოს მიდამოს ყოველი კუთხიდან შეგროვილან წარმომადგენლნი ოც-და-ორი ღვინობისთვის სადღესასწაულო სუფრაზე.

თქვენი პოეტური ქმნილებანი, ჩვენი სალექსო მწერლობის დამამშვენებელნი, რომელიც თავმომწონე ხმათ დაიგულებს „ხევსურის სამშობლო“-ს და „დედა-ენა“-ს, როგორც ყოველი მოსწავლე ყრმის, ისე მსცოვანის გულის გმირული სიამაყით ზღვით-არსებობის გრძნობით გამსჭვალველს, თქვენი სამეცნიერო ნაშრომები, მრავალი სხვა-და-სხვა საეთხოვრაფიო წერილები, საბას და საპუნებისმეტყველო ლექსიკონებზე დახარჯული მრავალფეროვანი შრომა, გამოცდილება, რითაც ღირსეული ხელმძღვანელობა გაუწიეთ მთელ ქართველობას, თანაც თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, უხილავი, მაგრამ მუდმივი თქვენი თანაგრძნობა-დახმარება ყოველ-გვარ საზოგადო საქმეში აჩენილი — ყველაფერი ეს სიამოვნების გრძნობით გვაგებებს ამ შესანიშნავ დღეს და ყველას ერთი სურვილით გვაერთებს, უაღრესი მადლობით, აღსავსე გრძნობით მოგილოცოთ ორმოც-დაათი წლის სასარგებლო მოღვაწეობის დღესასწაული და ვუსურვოთ თქვენს ქარმაგ მოხუცებულობას ხანგრძლივი დღეგძელობა მიენიჭოს ღირსეული მოღვაწეობის განსაგრძობათ.

დავშთებით თქვენი უგულითადესი პატივისმცემელნი:
მოსკოვის ქართველი სტუდენტობა და ა. ხახანაშვილი.

ხარკოვის ქართველი სტუდენტები:

ჩვენს ძვირფასო, მსცოვანო პოეტო, ბ-ნო რაფაელ

„კაცი ის არის, ვინც მამულს

გამოადგება შვილად,
ვისაც სამშობლო ტარად აქვს;
— თავი-სამსსკეპზლო წილად,
ქვეყნისა ცრემლი ჭირად უხნს,
მისი დიმილი—ფსინითა.
გინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შემოაჯდება ოთილათა“.

თ. რ. ერისთავი.

ყველა შეგნებული ქართველი განუსაზღვრელი სიხარულით ეგებება დღევანდელ დღეს, როდესაც ვდღესასწაულობთ თქვენს დაულალავ და ნაყოფიერ მოღვაწეობას სალიტერატურო ასპარეზზე ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში. თქვენ იმ თავითვე ადამიანის იდეალათ დასახეთ ის კაცი.

„გინც მოძმეს გუფსა გაუხსნის,
თავს აუცილებს კნებასა,

იბრძვის და იბრძვის ერისთვის,
ქვეყანას მისცემს შეებასა“...

მოძმისთვის შეველა, ერისთვის ბრძოლა და სამშობლოსათვის მსხვერპლად თავის დადება, აი რა შეადგენდა თქვენს უბირველესს აზრს, თქვენ „წმიდათა-წმიდას“. გულწრფელად, დაულალავად და ერთგულად ემსახურებოდით ამ აზრს ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ხელოვნური, სიმშვენიერით აღსავსე ნაწარმოების საშუალებით ავრცელებდით მას ქართველ საზოგადოებაში და აყენებდით სწორ გზაზე სიბნელით გარემოცულ, დაჩაგრულ თანამემამულეებს. არც ერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა არ დაგიტოვებიათ უყურადღებოდ, ძვირფასო პოეტო! თქვენ შეიქენით „გლენთა მგოსნათ“ და სავსებით და მარტივად დაუხატეთ საზოგადოებას გლენის მდგომა-

რეობა; ხელოვნურად, ცოცხალი ხალხური ენით დაასურათეთ სიმპატიური თვისება გლეხისა, რომელიც „მუშა კაცია, მშრომელი, მექონი დიდის სულისა“, და ღირსი არ არის სხვას ემონებოდეს. თქვენ თითონ გაუხდით დაჩაგრულ მოძმეს გულშემატკივრათ ჭირისუფლათ და გაიწახვერეთ მისი ბედნიერება და უბედურებაც, რითაც უჩვენეთ თანამემამულეებს, რომ ისინიც ვალდებულნი არიან თქვენსავით მოიქცენ.

დაუფასებელია თქვენი ღვაწლი სამშობლოისა და ერისადმი, სასიქადულო მამულის შეილო! ქართველმა გლეხმა, ქვეყნის მრჩენელმა, ამ დედა-ბოძმა ერის კეთილდღეობისა, თქვენში იპოვნა თავგამოდებული მომხრე და გულის შემატკივარი ჭირისუფალი. ქართველი ერი ახტაცებით ეგებება დღევანდელ დღესასწაულს და აღიდებს მისთვის თავგანწირულ მოღვაწეს; ნება გვიბოძეთ, საყვარელო პოეტო და გზის მაჩვენებელო ბელადო, ამ შორის ქვეყნიდამ შეფუერთდეთ საერო დღესასწაულს და, ვითარცა მამას, კანდიერათ გამოგიცხადოთ ჩვენი სურვილი: იყოს მრავალ ჟამიერ თქვენი სიცოცხლე, რათა ღვაწლით მოსილი მოხუცი დამრიგებელ მამათ ყოლოდეს ქართველ ახალგაზდობას და მისი თავგანწირული მამულისადმი სიყვარული მისაბაძავ მაგალითად გაეხადოს მას.

ქართული დრამატიული საზოგადოება:

დიდად კატივცემულს და მსტოვანს

ბატონო რაფიელ!

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ მოგვანდო ჩვენ გამოგიცხადოთ თავისი უღრმესი პატივისცემა და მადლობა თქვენ, რომელნიც აგერ თითქმის 50 წელიწადია ითვლებით ქართული თეატრის შესამჩნევ მოღვაწეთ. როდესაც ქართული თეატრი დაიბადა, მაშინ თქვენ უკვე ხუთი წლის საზოგადო მოღვაწეობა გეთვლებოდათ. თქვენ მაშინვე აღმოუჩინეთ ერთგულობა და სიყვარული ახლათ დაბადებულ საქმეს. თქვენი შორს მხედველობით მაშინვე მიხვდით თუ რა ძლიერ იარაღათ უნდა გარდაქცეულიყო ქართული თეატრი ჩვენი ერის საზოგადოებრივი გრძნობების გასაღვიძებლათ— და ამიტომ არ დაგიშურიათ არც შრომა, არც თქვენი ღვთიური ნიჭი, რომ ნორჩი საქმე მკვიდრ ნიადაგზე დამდგარიყო.

იყო დრო, როდესაც ჩვენს თეატრს არ ჰქონდა რეპერტუარი და არ ჰყავდა მაყურებელი. ეხლა, ღვთით, ამ მხრივ, საქმე უკეთ არის და ამ საქმის გაუმჯობესობაში თქვენ დიდი და დიდი სამსახური გაგიწევიათ.

ეხლა ქართული თეატრის საქმე უკვდავია ისევე, როგორც ის ერი, რომლის აღორძინებას იგი ემსახურება და ამ უკვდავთა შორის თქვენი სახელიც უკვდავია. ქართული დრამატიული საზოგადოება ბედნიერია მით, რომ თქვენისთანა პატიოსანი მოღვაწე იმის წევრათ ითვლება. დღეს ეს საზოგადოება გთხოვთ, მის მადლობასთან ერთად მიიღოთ აგრეთვე წოდება ქართული დრამატიული საზოგადოების საპატიო წევრისა.

ქართველი ნოქრები:

თ. რაფიელ ღაფითის ქმნ მარისტავს.

უბატივეცემულესო და ყოველი ქართველისათვის უძვირ-
ფასესო რაფიელ!.. ის მაღლი პოეზიისა, რომელიც თქვენი
მგრძნობიარე გულიდამ სჩქეფდა მთელი ნახევარი საკუკუნის
განმავლობაში, ჩვენამდისინაც მოვიდა; ჩვენც თქვენი ლექ-
სების მეოხებით ვაგრძენით რა ძვირფასიც არის მაღლი ეროვ-
ნული გრძნობისა, გავიგეთ და თვალწინ წარმოვიდგინეთ
დატანჯული ბედ-იღბალი ჩვენი უბადრუკი გლეხისა, ყოველი
გაჭირვებული მოძმისა. ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში
მთელ სამშობლო მხარეს ესმის თქვენი მძლავარი ხმა, რომე-
ლიც ხან დარდსა და ნალველს გადმოგვცემს და ხანაც გვაგო-
ნებს მამა-პაპურ მხნეობას, ქველობას და ვაჟკაცობას. აღტა-
ცებული გრძნობით და წმინდა გულით მოვილოცავთ ჩვენ
თბილისის ქართველი ნოქრები თქვენი ორმოც-და-ათი წლის
დღესასწაულს და ვინატრით, რომ ჯერ კიდევ დიდხან ბრძან-
დებოდეთ მამამთავრათ ქართული მწერლობისა და სასიქადუ-
ლოთ მთელი სამშობლო ქვეყნისა.

ქართული ფარმაცევტები:

უველა ქართველისაგან დიდათ პატივცემულო

ჩაფიქვ დაკითხს ქევ!

ღვთის მადლით, ჩვენ უკვე მოვესწარიტ ისეთ დღეს, როდესაც ქართველობამ თვალი გაახილა, როდესაც ქართველობა მოქალაქობის გზას დაადგა, განვითარებას დიდი ტრუიალეებით გაჰყვა და დღეს ქართველთა ძენი ევროპიული სწავლა-განათლებლიტ აღჭურვილნი, ჩვენს საზოგადო საქმეებს ჯეროვანი პატივის-ცემლიტ ეგებებიან.

შეგნატრიტ და ვთხოვოტ ღმერთსა, რომ თქვენი ხსოვნა ყოველ ქართველს ძვალსა და რბილში გასჯდომოდეს, და ამ მაგალითის მიბაძვლიტ მომავალშიაც გამრავლებულიყვნენ თქვენისთანა სამშობლოს მოღვაწენი და იმაოთვისაც ისეთივე პატივი ეცეს ქართველობას, როგორც დღეს თქვენ გაფასებს და მადლობას გიძღვნის მთელი საქართველო.

თქვენი შრომა ქართველების წინაშე მრავალნაირი და მრავალ-ფეროვანია. ყველას ვერ ჩამოვთვლიოტ აქ, გავიხსენებოტ მხოლოოტ ერთს თქვენ შრომას, რომლისთვისაც ჩვენ, ქართველი ფარმაცევტები, უღრმეს პატივისცემას და თანაგრძნობას გიძღვნოტ. ეს თვალ-საჩინო და პატიოსანი შრომა გახლავსოტ „ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი“, სადაც შეკრებილია მრავალი ქართული სხვა-და-სხვა სახელები: ცხიაველთა, მცენარეთა და ლიოთონთა სამეფოებისა.

ვინც კი აწინდელ მეცნიერებას თვალ-ყურს აღევნებს, იმას უეჭველათ ეცოდინება, რომ ხალხის ცხოვრებაში არც ერთ მეცნიერებას ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც მკურნალობას. ამ აზრისა გახლავან მსოფლიო მეცნიერნი, ამ აზრსვე ღაღადებს კაცობრიობის კეთილდღეობა.

ამიერიდგან ჩვენ, ქართველ ფარმაცევტებს, გვეძლევა ხელში თქვენი მეოხებით ისეთი სამეცნიერო იარაღი, რომლითაც შეგვეძლება სამშობლო ენაზე დავუწყოთ შემუშავება და აღორძინება ბუნების მეცნიერებას. ქართველი ფარმაცევტები შეერთებული მადლობის გრძნობით გატაცებულნი, ვისურვებთ თქვენს დღეგრძელობას და ბედნიერათ ცხოვრებას.



ქ ი ზ ი უ ე ლ ე ბ ი :
თავ. რაზიელ მარისაშავს.

პოეტო, ჩვენო ნუგეშო,
ქიზიყმა გიძღვნა სალამი,
შევიკრიბენით მრავალნი
ვადიდეთ შენი კალამი,
სამშობლო ქვეყნის იმედი,
ვით გმირთა დროშა-ალამი,
ქალთაც მოგიძღვნეს ქებანი,
ისმინე მათი ქალამიც:

„ღეთისგანამც იყოს ნაკურთხი,
ვინც რომ ის გააჩინაო,
დალოცოს ქრისტემ ის ძუძუ,
რომელმაც დაარჩინაო,
მას აღიდებდნენ ყოველნი,
ვინც აკვანს ჩააწვინაო,
ჩაჰბერა გრძნობა მაღალი
და ჰკვით ცას მიაწვდინაო!

მისმა ზღვა გრძნობა-ფიქრებმა
ზეცისკენ აგვაფრინაო,
აგვივსო გული სიწრფელით,
გონება გაგვიბრწყინაო,
ცხოვრების სიტკბო-სიმწარე
ძლიერათ გვაგრძნობინაო,
ხან გულ-მდულარეთ გვატირა,
ხან ტკბილად გაგვაცინაო“.

შენსა ნახვასა ნატრობენ
ღღეს ყველგან ჩვენი ივერნი:
ქალწულნი ედემს ნაზარდნი,

ველის ვარდივით მღვიერნი,
დიდი, პატარა, მოხუცნი,
უბედურნი თუ ძლიერნი
და ჩვენი ქვეყნის იმედნი
მოსწავლე ყრმანი ჭკვიერნი.

ვკითხულობთ შენსა ქმნილებებს
ეხარობთ ჩვენც შენის ლხენითა,
გული გვიტირის, ცრემლი გვდის
შენის ცრემლისა დენითა,
როცა ჩვენს მტერსა უწყრები—
ვრისხდებით შენის წყენითა,
შენი მადლი და გავლენა
არ დაითვლების ენითა!..

მგოსანო, ვნატრობთ: სამშობლოს
მრავალი მისცეს ზენამან
შვილნი უკვდავნი შენსავით,
რომ მათმან მჭკერმა ენამან
ქვეყანა გააკეთილოს
და მწარედ აღარ გვატიროს
საწყალთა ცრემლთა დენამან!..

დ. მაჩხანელი.

ქალ. პიატიგორსკის ქართველები:

ყოველად პატივცემულს კომეტო

თავადო რაფიელ დ. კრისტაჟო!

მოგილოცავთ, დიდებული ქართველო, დღევანდელ დღეს,
ე. ი. 50 წლის თქვენს უანგარო სალიტერატურო მოღვაწე-
ობას. პოეტო, დღევანდელი დღე არის მეტათ ძვირფასი რო-
გორათაც კერძოთ თქვენთვის, აგრეთვე ყოველ იმ ქართველ-

თათვისაც, რომელსაც-კი მცირეოდნათ მაინც უღვივის გულში ჩვენი სამშობლოსადმი სიყვარული და ესმის რა იყო, რა არის და რა უნდა იქმნეს იგი, ვისაც არ დაჰვიწყებია ის ღვთიური სიტყვები, რომ „როგორც უფალი სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“. ყველა აღტაცებით და სიხარულით ეგებება დღევანდელ თქვენს სადღესასწაულო დღეს. სხვათა შორის ჩვენც აქაური ქართველობა გილოცავთ და თაყვანსა ვცემთ თქვენს პოეტურ ნიჭს, რომელმაც დაუფასებელი ნაყოფი მოუტანა ჩვენს ღარიბ ლიტერატურას, ორმოც-და-ათი წლის დაულაღავი შრომით. ვისურვებთ თქვენს მრავალ ქამიერ სიცოცხლეს.

თ. შაქრო ვაჩნაძე და სხვები.

ექვთიმე ხელაძის სტამბა:

სახელოვანო პოეტო,

ღრმათ კატივისეულო მოხუცო!

დღეს, საქართველოს ყოველ კუთხიდან შეკრებილნი, თავადნი, აზნაურნი და გლეხნი პატივისცემით გილოცავენ შენ ორმოც-და-ათ წელს ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის. ნება მიბოძე, სასიქადულო პოეტო, ამ გვირგვინით შევამკო შენი ჭაღარა. ყოველ ჩვენთაგანს შენ გვასწავლე—„კაცი ვინ არის“ და თანამედროვე, ჩვენთვის გრიგალათ გადაქცეულ, ცხოვრებასთან საბრძოლველათ შეგვადარაღე იმ გამამხნეველ აზრებით, რომელნიც შენ ისე შევნიერათ გამოსთქვი ლექსებში: „ღეღა-ენა“ და „სამშობლო ხევსურისა“. შენ დაგვაკავშირე სულიერათ სესიებთან, ბერუებთან, გოგიებთან, თინიებთან, და სხვა მათ მოძმეებთან და მით შეჰქმენ ძალა არა უმნიშვნელო ჩვენთვის. ამ შეერთებულ ძალის ყოველი პირი მცნებათ

დაიქდევს გულის ფიცარზე—დარაჯათ უდკეს და დაიცივას სა-
შვილი-შვილოთ „რჯული ენასთან შერთული“.

ლ ე ჰ ს ე ბ ი:

თავ. რაფიელ მარისტავს

(თარგმანი გრ. ხახშიძისა).

ოდესაც ნაშთი ძველისა მთავრის
ქვეყნის სამსახურს დაენაცვალა,
წმინდა შრომაზე მოყვარულის ძის
ძალ-მომრეობა ძველთა შესცვალა;

ოდეს მგოსანი ცხოველ ოცნებით
მიმონავარდობს, შეჰკამათობს ცას,
სიყვარულის ცრემლს ციურ ჰანგებით
აფრქევებს და აფრქევებს დაღვრემილს მიწას;

ოდესაც სიტყვა საქმესა სთანხმობს
და სიმღერაში ისახვის გული,—
მას თვითონ ღმერთი კურთხევით სწყალობს,
არ უნდა ქება აღტაცებული!..

მგოსნები თვით ღმერთს აღერსით დაჰყავს
თავისუფალ გზით შემოქმედობის
ხალხი სიამით მათ უძღვნის სალამს,
სიყვარულის წილ და ნიშნად ძმობის!..

მგოსანო, ფიცით ვარს-ჰყოფდი ყოველს,
მამულს სწირავდი სამსახურს და ძალს,

ხნავდი და სთესდი ორმოც-და-ათს წელს
და ჰა, მოესწარ უკვე მოსავალს!..

მოხუცო, შენის სამშობლოს შეილნი,
კახელნი, სვანნი შეერთებულან,
შენგან რჩეულნი მდერით ხევსურნი
შენს სათაყვანოდ ერთად მოსულან!

ქართველთ ერთ სისხლის აჭარელისა,
ოსმალთ დოღბანდი გესალბუნება
და ბილწი გუნდი ძველის მტრობისა
შენს კეთილ თვალ-წინ სრულიად ჰქრება!..

და მეც შორიდამ მოველ ამ მხარეს,
ძმური გრძნობები შევიკავშირე
და გთხოვ—მონახვეჭს დღეის სიმდიდრეს
ეს ჩემი ლექსიც დაურთო მცირე!..

ვასილ ველიჩკო.

ქვირვას პოეტს თ. რ. მრისთავს

მგოსანო, მომე ხელი:
გაგეცნო მეტეხელი
მეც სხვებთან მოგილოცო
ორმოც-და-ათი წელი.

* *

ყოფილხარ მუდამ მცველი,
ჩვენი, შემბრალებელი...
ნუსხამდი გლეხების ტანჯვებს
ორმოც-და-ათი წელი.

* *

ღმერთო, დიდხანს გვიცოცხლე
მოხუცი რაფიელი,
ამას გთხოვ, ამას გვედრი
მე—გლები მეტეხელი.

თ. რ. მარისტავს.

(50 წლის იუბილეს გამო)

დიდმა-პატარამ ყოველ-კუთხივ
შეჰქმნეს საერთო დიდება—
ბუნება ხარობს და ლაღობს;
ვხედავ, სამშობლოც ჰყვავდება.
მეც მოველ, ამ დღეს გილოცავ,
პოეტო პატიოსანო,
დიდების სხივით მოსილო,
ჩვენო ერთგულო მგოსანო!
შენი უკედავი სიტყვები
ჩვენს გულში ჩამარხულია;
საერთო ფარ-ხმლათ გამხუარა
სამშობლოს სიყვარულია!
„არ გავსცვლი სალსა კლდეებსა
უკედავებისა ხეზედა;
არ გავსცვლი ჩემსა სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.
ღიად, ეს მცნება
ჩვენთვის ფარი და ხმალია,
ჩვენ ხომ-კი დავსტკბით ამ სმენით
აწც დასტკბეს მომავალია.
ორმოც-და-ათი წელია,

დაულალავათ შრომობდი;
„ფანდური“ დიდხანს აქლერე,
„მეურმეს“ თანაუგრძნობდი.
გლეხების მწყემსი ყოფილხარ,
ენა მეტყველო მეოსანო;
ბევრისთვის წყლული გინკურნავს
საქებო პატოსანიო.
მეც ვინმე მუშა გლეხი ვარ,
მოველ და მოგეც სალამი,
კვლავცა სწყალობდეს გლეხ-კაცებს
შენი მახვილი კალამი.
არ საკვირველი იქნება
შვილი ამკობდეს მამასა;
ჰა, ეს მცირედიც მიიღე,
და არ მოველი რისხვასა.

გოჩა ჯიხაიშელი.

(გურულ გლეხ-კაცების წარმომადგენლისაგან)

პოეტო შორის პატრიარხსა
გვსურის ეუთხრათ დღეს მადლობა,
მისთვის შევკრბით ერთათ ყველა,
აქ ვართ მთელი ქართველობა.

თუ არ ხორციით, სულით მაინც
დღეს აქ არის მთელი ერი,
ყველა ხარობს და მეჯლიშობს
ამ დღის მომსწრე ბედნიერი.

აქ არის „ხინჩლა“, „თედუა“,
„ტეტისა“ ახლავს „თინია“,
მათაც მისელოათ ამბავი,
რომ დღეს საერთო ლხინია.

„მეზვრე“ იმღერის ხმა-ტკბილად,
ბანს დაჰლულუნებს „მეურმე“
და საამოთ ახმატკბილდა
უცნაური მეფანტურეც:

„ბეჩავ ხალხის გულში გქონდა
საიმედო მკვიდრი ბინა;
მას ცდილობდი შენ ყოველთვის,
რომ ნათელი მოგეფინა.

„მათი ჭირი ჭირათ გიჩნდა,
გატირებდა, გაცრემლებდა
და ლხინი კი სიხარულის
ცრემლებს თვალზე გაყენებდა.

„თითქოს იჯექ ვლენის გულში,
ისე ჟღერდა შენი ქნარი,
იმიტომაც შეგიყვარეთ,
სხვა არვინ გვყავს შენი დარი.

იკოცხლე ჩვენდა ნუგეშათ,
ჯერ ძირს ნუ დასდებ კალამსა,
ათის წლის შემდეგ მოგიძღვნით
კიდევ საერთო სალამსა.

ა. წულაძე.

თ. რ. მრისტავს.

ფშავით გიბარებ ფშაველი
ახლათ წვერ-შამამდინარი:
ფანდურზე დავმღერ შენს ლექსსა,
თვალეებს მწვავს ცრემლი მდინარი.
ვაჟას ვებვეწე წამოვალ,
ეგებ მაცნობო, ვინ არი:
შენი მაჩვენა სურათი—
ბერი დიდებით მჩინარი!

ენატრულობ გნახო თვალითა,
სიზმრათაც მამეჩვენები!
მენაც სკოლისაკ ვიწიე,
მაგრამ გაჯავრდენ ჩვენები,—
არ გამამგზავნეს: ჯოჯისა
უნდა აძოვო ცხენები;
დავრჩი და დავრჩი ცხვარშია,
ვიზრდები გარესამხარსა;
კითხვა ვისწავლე თვითონა,
წიგნებს ვშოულობ ნახმარსა.
ქალაქზე ჩამოვისერე
ვკითხულობ შენსა ამბავსა,
ლირსი არაფინ გამხადა,
მოხუცო, მე შენს ნახვასა,
ლექსისთვის არა დამძრახო,
ვერცარას ვამბობ წარზედა,
საკათვიაოდ არ მცალის,
ცხვარი მყავ ქავთრის მთაზედა,
ალარ გამიშვეს ფშავშია,
რაფქნა. დაეწუხდი ძაღვზედა!

მაგონდებიან სწორები,
ცრემლი მადგება თვალზედა!
ხუთთავ ძმათ რაზიკაშვილთა
მოკითხვა შამოგითვალეთ,
შენ სადღეგრძელოც დავლიეთ,
ყანწები გამოვიცალეთ,
ისევ გვიყვარხარ და ისევ,
გული არ გამოვიცვალეთ!.

თ. რაზიკაშვილი.

ჩემსა პატარა სამშობლოს
ტურფასა, აყვავებულსა,
ორთა ზღვა შუა მდებარეს,
და ედემსავით შემკულსა
ბევრჯერ უნახავს შავი ღღე,
შეუსვამს მწარე ნალველი;
ავიცა ბევრი უნახავს,
კარგისაც არის მნახველი.

თუმც სდევდა მუდამ უწყალოთ
უბედურების გრიგალი,
მაგრამ სიმხნითა გამაგრდა,
რადგან სწყალობდა ღვთის თვალი.
დედობრივისა ზრუნვითა
უზრდია და ზრდის გმირებსა,
ჩაგრულ მოძმისა მოყვარეს,
მამულის შვილებს—ძვირებსა.

ამ ძვირფასს შვილთა რიცხვში ხარ,
პოეტო, ნიჭით შემკულო,
პატივცემულო მოღვაწევ,
მამულის, ერის ერთგულო!

დღეს განძი გახდა ყველასთვის,
მოხუცო, შენი სახელი:
მითი ამაყობს სამშობლო,
მითი ამაყობს ქართველი.

საკეთილ-დღეოთ მამულის
არ დაგიზოგავს თავია;
პატიოსანი ოფოს ღვრიდა
შენი მარჯვენა მკლავია.
შენი სიტყვები ხვესურსა
გულს ჩაჭბეჭდვია ძალზედა,
ეტრფის და ეტრფის სამშობლოს:
ურჩევნის ორთავ თვალზედა.

შენ ძმის მოლხენა გატკობდა
და უზომოთა ჰხარობდი,
მაგრამ წუხილი იმისი
გულსა გიკლავდა, წვალობდი;
ტანჯულ ერს სწმენდლი ცრემლებსა,
მწუხარებისგან მოსრულსა;
ნუგეშს აძლევდი მაშვრალსა
და ყველას, ბედით ჩაგრულსა.

სუსტო ყვლეფა, ჩაგვრა, მტარელობა
გძულდა, ვით ბნელი სამარე;
უსამართლობის მტერ იყავ
ძმობა-ერთობის მოყვარე!
შეჭხედე! შენგან დარგულ ხის
დამწიფებულა ნაყოფი,
მის სიტკბოს ბევრი უკურნავს
ტანჯული სულით აქ მყოფი!

რაც შენ იღვაწე ამ ქვეყნათ,
ნახევარ საუკუნეა—

მხნეთ, ნათლათ, დაულალავათ,
თავი არ დაგიღუნია.

ამ დროის განმამაელობას
ბევრი რამ მოხდა ცვლილება:
ბევრი ხელმწიფე დამარცხდა,
ბევრთ გულს აჩნია ჭრილობა.
ბევრი დასძირა უფსკრულში
ცხოვრების მღვრიე ტალღებმა,
ბევრს გაუფუჭა იმედი
მახემ ბედისგან ნაგებმა.

მაგრამ შენ მტკიცეთ დასძლიე
უბედურება ყოველი:
არ დაგიგდია არ ოდეს
შრომა ღვაწლისა უღელი!

დაულალავათ იღვწოდი,
პოეტო, პატივცემულო,
არ შეუშინდი განსაცდელს—
მამულის, ერის ერთგულო!

შენ ამაყობდი სამშობლოთ
და ყოველით, რაც-კი მას ამკობს,
და, აჰა, ჰხედაე, რომ დღესა
შენით სამშობლო ამაყობს!
რათ გინდებ ბევრი დიდება,
რათ გინდა ჩვენგან შენ ქება?
ის კმარა, რომ ხარ „რაფიელ“—
ის არის შენი დიდება!..

სანამ მზე ცაზე კაშკაშებს,
სანამ ცოცხალ არს ქართველი,
მერწმუნე, დაუვიწყარი
იქნება შენი სახელი!

მოზარდ ყრმათ გუნდი ვლალადებთ:

„ჩვენო აღმზრდელი მამაო!

სული და გული დაგვიტკბო

შენმა ლექსების ხმამაო!

დედის რძესავეთ გვარგია,

სული მით იკვებებაო,

შენმა სიტყვები გვაცოცხლებს,

გული სიამით დნებაო.

თუმც დაგვიბერდი, მამაო,

თავს გიმკობს თეთრი ქალარა;

მაგრამა გული მხნეთ გიცემს,

ვითა მთის წყარო ანკარა!

მამობრივ ზრუნვას ყოველთვის

აღარ გვაკლებდი ჩვენაო,

ღმერთი გვიცოცხლებს შენს თავსა,

რომ მით მოგვეცეს ლხენაო!

ნება გვიბოძეთ გულითად

გიძღვნათ მადლობა, სალამი,

ღმერთმა გაცოცხლოს ტკბილათა

გიკურთხოს მკრელი კალამი!“

მოსწავლე მეგრელი პ. კაკულია.

რადიულ პრისტავს

(ორმოც-და-ათი წლის იუბილეზე)

სამშობლო დედის ძეძუა

არ გაიცვლების სხვაზედა;

ორიუ ტკბილად, მშობლო,

მიჩქუნის ორთავ თქაღზედა!

რადიულ

ორმოც-და-ათი წელიწადია,

რაც რომ სამშობლოს წრფელათ მსახურებ
და შენი უკვდავ ჩანგისა ქდერით
კაცობრიობის გულსა აჩურებ.

ოხ, სასოებაე ჩვენო მოხუცო,
კანდელიო ქვეყნის წარმატებისა,
მოზარდ თაობის წინა მოძღვარო,
ცულით მკათავო ბოროტ გზებისა!

კურთხეულ იყოს შენი სამშობლო,
„დედის-ძუძუი“ დიდ-ჭირნახული,
რომელიც არის შენი „ტაძარი“,
რასაც შესწირე „სამსხვერპლოთ გული“.

კურთხეულ იყოს ის დედა-ენა,
რომელიც გიყვარს ერთგულსა შვილსა,
რომლითაც „ნანა“ აკვანს გსმენია—
„ალერს გაგონებს დედისას ტკბილსა“.

შენგან სამშობლომ ჯერი მიიღო—
დიდი საუნჯე—ფას-დაუთქმელი,
რაც საუკუნოთ იმას ანათებს,
როგორც სანთელი დაუშრეტელი.

სანამ დასავლით მზე არ ამოვა
და მისი სხივი არ გაშავდება,
მანამდი ქართველ კაცის გულშია
შენი სახელი უკვდავ იქნება!

მამა-შვილობით ნება გვიბოძეთ,
ლოცვა შევედროთ ჩვენ ღვთისმშობელსა,
რომ შენისთანა ბევრი გვაღირსოს
და შენ გაცოცხლოს მრავალსა წელსა!..

მოსწავლე—მეგრელი ა. ნაკყებია.

თ. რ. ერისთავს. (ნბ. ივ. ხიოს" 1895 წ. N 234.)

როს მშრომელთ გლეხთა ვაებით
 საბრალოდ აცრემლებული
 ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,
 ერისთვის თავ-დადებული;
 როს ერის კეთილდღეობით
 საამოდ აღტაცებული,
 სიმთ აჟღერებდი ტკბილ-ხმაზე,
 ვით ზეცით მოვლინებული;
 როს დაჰგალობდი სამშობლოს,
 ის იყრ შენი ტრფიალი,
 მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა
 გულის-წარმტაცი წკრიალი...
 მაშინ, მგოსანო, ქართველი
 თურმე ციურ ძეგლს გაგებდა
 და წარსულ შრომა-ვაებას
 აწმყოთი გიგვირგვინებდა.
 შენმა სიტყვებმა მის გულში
 უკვე გაიდგა ფესვია,
 მოიმკე, წმიდა მსცოვანო,
 რაც სიყრმით დაგითვისია;
 ნამგლად იხმარე ერისგან
 გრძნობით ჰაერში ძახილი:
 „ვაშა, რაფიელ! გამრავლდეს
 მამულში შენებრი შეილი“!!!

29 იანვ.

წათავ
ქე

1895 წ. იანვ. 29
 (ნბ. ივ. ხიოს" 1895 წ. N 234.)

სოსელი.

რავიელ ერისთავის საიუბილეომთ

(ქუთაისის სათავად-ახნაურთ სკოლის მოსწავლეთა მიმართ)

ყმაწვილნო! რათ არ კითხულობთ,

ვინ არის იგი მხცოვანი?!.
მაგრამ თქვენც იცნობთ რაფაელს,
თუმცა ხართ მცირე წლოვანნი:
დიდებით განვლო თვისი გზა—
ნარ-ეკლიანი, კლდოვანი,—
სამშობლოს კიდით-კიდემდე
შეიქნა სახელოვანი.

ოფლსა ღვრის, იღწვის ქვეყნისთვის—
ორმოც-და-ათი წელია:—
ზეგარდმო ნიჭით შემკული
ტკბილ შაირების მთქმელია,
დედა-ენისა მლაღადი,
მის მზრდელი, მისი მცველია...
იმედით შესცქერს მომავალს,
რწამს, ღმერთი ჩვენი მხსნელია.

და მადლიერნი ქართველნი,
დახეთ, დღეს რასა შერებიან!
—სამშობლოს სადიდებელათ
მგოსნას ტრფობითა სთვრებიან!..
მტრისა პასუხის გამცემნი—
მოყვარეს ემოყვრებიან:—
ეს თავდებია სიკოცხლის,—
ქვეყნით არადროს ქრებიან!

და თქვენც, პაწია ქართველნო,
იმოძღვრეთ იგი მგოსანი:
იყავით მისებრ მამულის
ცრთგული, პატიოსანი,
მისებრ აზრნათელ-გულწრფელი,
ვით ანგელოზი ფრთოსანი,

თუ გინდათ იყოთ ამ სოფლის
ყვავილი ვარდი-სოსანი.

სილოვან.

მოხუც გმოსანს

(თაგ. წაფიქვ დავითის ძე ერისთავის საიუბილეოთ).

მშვიდობა შენდა, მოხუცო,
იცოცხლე წელი მრავალი,
ნიჭით ძლიერით, უკვდავით
აღბეჭდე გზანი ნავალი,
გვიამბე ჩვენი წარსული,
ჩვენი თავ-გადასავალი...

„გაჰკარ, გაუსვი ჭიანურს
აუწი მალლა ფარდამდის“,
შენ გისმენს შენი ერი და
თან „მღულარება გადმოსდის“.

გვითხარ, რა უკლავს გულს ხევსურს,
შვილსა ბუმბერაზ მთა-კლდისას,
უწინდელებრ „მხნეს, გულადსა,
მომღერალს თავის ბედისას“,
ვინცა არ გასცვლის სამშობლოს,
„როგორც რომ ძუძუს დედისას“?..

„გაჰკარ, გაუსვი ჭიანურს,
აუწი მალლა ფარდამდის“,
გისმენთ და თვალთგან „ცრემლები
სიხარულისა გადმოგვდის“.

ან რა დარდი აქვს თანდილას,
რისათვის დაუკვანისია,
გულში რა უდუღს, რასა სწუხს

დაფიქრებული სესია,
ვინ მომკის ქვრივის ყანასა,
სოფლათ როგორი წესია?..
„გაჰკარ, გაუსვი ჭიანურს,
აუწი მალლა ფარდამდის“,
გისმენთ და იმათთან ერთად
ჩვენც „მღულარება გადმოგვდის“,
შეაქე მძლავრი კავკასი,
„ყინვარის ჯავშნით შემკული,
ცას მიბჯენილი თხემებით,
მთა-მთაზე აკიდებული“,
დარდით ბურული, მოცრემლე,
წარსულზე ატირებული.

„გაჰკარ, გაუსვი ჭიანურს,
აუწი მალლა ფარდამდის“,
გისმენთ, მოხუცო, და ვით შენ,
ჩვენც „მღულარება გადმოგვდის“.

აგერ ივერი ნათელი,
დღე—მზითა, ღამე—მთვარითა,
გვიამბე მისი წარსული,
„იგლოვე სიტყვით მწარითა,
ქვეყანა დასწვი ცოდვითა,
მთლად მორწყე ცრემლის ღვარითა“.

„გაჰკარ, გამოჰკარ ძუასა,
აუწი მალლა ფარდამდის“,
დააღულუნე, ჩვენც შენთან
„მღულარე ცრემლი გადმოგვდის“.

გვატირ-გვაცრემლე, რომ ცრემლმა
ერს ცივი გული გაუთბოს,
ძველი გრძნობითა ძლიერით,

ძველი ცეცხლითა აუნთოს,
საერთო წუხილ-ვარამმა,
კერძოს აღარა დაუთმოს...
გაპკარ, გაუსვი ჭიანურს,
აუწი მაღლა თარდამდის“,
ნეტარ მას, ვისაც შენებრივ
თვალთაგან ცრემლი გადმოსდის“!..

ა. მ. ახნაზაროვი.

ღრმათ კატივცემულ მგოსანს რაზიელ ირისტავს.

ორმოც-და-ათ წელს დაუღალავათ
შენი მარჯვენა აქლერებს ჩანგსა,
და შენც, მგოსანო, მაგ წმინდა სიმებს
ხმა შეუერთე და აძლევ ბანსა!

ჩვენც, ამა გრძნობით აღფრთოვებულნი,
საერთოთ ყველა გიძღვნით სალამსა,
ქელ მოღრეკილნი თაყვანის-ცემით
მოვეგებებით შენსა კალამსა.

აწ ნუ გვაკმარებ, კვალათ გვიმღერე,
შენ თაყვანსა-გცემთ იმერ-ამიერ,
ჩვენ სადიდებლათ, სამშობლოს ძეგლათ
კიდევ იცოცხლე მრავალ-ქამიერ!

კნ. ნინო ორბელიანი.

*
*

იმ დროს, როდესაც ჩვენნი მგოსანნი
სიმთ აქლერებდნენ სულ სხვა ხმაზედა,

აქებდნენ ვარდსა, შენატრდნენ ბუღბუღს
და ლოცულობდნენ შაე თვალეზედა,
იმ დროს, როდესაც იმათი ქნარი
ტოლთ შორის მეჯლიშს დასტრიალებდა,
სადაც კახურით შეხურებული
თავ-დახრილ კეკლუცს დასტრფიალებდა;
ჩვენ მოგვევლინა სულ სხვა მგოსანი,
მან სულ სხვა რიგად ჩანგი აქდერა
და სხვა კილოზე, სხვა გვარ გამსჭვალულ
თვისი სიმღერა ზე დაამღერა.
იგი შეეხო ტვირთმძიმეთ სვესა
და მისი გულის შავსა ფიქრებსა,
პირველმა იმან ბეღ-უკუღმართთვის
ხელი ჩამოჰკრა ჩანგის სიმებსა;
უპირველესათ იმისი ქნარი
დაჰფარუატებდა მაშვრალთ კერასა,
პირველათ იმან მიაპყრო თვალი
ოფლიან მუშის გულის ძგერასა.
იგი თქვენა ხართ, ჰოი, მხცოვანო,
და მადლით სავსე თქვენი კალამი,
თქვენ, თქვენ პირველმა საქართველოში
მოსთქვით დამაშვრალთ დარდი ვარამი.
თქვენ, თქვენ გვიჩვენეთ, რა დუხჭირია
და უსამართლო ჩვენი ცხოვრება
და ან ვის ოფლზე აშენებულა
ამ ქვეყნის ძლიერთ სიამოვნება.
აწ, გიხაროდეთ, თქვენ ჩანგთა ცემა
უნაყოფოთა არ ჩაიარა
და იგრძნეს ყრმათა მაშვრალთა კენესა
ვით საკუთარი რამე იარა.

იგრძნეს და კიდევ მიისწრაფვიან
წინ გადელობნენ უსამართლობას,
შემუსრონ იგი და მის ადგილი
გადაულოცონ ერთობა-ძმობას.

ბედნიერია, ვინც-კი მიაღწევს
თავის გულის თქმას, თავის საწადელს
და სიბერის ქამს, რაც ყრმობით სთესა,
შეახებს თავის ათრთოლებულ ხელს.
ბედნიერია, და თქვენც იშვებდით,
დღეს თქვენით ხარობს მთელი ივერი,
თქვენი სახელი უკვდავ იქნება,
ვიდრე არსებობს ქართველი ერი.

ი. ველაშვილი.

თ. რ. პრისტავს

(მისი 50 წლას იუბილეს გამო)

უფლისგან არის ნაკურთხი,
პოეტო, შენი კალამი!
არ შემიძლია გაეჩუმდე
და არ მოგიძღვნა სალამი.

ორმოც-და-ათი წელია
ვლე გზასა ეკლიანზედა,
მუდამ წუხილის მომგვრელსა,
შავ-ბეთითს ეტლიანზედა...

წინ მიდიოდნი უშიშრათ
ერთხელ არჩეულ გზაზედა,

გული გიწუხდა, ფიქრობდი
სამშობლოს მომავალზედა
და ამ ფიქრებში ცრემლები
არ შეგშრობია თვალზედა!..

სიმები შენი ჩანგისა
ღრმა გრძნობით აქლერებულა
და ბევრის ტანჯული გული
მის სმენით აძკერებულა...

შენს ღვაწლსა დაბრკოლებანი
უშიშრათ დაუძლევია
და ქართველის ერში თავისი
კვალი ღრმათ ჩაუჩნევია:

იმ გზაზე, სადაც სუფევდა
ბუდე ეკლის და ღვარძლისა,
გაშლილა ვარდი ნათესი
წინ მიმავალი „სარდლისა“...

ზედ ვლენან მამულის შეილნი,
აღარ აბრკოლებთ შამბნარი, —
ხელში უპყრიათ ფანდური,
ოხვრათ და ცრემლათ დამდნარი

და დამღერიან: „მგოსანო!
გაგვიძეხ ყველას წინაო,
დანიშნულ ადგილს მიგვიყვა,
ბნელს ყოფნა მოგვეწყინაო;

„არ გიღალატებთ, ზედ ვიელით
შენგან არჩეულ გზაზეო...
„სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გარცვლების სხვაზეო!“

დღეს მხიარულებს ქართველი
და შენს ჭკრეტაში იცდება...
დიდება საქართველოსა!
ერთობა შენით მტკიცდება...
—

ქართველთან ერთათ გულ-წრფელათ,
მგოსანო, გიძღვნი სალამსა;
ღმერთს ვვედრებ, დიდხანს დავეტკბოთ
მაგ შენსა ღვთიურ კალამსა.

ახალგაზდა სომეხი.

შიორ მღვიმელის ლექსი

*ვინ გადგვიხსნა გლეხ-კაცის
ბნელი კუნჭული გულისა,
ვინ გვამცნო: მისი ვაება,
მისი სიმწარე სულისა,
გულ-ჩახურული ღიღინი
დიდი ხნის წყლული, ტკივილი
მიწასათან ბრძოლა მედგარი
და ბედთან მკაცრი ჩივილი?*

ვინ გადგვიხსნა გლეხ-კაცის
ბნელი კუნჭული გულისა,
ვინ გვამცნო: მისი ვაება,
მისი სიმწარე სულისა,
გულ-ჩახურული ღიღინი
დიდი ხნის წყლული, ტკივილი
მიწასათან ბრძოლა მედგარი
და ბედთან მკაცრი ჩივილი?

ვინ არის ლამის მეხრისა
ან თბილათ ამბის მთხრობელი,
ვინ შედის გლეხის ოჯახში,
როგორც მამა და მშობელი,
ვინ მოსქექს ასე თამამათ,
როგორც ზათქი და ზარია:

„ავი და კარგი გასწორდა,
გასწორდა მთა და ბარია“!
—აი, ამ მოხუცებულის
მკრელი და წრფელი კალამი,
მისივე ძმობა-ერთობის
გაშლილი დროშა ალაში.
სალამი შენდა, პოეტო,
სალამი, ტკბილო მგოსანო,
ღიადი გრძნობის მორევო,
მოხუცო პათიოსანო!

პათიეს სცემს შენსა ჭალარას
დღეს მთელი კავკასიონი;
ჯვარსა გწერს სვეტიცხოველი
და გაგვირგვინებს სიონი.

მუქდვნი იუზილარს თავ. რ. დ. მარისტავს

(მისივე მიბაძვა)

სადაც შობილხარ, გაზრდილხარ და გისროლია ისარი,
სად მამა-პაპა გეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც ჭალარამ შეგმოსა—შენი სამშობლოც ის არი.
არ გაგიცვლია სალი კლდე უკვდავებისა ხეზედა,
არ გაგიცვლია სამშობლო სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ვაშა, მოხუცო! ნარნარებ თოვლივით სპეტაკ-თმიანი,
თითოეული ქალარა გაქვს მტკიცე ნამუსიანი,
ხარ ძმათა მოჭირისუფლე, მგოსანი ამოხმიანი.
ბევრჯელ გაგტყორცნა შაე-ბედმა ცხოვრების ტანჯვის ზღვაზედა,
მაგრამ ეს მხარე დიდების არ გაგიცვლია სხვაზედა!

აქ აღირჩიე შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარიც გადმოჰქუხს ბროლი წყლიანი,
წარსული გასულდგმულება უკედავი, დიად-მზიანი;
აქ დაიკენესა მაგ ჩანგმა საიმქეყნო ხმაზედა,
მიგვასალკლდევა ჩვენს მხარეს, მას ჩვენც აღარ ვცვლით სხვაზედა!

„სამშობლო, დედის ძეძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“,
შენ გაგვახსენე, გვასწავლე: „გერჩინოთ ორთავე თვალზედა,
სამშობლო, ვითა უფალი, ერთია ქვეყანაზედა!..“
ეგ შენი ჰანგი, ძველთ მცნება, აქ გვიწერია გულზედა,
ვლოცულობთ, ვმღერით, ვოცნებობთ სულ იმის სიყვარულზედა!..

მაგ მოხუცს გულში ისახვის „წმიდა-წმიდათა“ ერისა,
წარსულით განდიდებულის, მომავლით ბედნიერისა
ჩაგრულთ და ობოლთ ნუგეში და მათი გულის ძგერისა;
ტრემლი მუშაკთა, მაშვრალთა გვირგვინსა გიწნავს თავზედა
და უკედავების საპოვნად კოშკს გიგებს ღმერთთა მთაზედა!..

აჰა, შემოკრბენ ივერნი სიამით, სიხარულითა,
გულს გიმხნევენ, გეტრფიან მადლობით, სიყვარულითა,
ერობის გუნდრუკს გიკმევენ შეერთებულის სულითა...
მოხუცო, გაგვილომ-კაჟდი, ჯერ არ სცნო დაძაბუნება,
შეგვაფოლადე სიმთ-ქღერით და კვლავ გვიდიდე ბუნება!..

გრ. აბაშიძე.

თ. რ. მარისტაძის

(50 წლის იუბილეს გამო)

სადაც შობილხარ, გაზდილხარ
და გისროლია ისარი,

სად მამა-პაპის გეგულვის
საფლავი, კუბოს ფიცარი“,

სადაც ქართველი კი ცხოვრებს,
სულ ყველა კუთხე-სოფელია
გიყვარდა სულზე უტკბესათ,
გდაგდა მის უარ-მყოფელი...

რაგინდ შეგმოსონ დიდებით,
წარჩინებულ გყონ სხეებზედა,
სამშობლოს „კლდესაც არ გასცვლი
სხვა ქვიცნის სამოთხეზედა“.

„სამშობლო, ძუძუ დედისა
არ გაიცვლება სხვაზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა“.

ასე ხატავდი სამშობლოს
სიყვარულს წმიდა სულითა,
სულ-აგზნებულნი შენგანა
ჩვენც თანაგიგრძნობთ გულითა.

დღეს გუნდი ყველა ქართველთა
შენსკენ ისწრაფვის კვალადა,
რომ „ვაშა“, „ვაშა“ შეგდახონ,
სთელიან მას წმიდა ვალადა.

იყო დრო, როცა ქართველი
ფარ-ხმლით სამშობლოს იცავდა,
მტერს ქლევდა, მტერიც მათ ქლევდა,

ამ გვართ სისხლში სცურავდნ.

სწავლისთვის ვიღას ეცალა,
მტერი საომრათ იწვევდა,
ყველა ხმლის ქნევას სწავლობდა,
სამშობლოს ხსნის წესს მისდევდა.

ეს დრო უკუდგა, ომების
სახელიც აღარ ისმოდა,
ხანჯალს აერთვა პატივი,
თოფს ვინ რაზედლა ისროდა?
დადგა დრო მოსვენებისა,
გამოღვიძება დასჭირდა.

აი, პოეტო, შენც ამ დროს
ზეცამ დაგნიშნა განგებით,
ჩადექი ხალხში ქადაგათ,
უცხო რამ ტკბილი ჰანგებით,
ქართულათ ჩანგი მომართე,
დააწყებინე ქღერანი,
სალბუნათ წყლული გულისა,
მორთე იმაზე მღერანი.

ეს ხმა გულს გვწვავდა ყველასა,
არ ჩაიარა უქმათა,
ზეციურ თესლით რაც სთესე,
ნაყოფი მოგვეც უხვავთა.

ამას დღეს გულით ყველა გრძნობს
სულ საქართველო მთელათა,
და ყოველ კუთხით მოგმართვენ
მადლობის მოსაძღვინელათა.

გამხნედი კვალათ პოეტო!
ღონე მოიეც გმირულათ,
დღეს გვწადს მოძღვარი შევიტკბოთ,

მიგვიღე მამა-შვილურათ.

ქართველთა გული სავსეა
დღეს შენი სიყვარულითა,
გთხოვთ, ერთათ ჩვენთან შენს გულსაც
აამე სიხარულითა.

თუმც ბევრნი შენებრ ძვირფასნი
შავმა დრომ დააშამათა,
შენცა სამშობლოს კაეშანს
ნუ ჩაიყოლებ შხამათა.

რ. საჯაოხელი.

თ. რაფიელ დ—ძე პარისტავს.

(ტფილისის მეჩქმეთაგან).

ძალი არ შეგვწევს ჩვენ ხელოვნებსა,
რომ ღირსეულათ შეგამკოთ ქებით
და არცა თქვენ ღვაწლს სპეტაკ-ღიაღსა
ფასი რამ დავსდოთ ჩვენი გონებით.
მაგრამ-კი დღეს გვსურს შეძლების გვარათ
მოგიძღვნათ ქება წრფელის გულითა
და მოგილოცოთ დღესასწაული
გლახთა შვილებმა სიყვარულითა.
გეთაყვანებით და გიძღვნით სალამს!
ორმოც-და ათი წელი შესრულდა,
რაც რომ საამოდ ტკბილ ჩანგს აუღერებ
და სიყვარულსა სამშობლოსადმი
ტკბილი ჰანგებით მას ზედ ამღერებლ...
ჰა, თქვენი ქნარით აღფრთოვნებულნი,
მოვეგებებით თქვენ ციურ კალამს!...
ენატრობთ, მგოსანო, კვლავაც განავრძო

გრძნობით სიმღერა—ეს სულის ლხენა
და ნარნარი ხმით კიდევ გვასმინო:
„მიყვარს სამშობლო მე დედა-ენა,“!
მეჩექმე იოსებ გარსევანაშვილი.

დურგლებისაგან:

თავ. რაფ. მარისტავს.

მგოსანო! შენმა სიმთ ჟღერამ
მოგვეფინა სულის ძალ-ლონე;
იმედით ვეტრფით მომავალს
დიდის წარსულის მომგონე...
მუშაკთ ნუგეშათ ჰანგები
მოგვეცა მაგ ჩანგის ჟღერამა,
ცრემლი და კენესა დაგვიცხრო
შორმა იმედის მღერამა;
შენგან სამშობლოს დიდებამ
გარანდა მუშის სულია,
სხივი მოჰფინა, შეჰკრინა
თუმც მადლით დატვირთულია!..
მადლობის ნიშნათ მიიღე
მაგიდა ჩვენგან რანდული.
კვლავ გვეცი მშრომელთ იმედი
შენგნით სიმთ-ჟღერით აღთქმული!..

თავად რაფიელს.

ერთი გრძნობით გამსჭვალული
შეკრებილა ქართველთ ერი,
რომ დიდებით გარდიხადოს
დღე ნეტარი ბედნიერი,

ყველა გიძღვნის ქებათ-ქებას
თვის საყვარელ მოხუც მგოსანს;
ხან გუთანთან მოლილინეს,
ხან ცათ მფრინავს, ვითა ფრთოსანს.
საწყალ «თინას მამითადი»
შენსა ქებას ტკბილათ ჰგალობს,
სვე გააქვს და ქერივი „თინაც“
„ციბრუტივით დატრიალობს“
„შენყვეტილი სიმაა ჟღერა“
კვლავ მოესმა შენ სამშობლოს
და მტრის ხელი აწ ვერ შესძლებს.
რომ ფანდური დაგიობლოს.
ყველა გეტრფის, ყველა ჰხარობს,
ყველა ლოცავს შენს ტკბილ ჰანგსა
და მეც, შვილი შენი ქვეყნის,
გრძნობით გიქვებ მკენესარ ჩანგსა!..

განდევილი.

**საქართველოს წარჩინებულ შვილს თ-დ რაფიელ
ერისთავს.**

როგორც შეშვენის ნამდვილ გმირს
ზღგეხარ იმ სიმაგრეზედა,
რომ არ გასცვალო სამშობლო
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!

ზღგეხარ და მასაც მოყვარულს,
არ მიაჩნხარ გერათა,
გთელის იგი ნამდვილ თავის ძეთ,

ღირსეულ-შესაფერათა.

უკვდავი ჩანგი ხელთა გაქვს
მარად ჟამს მის სამღერლათა
და გულ საკლავი ჰანგებით
ზედ დაჰკვნეს გრძნობიერათა!

შენგან შემკული გვირგვინით
სამშობლო შეენიერათა,
დღეს ნაყოფს აძლევს შენ მოძმეს
სხივ-მოგფენს მრავალ ფერათა!

არ გაგიცვლია სალი კლდე,
სხვებთ უკვდავების ხეზედა,
არ გაგიცვლია ზოგსავეთ
სიმართლე სიყალბეზედა...

სწორეთ შენგვარი შეილია,
რომ აღამაღლებს თავის ერს,
მოესულვართ თაყვან საცემად.
გისურვებთ მრავალ-ჟამიერს!!

რუს-იმერელი.

რ. მარისტაშს.

(მისი იუბილეს გამო)

მადლით მოსილო, ტკბილათ მუღერო,
პატოოსანო,
საერთო გრძნობით გამსჭვალული
მეც ვიღებ კალამს

და გურიიდგან, გურიის შვილი,
მოგიძღვნი სალამს.
ვისურვებ შენთვის დღევრძელობას,
ჩვენო ძვირფასო,
რომ იმედითა და ნუგეშით
კიდევ აღგვაფსო;
რომ კვლავ გვასმინო ხმა ციური—
ხმა საგრძნობელი,
სულის დამტკბობი, სანატრელი,
სალხინობელი;
დარდთ ამცილველი, სიხარულის
გულს შთამწერგველი,
და კვლავ ვისურვებ: შენი მცნება
ყველა ქართველსა
ძვალსა და რბილში გასჯომოდეს
და თვის მთა-ველსა,
არა, არ სცვლიდეს სხვის მთა-ველში
ტკბილო მგოსანო,
მადლით მოსილო, ტკბილად მქედრო
პატიოსანო!
გურული მოსწავლე კ. გოგოლაძე.

ს ი ტ ყ ვ ე ბ ი :

ახსიმახანდრეტი ლეონიძე.

აღმოსტევა გულმან ჩემმან სიტყვა კეთილი (ფსა. 44. 1).

დღევანდელი დღე საქართველოში შეადგენს რაფიელის სრულ საკუთრებას. სწავლული და მოსწავლე, მხცოვანი და

ქაბუკი, გლეხი და თავადი, ქალი და ვაჟი, ბარათ და მთათ, სოფლათ, დაბათ და ქალაქათ ჰბჭობს, მსჯელობს, ლაპარაკობს და ფიქრობს მხოლოთ იმ სასიქადულო მამულიშვილზედ, რომლის „გულმა აღმოსთქვა სიტყვა კეთილი“, რომელმაც დაგვასაჩუქრა ხელის-ხელ საგოგმანებელი ობოლი მარგალიტებრივი ლექსებით, რომელთა კითხვას არა ერთ გზით დაფუტკბივართ, ვუნ-უგეშებივართ, გავუმხნევებივართ, ზნეობრივ გავუზრდივართ და გავუფაქიზებივართ, ვითარცა გულითადს ლოცვას.

სამშობლო, ანუ ის მცირედი ნაწილი დედამიწისა, სადაც ვჩნდებით და პირველათ ვახელთ თვალს, რომლის ჰავით ვიწყებთ დაბადებისავე უმაღლ სუნთქვას, სადაც ფეხს ვიდგამთ და ვიმართებით წელში, ერთობ ძვირფასი, ერთობ საყვარელი, ერთობ ტკბილი და სასიამოვნო რამ არის ყველასათვის. ენა, რომლითაც დაფუტკბივართ დედას თავისი ალერსით, რომლის შემწეობითაც მიგვიღია მონაწილეობა სწორ-ამხანაგთა ღზინ-გართობაში, რომელზედაც გვსმენია ეკკლესიაში დამატკობელი ლოცვა-გალობა, ძვირფასი და საწადელია ჩვენთვის. მუდამ გვიზიდავს მშობელი სოფელი თავისს ვენახ-ქაღებით, მინდორ-ტყეებით, თავისის კეთილ, სათნო, მუდამ შრომაში მყოფი მკვიდრებით. ამ სათაყვანო საგნებს უმოქმედნიათ და ამოქმედებენ დღესაც მთელს სახელმწიფოებს, მათთვის უწირავთ და სწირვენ დღესაც თავიანთ გონებრივ ძალას ყოველი თემის საუკეთესო შვილები. უბედური, უმერმისო და უდღეურია იგი ერი, რომელსაც გაჰნელებია ეს საღმრთო ცეცხლი, რომელსაც შესცვლია მამულზედ გული და დაუკარგავს სამშობლო ენა. ამგვარი ერი თითონ ისპობს არსებობის ფესვს, თითონ იხმობს სიცოცხლის მკვიდრობის ძირს და ემზგავსება გამხმარ ქარქვეტს, რომელსაც მცირე

ქარიც ადვილად ჰგლეჯს ძირიანად მიწიდგან და მიმოაქვს, საითაც-კი მოუხდება.

სანუგეშოდ და სასიქადულოთ ჩვენდა უნდა ითქვას, რომ ამგვარ სენს არ ჰქონია საზოგადოთ ალაგი ჩვენის ერის წარსულს ცხოვრებაში, ნაკლებია იგი ჩვენ შორისაც და აი ამისი თვალსაჩინო საბუთი ხომ ეს დღევანდელი ჩვენი ყრილობაცაა.

რისთვის მოსულან ამოდენა წარმომადგენლები საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებითგან, თუ არ იმისთვის, რომ პირადათ გამოუცხადონ გულითადი პატივისცემა და წრფელი თანაგრძნობა იმ პირს, რომელსაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შეუწირავს დედა-ენის, მამულისა და მშობელი ერის სამსახურისათვის, რომელსაც სიცოცხლეში ულხენია მშობელი ერის სიხარულით და უკვნესია მისივე კვნესით, რომელმაც უკვდავი ლექსებით, ღრმა გრძნობებით და ხელოვნური სურათებით გადაგვიშალა თვალ-წინ ქართველის გულის სიფრცესიფართოვე, ქართულის ენის სიღრმე-სიმდიდრე, ქართველი გლეხის ჭირი და ლხინი, თანდილა, ბერუა, თინია და სესიეების ავი და კარგი, მათი გრძნობა და მისწრაფებანი! საღმრთოდ ჰსჩნევია და მიაჩნია დღესაც ქართველს აღნიშნული საგნება. ძვირად აფასებს და ღრმად პატივს-სცემს იგი ყველას, ვინც-კი მადლიანი კალმით ეჩება ამ საგნებს და ხელოვნურათ, გრძნობიერათ, მარჯვეთ, ფსიხოლოგიური სინამდვილით გამოსთქვამს მათ სიდიადეს, მათ სიმაღლეს და მნიშვნელობას. ფას-დაუდებელ იუბილთარს, როგორც ქართველი ერის ღვიძლ შვილს, კარგად ჰსმენია, რა იზიდავს ქართველის გულს, რა მიაჩნია ქართველს ყველაზედ უძვირფასესათ, რას ავედრებს იგი მუდამ-დღე უფალსა და სწორედ ამ საგნების საგალობლად, ამ საგნების საქებლად, ამ საგნების დასასურათებლად უშრომია მას დაუღალავად მთელი ორმოც-და-ათი

წელიწადი, უშრომია, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ უფრო დაუახლოვოს იგინი ქართველის გულს, მეტად შეაყვაროს იგინი მას, მეტის ძალით აგრძნობინოს ქართველს სამშობლოს სიყვარული, დედა-ენის უაღრესობა და მშობელი ერის საკეთილ-დღეოდ უანგარო მუშაობის სიტკბოება.

თუ რა მადლით, რა ნიჭით და ძალით არის აღბეჭდილი იუბილარის „გულიდამ აღმონათქვამი კეთილი სიტყვა“, ამას ცხად-ჰყოფს დღევანდელი, სიყვარულით აღვსილი, პატივისცემით აღფრთოვანებული, მადლობის გადახდის სურვილით გატაცებული კრება. ამერ-იმერნი, ბარელ-მთიელნი, მღვდელნი და ერი თანაბრად შევეტრფით ნიჭიერ მგოსანს ნიშნად იმისა, რომ მის ნაწერებს დიდად უმოქმედნიათ ჩვენ-ზე, მისი მადლიანი სიტყვა ჩაგვწდომია ყველას გულის სიღრმემდე, მისი აზრი და მისწრაფება მიგვიღია ყველას სახელმძღვანელოდ. დიად, ბედნიერი იუბილარი თავისის თვალთ ხედავს დღეს, რომ მას არ უშრომია ამაოდ, მიუღწევია თავისის შრომის პატიოსნური მიზნისთვის—„მისი გულიდგან აღმონათქვამს კეთილ სიტყვას“—გაუღვიძებია ქართველის გულში მამული-შვილობის მნათობი ალი და სწორეთ ამ აზრის შეგნება, ამ აზრზე გულის დაჯერება შეადგენს მისთვის უმაღლესს ჯილდოს.

მაგრამ, მხიარულნო მსმენელნო, საყვარელი მწერალი მოიმიკის დღეს ჩვენ შორის თავისის ნათესის მხოლოდ ოც-და-ათს ნაყოფს; სრულნი ნაყოფი-კი კეთილ მიწაზედ ნათესისა, სახარების სიტყვით, შეადგენს რომელიმე სამეოცს და რომელიმე ასს. აი სწორეთ ამ სრული და უხვი სამკლისკენ გაიმიზირება დღესაც მოხუცი მწერალი და ჩვენ, თუ გვსურს ჯეროვნად დავაჯილდოოთ იგი, თუ გულით გვწაღია შესაფერად დავუფასოთ მას ნახევარ საუკუნის განმავლობაში მამულისთვის თავდადებული შრომა და ჯაფა, მოვალენი ვართ

გავუმზადოთ მისს ნათესს შესაფერი ნიადაგი, ვეცადნეთ ყოველის ღონისძიებით, რომ იუბილარის ნაჭირნახულევა აღმოაცენოს ასი ნაყოფი. ნიადაგი, რომელსაც უნდა ხელი შევეწყოთ სრული სამკლის მისაღებად, არიან ჩვენი შვილები, ჩვენი მოზარდი თაობა. ყოველი მშობელი, რომელსაც მართლა ძვირფასად მიაჩნია ქართველობა, მოვალეა სიყრმიდგანვე შეაყვაროს და მტკიცედ დაუნერგოს თავისს შვილს მშობელი ერის საქებური ზნე-ხასიათნი, შეუსისხლ-ხორცოს მისი (ერის) აღმაფრთოვანებელი სულის სიმალღე, შეაწოვოს და შეადუღოს მისი (ხალხის) მხნეობა, დარბაისლობა და დიდსულოვნობა, აღუძრას შვილებს სამშობლო ენაში წრთენის განსაკუთრებითი ხალისი, მომეტებული სიყვარული და გულმოდგინება, მოაწყოს იმ გვარათ თავისი შვილების გონებითი განვითარების გზა, რომ სულით და გულით იზიდავდეს მათ სამშობლო ენის შესწავლის წადილი, მშობელ ენაში ვარჯიშობა შეადგენდეს მათთვის გონების არსებთან მოთხოვნილებას. ამ გვარ გზა-კვალზედ დადგომით ერთის მხრით რომ ჯეროვანად დავასაჩუქრებთ გულითადად პატივცემულს იუბილარს და სხვათა მის გვარ საზოგადო მოღვაწეთ, მეორე მხრით მივცემთ საშუალებას ჩვენს შვილებს გონივრულათ და მოსაზრებით დაუკავშირონ მათ თავიანთი ცხოვრება მამა-პაპათა სახელოვანს ცხოვრებას; შესაძლოთ გავხდით ჩვენის შვილებისთვის მეტის სისწორით, მეტის შეგნებით, მეტის სიმტკიცით და გარკვევით მოქმედებას. უამისოთ-კი მათი ქცევა-ცხოვრება იქნება უფრო წაბაძვითი, ვიდრე დამოუკიდებელი, უფრო შემთხვევითი, ვიდრე გაზომილ-მოსაზრებულთ, უფრო უაზრო, ვიდრე ეროვნულის თვისებით აღბეჭდილ-დაფერადებული!

ღმერთო მამათა ჩვენთაო, მომნიჭებლო ყოველისა კეთილისაო, მოჰმადლე მშვიდობა და დღეგრძელობა მამული-

სათვის დამაშვრალს თავადს რაფიელს; განაგრძე სასიქადუ-
ლოთ ჩვენდა დღენი ცხოვრებისა მისისანი და ღირს ჰყავ იგი
მის წრფელთა წადილთა საცებით აღსრულებისა! „მისის
გულითგან აღმონათქვამ კეთილის სიტყვის“ ასის ნაყოფის
მომკისა. ამინ!

არხიმანდრიტი ლეონიდე.

ა კ ა კ ი.

დიდებული მგოსანი რუსთველი, რომელიც ამ შვიდი-
საუკუნის განმავლობაში ასე ძლიერათ გვფენს შუქს, რომ
მისი ანარეკლი სხივებით დღესაც კიდევ ზოგიერთები ბრწყინ-
ნავენ, აი, რას ამბობს ერთგან: „რალა იგი სინათლე, რო-
შელსაც ახლავს ბნელიო?“ ეს სიტყვები დღეს სწორეთ ჩემ-
ზეა გამოქრილი: რალა სიტყვაა ის სიტყვა, როდესაც
მთქმელი სიფთხილით უნდა მოეკიდოს, რომ არ აღელდეს და
არა ევენოს რა, როგორც ავათმყოფს—სწორეთ ეს იყო მიზე-
ზი ჩემი დღევანდელი მღუმარებისა და არა ის, რასაც აქ
ბძანებენ. ის უსამართლო სიტყვები ეკლათ მოხვდა ჩემ გულს
და კიდევაც მაიძულებს, მოგახსენოთ რამ და სიმცირი-
სათვის ნუ შემრისხავთ.—თ. რ. ერისთავის პოეზიის შესახებ
ბევრი რამ წარმოითქვა დღეს აქ; იმ ორმოც-და-ათი წლის
განმავლობაშიაც ბევრი თქმულა. მე თვითონ ერთ დროს ბე-
ჭდვით წარმოვთქვი ჩემი აზრი და რადგანაც დასამატებელი
ახალი აღარა მაქვს რა, ამისთვის პირ-და-პირ გადავალ მაგის
ღირსების სხვა და სხვა მხარეებზე. ბ. რაფიელი ეკუთვნის მე-
სამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. ეს დრო ჩვენში დიდი
მარტოხელობის დრო იყო და ხომ მოგეხსენებათ, თუ რა
ტვირთი აწვება მარტოხელა კაცს ოჯახში? რომ ოჯახი არ
დაგქცეს და კერა არ გაუცივდეს, ყოველიფერს უნდა წაუპო-
ტინოს ხელი. ესეც აკეთოს—ისიც, აქაც იყოს—იქაც და თა-

ვის სიცოცხლე უნდა ათენ-აღამოს სხვა-და-სხვა მრავალ-გვარ წვრილმან საქმეების კეთებაში. როდესაც წამოეზღებთან შეი-
ლები და შეილიშვილები, ოჯახი გაკაცსულიანდება და ერ-
თის სამუშაოს ასი და ორასი გაინაწილებს, მაშინ სულ სხვებრ
წავა საქმე. საოცარი შესანიშნავიც რომ იყოს მარტოხელი
მუშა, რომელიც ბევრს სხვა-და-სხვა რამეს აკეთებს და ერთი-
სათვის მარტო ვერ იცლის, რომელიმე ნასაქმის სიღიადით
ვერ გაგვაკვირვებს. მისი ნაშრომი მთას ვერ წარმოგვიდგენს
და მისი ხალვაწი ზღვას, მაგრამ თუ ამას ათას გვარ წვრილ-
მან ნასაქმარს ერთმანეთს შეუხორცებთ, მაშინ კი მთაც გა-
მოვა და ზღვაც. სწორეთ ამ თვალთ უნდა ვუყურებდეთ ზო-
გიერთ მესამოცე წლების მოღვაწეებს და მათ რიცხვში თ. რ.
ერისთავსაც. — ორმოცი წელიწადია თვალყურს ვადევნებ მაგის
მოღვაწეობას და არც ერთხელ არ შევინიშნავს, რომ მაგას
გულ-გრილათ გვერდი აევილოს ჩვენი შინაური საქმეებისათვის
და შესაფერი თანაგრძნობა არ გამოეცხადებოდა. მაგას ყავდენ
ამხანაგები, მაგრამ ბევრი ჩამოშორდა და ვადაუხვია. მარუ-
ლაში, ანუ როგორც აქ ეძახიან, დოღში ყველა ბედაურებს
თანასწორათ მიაქვთ ხოლმე იერიში პირველ გამოხტომაზე,
მაგრამ გზათ კი ძალა-უნებურათ ჩამორჩებიან ხოლმე ერთი-
პეორეს და დანიშნულ ადგილამდე მხოლოთ მცრიოდენნი
მიაწევენ. ისე იყო აქაც; და ბ. რ. ერისთავმა ორმოც-დი-ათი
წლის წრემდე პირნათლათ მოაწია. თავის ხანგრძლივ ცხოვ-
რებაში ბევრი თვალსაჩინო ადგილი სჭერია მაგას სხვა-და-სხვა
ასპარეზზე და მაგის ნიჭისა და შრომის პატრონს დღემდე გულ-
მკერდი ვარსკვლავებით უნდა ჰქონდეს მოჭედილი და ჯიბე
სქლათ გატენილი. მაგრამ ვერცერთს ვერა ვხედავთ დღეს!
არა თუ იმ დროში, დღესაც უმეტესობას უდრეკი ხასიათი-
უხასიათობათ ძიაჩნია და ჰკიცხავს. ეგება ამასვე ფიქრობდეს
ზოგიერთები ამის შესახებაც და ეს დიდი შეცდომა იქნება.

თ. რ. ერისთავი მხოლოდ მაშინ ხდებოდა იძულებული დაე-
ნებებია თავი რომელიმე მოღვაწეობისათვის, როდესაც გა-
რემოება მოითხოვდა მისგან, რომ საკუთარი რწმუნების წი-
ნააღმდეგ, სხვის ნებაზე წასულიყო და გადაეხვია. მაშინ მხო-
ლოდ ივიწყებდა თავის-თავს, ოჯახს, ცოლშვილს და რჩებო-
და რიყზე. ამისთანა დროს გულ-გაუტეხლობა და გულ-დაუ-
ჩაგვრელობა, სწორეთ გმირობაა და ეს ძალა კიდევ ჰქონდა
მინიჭებული რაფიელს. აქ უადგილო არ იქნება რომ გავიხ-
სენოთ ერთი შემთხვევა: ერთხელ ამ ოც-და-თხუთმეტი წლის
წინათ მოვიხსენიებთ შინაურულათ სალიტერატურო საღამოს
გამართვა და რის ყოფით, ძლივს მოგაგროვებთ ოციოდე კა-
ცი. მაშინ ეს პირველი და უცხო ანბავი იყო. ჩაისა და ხი-
ლის მორთმევის შემდეგ, როცა შევეუდექით საქმეს, ათი გა-
გვეპარა იმ შიშით, რომ ვაი თუ გვიწყინონო, ხუთს დაეძი-
ნა იქვე და დავრჩით მხოლოდ მარტო ხუთიოდე... მაშინ
შევეკითხეთ ერთმანეთს: „ეჰ, რას უნდა მოველოდეთ?“ და
სანუგეშოთ ჩვენვე მივეციოთ ჩვენ თავს ჰასუხი: „არაფერია!
დღეს ხუთი იყოს, ხვალ ათი იქნება, ზეგ ასი და ამ გვარათ!“..
ვაი, რომ ჩვენ ვეღარ მოვესწრებით, თვარა კეთილი თესლი
უნაყოფოთ არ დარჩებაო და სხვანი... თურმე ვცდებოდით
მაშინ და დღეს, შემძლია, მაშინდელის საპასუხოთ მიუთი-
თო ამ ხალხზე ბ-ნ იუბილარს და ვუთხრა: „აი. თუმცა და-
გვიანებული, მაგრამ ჭეშმარიტი ჰასუხი! ხომ ხედავ, სხვა-და-
სხვა კუთხეებიდან ჩვენი ქვეყნისა მოსულან ქართველები,
რომ იდღესასწაულონ შენი ბედნიერი დღე და თანაგრძნობა
გამოგიცხადონ!.. და ზედაც კიდევ ეს დავძინოთ: ბდნიერო
მოხუცო! ნუ დაივიწყებ, რომ დღემდისაც გადახდილა იუბი-
ლეები ზოგიერთების, მაგრამ ეს ამბავი კი არ ყოფილა!.. ეს
ამბავი შეუძლია მხოლოდ ნიქს, რომ გამოიწვიოს, მაგრამ
რას ვანბობ? რა არის მარტო ნიქი, თუ თანვე არ ეახლება.

შრომის მოყვარეობა და გულწრფელობა? და ესეები კი ყველა ერთათ მომადლებული ჰქონდა ბ. რ. ერისთავს. იცოცხლოს დადხანს მომავალი თაობის სამოძღვრო-სამაგალითოთ.

ი ლ ი ა.

ჩვენს სახელოვანს მოხუც - პოეტს შესანიშნავი ალაგო უჭირავს ქართულ პოეზიაში. მისი ლექსები აღბეჭდილია ხალხური გრძნობით. ის ღრმათ შეეხო ჩვენი მუშა ხალხის ცხოვრებას და არის მომღვრალი მის გულნადებისა. იმან შექმნა თავისი საკუთარი შკოლა ხალხური პოეზიისა. მისი მიმდევარნი არიან ძმები რაზიკაშვილები. ჩინებულათ ასურათებს ამ გარემოებას ჩვენი პოეტის გალექსვით მიწერ-მოწერა ერთ ხალხიდან გამოსულ პოეტთან, რომელმაც, აი რა გრძნობით გამოხატა ჩვენი მოხუცებული პოეტის გავლენა ახალშობილს პოეტზე:

„შენი ჭირიმე, მოხუცო,
ია გესროლე, მამაო!
ძილშიით გამომადვიდა
შენმა ფანდურის ხმამაგო:
შაერთო გრძნობის მორევსა,
ჩემ გულიც აიჩქამაო;
იქათ იორმა შაიტყო,
აქეთ ალაზნის წყალმაო.
ბუნებამ ჯერი მიიღო,
მთამ ქედი მოგიხარაო,
ღუშმანი გათავებულა,
სამშობლომ გაიხარაო.
ბიწსა ჰძლო სათნოებამა,
სიცოცხლე გაუმწარაო.

საწყალმა ღამის მეხრემა
მადლობა დაგიბარაო...
ნება მიეცი, დაგდაფნოს
გამოუცდელმა ყმაშაო.

ამ შეენიერ წერილზე, აი, როგორ უპასუხა ჩვენმა სა-
ხელოვანმა მოხუცმა:

გადმახალისა, ძმობილო,
შენგან ნასროლმა იამა,
შენი ფანდურის ჟღერაი
მოხუცს გულს მეტათ იამა!...
ყური დავუგდე სიმებსა:
დამიტკბეს ბერი სულია,
გადამახედეს ფშაველში,
მთლათ ამიჩქროლეს გულია!—
მასმინა შენმა ფანდურმა
მთის ყვაველების ქებანი,
„ფშაური ქალის ტირილი“
და „ტყვეს სიმღერით“ შევებანი...
ბაასი ბებერ მუხასთან
აღმასებრ ლექსით მსმენია,
დავლონებულვარ ბეჩაფი,
ცრემლი ვერ დამითმენია!...
შენ დამანახვე ძმობილო,
„მგზავრის საღამო მთებშია“
ფრთები დავუშვი მე დაბლა,
ველარ მოგყვები ფრთებშია;
შენ ყმაწვილი ხარ, მე ბერი,
ღმერთმა გიკურთხოს ჩანგია!
მაწაფე, მოძმევ ახალო,
ბერსა ახალი ჰანგია.“

ივანე მაჩაბელი:

დღევანდელი დღე ღირს შესანიშნავათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში. დღეს კიდევ ერთხელ განმტკიცდა ჩვენი ერთობა; დღეს შევითვისეთ და შევეთვისენით იმ ქართველების ტომთაც კი, რომელნიც მოწყვეტილებსავეთ მიგვაჩნდა. აი, თუნდ დღეს დილით, როცა იუბილარისადმი მილოცვაც გათავდა, კრება იშლებოდა, ძველებურათ ჯაჭვ-ჯავშანში ჩასხმულნი ხევსურნი ხალხში ჩაერიენ, შემოსძახეს თავიანთი ვაჟკაცური სიმღერა და ქუდების მალღასროლით აღტაცებულნი ჩვენ, სერთუკიანებს, გვიძმობილდებოდენ. ვინ გამოიწვია ეს ნახევარზე ქვეყნიერებას მოწყვეტილი ხალხი თავიანთ სალ-კლდეებიდან, რამ ჩამოიყენა, რამ გარია ჩვენში, ან რა სიხარულმა აიტაცა? უწინ ამათი გამოხმობა მხოლოდ ბატონ ერეკლეს სიტყვას შეეძლო და ქუდზე კაციც ჩამოდიოდა მტრის მოსაგერებლათ. ახლა სხვაა. ჯაჭვ-ჯავშანი აღარ არის საჭირო და ესევე ხევსურნი ჩამოდიან აქ იმ პატარა კალმის ძალით, რომელიც ბატონ ერეკლეს სიტყვაზე ნაკლებ არა ჰქრის. ჩამოდიან აქ და რა ისმენენ ღვიძლ ენაზე ამდენს საამო სიტყვას, თავი უცხო აღარ ჰგონიათ და თავიანთებურათ გვაგრძნობინებენ, ჩვენც თქვენი ვართო. როგორც ცაში ორი მხრიდან მომავალნი ღრუბელნი, შეხვედრილნი ელექტრონის ძალით, ელვა-გრგვინვას წარმოშობენ, დღესაც სხვა-და-სხვა კუთხიდან აქ თავმოყრილი, სხვა-და-სხვა ფერათ მორთული ქართველობა შეაწება, შეადუღა ერთმა გრძნობამ. მისმა ერთათ შეხვედრამ გამოიწვია ჭექა-გრგვინვა აღტაცებული მადლობისა იმ კაცისადმი, რომელიც გახდა მიზეზი დღეს ჩვენი აქ თავმოყრისა. ელვის უმაღლესათ დაგვირბინა სიხარულის ურუანტელმა, რა დავინახეთ, რომ თავზე ^{ღიღინებდა} ~~კიდევ მოხვეულმა~~ აქარელმა და ბათუმელმა ხელი გაუწოდა ბაქოში მცხოვრებ ქართველს და გაგვანსენდა ერთი პოეტის სიტყვები:

„მე ქართველი ვარ, ჩემი სამშობლო
ორ ზღვას შუაა გადაჭიმული“.

ვიხილავ ანაქარა
როსტომის ძეგლის
იოსებ ბაქაძისა?

ღიად, რაფიელის კალამმა შეგვაერთა, მოგვაგონა დიდებუ-
ლი წარსული და ჩაგვაწვეთა ამედი უკეთესი მომავლისა.

მაგრამ მასთანავე მოხუც პოეტს სხვა დიდი ღვაწლიც
მიუძღვის. იგი მიხვდა, რომ ახლა ის ერა, რომელიც მხნე-
ობას მოკლებულა, აღიგვება დედამიწის ზურგიდან და, აი,
თვითვე გვიჩვენებს მაგალითს საოცარი შრომის მოყვარეობ-
ისას: დღეს წერს ლექსებს, ხვალ სათეატრო პიესებს, ზეგ ბა-
ვშებისათვის ზრუნავს, თან ლექსიკონს ადგენს და ცხოველი
მაგალითით გვეუბნება: გამხნევდით, იბრძოლეთ, ეცადეთ
თქვენი ქვეყნის კეთილ-დღეობას, უერთგულეთ მამულს და
ისიც თქვენ გიერთგულებთო.

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

ეუბნებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის მერანს, თუ-
მცაკი ვერ მოესწრო ამ ნატურის შესრულებას. რაფიელ ერ-
ისთავი უფრო ბედნიერ ვარსკვლავზე არის დაბადებული. ის
ხედავს დღეს ამ დიდებულ კრებაში ნაყოფს თავის მოუხვენა-
რი შრომისას, რომლის სიძნელემ და უმადურობამ პირველში
ვერ შეაკრთო, ვერ შეაშინა იგი. რაღა საჭიროა დღეს სადღე-
გრძელონი, თვით რაფიელისთვის რაიმეს ნატვრა, როცა მთე-
ლი ქართველობის გულში საუკუნო სიცოცხლედ დაიმკვიდ-
რა და, თუ ვსვამთ ამ სადღეგრძელოს, ვსვამთ იმ სურვილით,
რომ რაფიელის გრძნობებით აღფრთოვანებული ჩვენი ქვეყანა
რაფიელთანვე ერთად კიდევ უფრო გაძლიერდეს, გამხნევდეს
და მისნი ძენი მრავალჯერ დამტკბარიყვენ ღღევანდელისთანა
დიდებული დღესასწაულით.

მკატერიწე გაბაშვილი:

ძვირზასო რაზიელ!

მიჯნურობა არის ტურფა,
საცოდნელად ძნელი გვარი,
მიჯნურობა ხხვა რამეა,
არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა
შუა უზის დიდი მზღვარი,
ნურვინ გარევეთ ერთმანეთში—
გესმასთ ჩემი ნაუბარი!

დღეს მთელმა ქართველობამ თაყვანი სცა შენ ნიქს,
შენ კალამს. გასაოცარი შეთანხმებით, არა ჩვეულებრივი
ერთობით, სრული გულწრფელობით განგიცხადა თავისი უზო-
მო სიყვარული და თანაგრძნობა.

მრავალმა მჭევრ-მეტყველმა ორატორმა სხვა-და-სხვა
კუთხიდან ჩვენი ტურფა ქვეყნისა ქებათა-ქება უძღ-
ნა შენ ჩანგის ქღერას, მრავალთაგან მრავალმა ცრემ-
ლებით საესე თვალებით აღტაცებით გაიმეორა შენი უკ-
ვდავი „სამშობლო ხევსურიდან“ გულის სიღრმემდე ჩამწვდები
სიტყვები, ხელოსანთა წარმომადგენლებმა დედამიწამდე თავის
დაკვრით სალამი მისცეს „დედა-ენის“ დამწერს, ხალხის შვი-
ლებმა ვაშა უძღვნეს „თინიას მამითადის“ შემქნელს „ბზობი-
სა“ და „აღდგომის“ ავტორს, დიდება შესწირეს ახალი თა-
ობის გამწვრთნელს და გულის გამთბობს; საერთო აღტაცე-
ბას, რასაკვირველია, მეც მივაწვდიე ქართველ ქალებთან ერ-
თათ ჩემი გულის თქმა და თაყვანება.

მაგრამ არც ერთმა შენმა მათაყვანებელმა არ გაიხსენა
შენი სატრფიალო ლექსთა ქღერა. როგორ? ის ხანა პოე-
ტის შემოქმედებისა, როდესაც სიჭაბუკე მას იწვევს დედა-

კაცის სადიდებლათ, ის ხანა, როდესაც დედაკაცის მზერაში მას იღუმალის ძალა ახატვინებს თავისი ტურფა ქვეყნის საიდუმლოებით სავსე სურათს, ის ხანა პოეტის სიქაბუკისა, როდესაც ის დედაკაცს აყენებს ღმერთებთა ტოლათ, დედაკაცში ჰპოვებს თავის კალმისთვის ღვექსთა გამოთქმის ძალას, დედაკაცს უმღერს საუკეთესო ჰანგებს ღვთიური მუსიკისას, უყურადღებოთ უნდა იყოს დატოვებული?

ღიაღ, სამწუხაროთ, დღეს ასე იყო. მაგრამ მე, როგორც დედაკაცი, როგორც მწერალი ქალი, (რომელიც, თუმცა მკრთალი კალმით, მაგრამ გულ-წრფელი, პირდაპირ გულიდან გაღმონადენი გრძნობებით სავსე), რომელიც ოც-და-ხუთი წლის განმავლობაში ვემსახურებოდი იმ იდეალს, რომ ქართველი ქალის გულში გამეღვიძებინა ის მაღალი, კაცის ღმერთათ მქცეველი გრძობა, რომელსაც სიყვარულს უწოდებენ, ვერ მოვიხმენ ამას.

როგორ? მაშ მთელი მსოფლიო პოეტნი ძველთა და ახალთა ერთა სიამაყე და სასიქადულონი სცდებოდნენ, როდესაც თავის ღვთაებრივი ძლიერების ჩანგის ჟღერით დედაკაცს ქებას და ღიდებას უგალობდენ? განა დედაკაცის ტრფილით გამოწვეული ციურნი ხმანი რუსთაველისა მხოლოდ გამოუსადეგი ოცნება იყო და არა თვით უკვდავების წყარო ბედნიერი ერის ცხოვრებისა? განა გენიოსათ არ აქცია შოთა მხოლოდ ამ მაღალი გრძნობის მღერამ? განა ალექსანდრე ჭავჭავაძე რომ ბუღბუღლათ უსტვენს, ჩვენი სიამაყე და სიმდიდრე არ არის? განა რაფიელს ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ შენ ოდესღაც ვარდზე იჯექი და თვალ-დახუჭული „უმაღლეს ჰარმონიას“ კაცის სულისას—სიყვარულს—ჰანგებს უწყობდიო? არა და არა! მე, როგორც დედაკაცი, როგორც აღსავსე გრძნობითა და თაყვანებით სიყვარულისადმი, რომელსაც მხოლოდ ძალუძს, კაცის უკვდავება. სრულს უთანხმობას ვუცხადებ ჩვენ

ორატორებს ამ უყურადღებობისთვის და ალტაცებით ვიმღერ
შენს სატრფიალო მშვენიერ ლექსებს:

„ბიჭი აენტო შმაგივით,
თვალები დააბრიალა,
წამოჯდა მარჯვედ, სალამურს
ჩაჰბერა ჩააწკრიალა,
ჩააკაკანა ხმა ტკბილად,
სეედის ხმით შეაზრიალა,
შავ-თვალას გული მოუკლა,
გონება გაუტიალა“.

კარლოს ჩხეიძე

„რა გინდ მრავალგვარი იყოს მოღვაწეობა რომელიმე პირისა, რა გინდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყოს მისი ცხოვრება, იგი ყოველთვის და ყოველგან ინსტიტუტურათ ემორჩილება ერთს რომელსამე უძლიერეს უმთავრეს გრძნობას. ეს გრძნობა ამოქმედებს მის პიროვნებას და შეუჩერებლათ ეზიდება მას ამა, თუ იმ მიზნისაკენ. მართლაც მოვიგონოთ მაგალითათ ჩვენი საუკეთესო წინაპრები და ვიკითხოთ, იყო თუ არა მათში ერთი რომელიმე უძლიერესი გრძნობა, რომლის წინაშე მიმქრალი იყვენ სხვა მათი გრძნობები? მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ თითოეულს თქვენგანს მზათა აქვს ერთი და იგივე პასუხი: ეს გრძნობა იყო უსაზღვრო სიყვარული მამულისადმი. რამ ადაურთოვანა ის პირნი, რომელთაც მთელ კაცობრიობას შესწირეს თვისი სიცოცხლე? იმავე სიყვარულმა მხოლოდ მთელი კაცობრიობისადმი და არა მარტო თვისი მამულისადმი. რა ხდიდა შეუბრალებელ უსასტიკეს გამირებათ ზოგიერთ ისტორიულ პირებს?—ყოველ საზღვარს გადასული

თავმოყვარეობა, მძლეველი სურვილი პატივის მოხვეჭისა. რა ავიწყებინებდა თავს, პირად სარგებლობას, უდიდეს მოაზროვნეთ?—სიყვარული ჰეშმარიტებისადმი. რა ასულ დგმულებდა ისეთ ფილოსოფოსთ, რომელთ შეხედულობით არყოფნა, ნირვანა უნდა შეადგენდეს კაცობრიობის მისწრაფების საგანს?— უკმაყოფილება თანამედროვე ცხოვრებისა. ამიტომაც, ჩემი აზრით, თუ გნებავსთ დაათვასთ პიროვნება რომელიმე მოღვაწისა, აუცილებლათ საჭიროა შეიგნოთ, თუ რომელი გრძნობა შეადგენს მის წმიდათა წმიდას. ამ მხრით თუ დაუკვირდებით საყვარელი მამულის შვილთა შორის უსაყვარლესი თ. რ. ერისთვის წარსულს, დავინახავთ რომ მისი პიროვნება სწორეთ რომ ფრიად შესანიშნავია სხვა ჩვენ მოღვაწეთა შორის. მამულისა და ერის სიყვარული, როგორც საზოგადოთ ყველგან, ისე კერძოთ ჩვენშიაც აუცილებელი თვისება იყო და არი ნამდვილი მოღვაწისა და მე სრულიათ დარწმუნებული ვარ, რომ ეს ძვირფასი გრძნობა არავისზე ნაკლებ არ ღვივის თ. რ. ერისთვის გულში, მაგრამ აქ საგულისხმო ის გახლავსთ, რომ ეს გრძნობა მან გადიტანა ჩვენი ერის იმ ნაწილზე, რომელსაც დაბალ, მეშა ხალხს უწოდებენ. კიდევ უფრო ძნელდება ამ კითხვაზე პასუხის გება, როცა ამ მხრით აღარებთ თ. რ. სხვა ჩვენ შესამჩნევ მოღვაწეებს, რომელნიც უფრო ახალს დროს ეკუთვნიან და ხედავთ, რომ ვერც ერთს მათგანს ვერ მოუხერხებია ისე ძლიერათ შეყვარება დაბალი ხალხისა, როგორც საყვარელ მოხუცს. დიახ, ადვილი არ არის ამ კითხვების ახსნა, ხოლო ეს კი ყოველ იქვს გარეშეა, რომ ესრეთ წოდებული დაბალი ხალხისადმი სიყვარული უძლიერესი გრძნობაა ჩვენი პოეტისა და აქ არი კიდევ სიდიდე მისი ბუნებისა.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არასოდეს ქართველი ერი, ის ერი, რომელმაც არა ერთი რთული კითხვა გა-

დაწყვიტა თვის ხანგრძლივ ცხოვრებაში, არც თქვენგან აღნიშნულ კითხვებს შეუშინდება, ღირსეულათ და სამართლიანათ გადაწყვეტს მათ. რამდენადაც უფრო დაუახლოვდება ქართველი ერი იმ სანატრელ დროს, რამდენათაც უფრო გაიმაგრებს წელს შრომის შეილო, რამდენათაც უფრო იცნობს იგი თვის პიროვნებას, შეიგნებს თავის ფასს, რამდენათაც უფრო დაემსგავსება ქართველი მუშა თავის დასავლეთ ევროპიელ მოძმეს, იმდენათ უფრო საყვარელი შეიქნება მისთვის ის, ვინც პირველათ შეუწყო თვისი ქნარის ჟღერა ხალხის გულის ძგერას, მის სულის კვეთებას, ღიახ, თქვენი ხსოვნა და სიყვარული არამც თუ მუდამ იქნება ქართველი გრის გულში, დღითი-დღე გაძლიერდება და გაიზდება კიდევ იგი. როგორც წარმომადგენელი ჩემი წარმომგზავნელი საზოგადოებისა, სიტყვას ვდებ თქვენ წინაშე, ძვირფასო რაფიელ დავითის ძევ, რომ ეს საზოგადოება ყოველ ღონეს იხმარს,—მაღე დაუდგეს სანატრელი მერმისი ქართველ მუშას, რომ მით კიდევ უფრო ღიადი ნათელი მოეფინოს თქვენ სახელს.

გ ი ო რ ბ ი გ ვ ა ზ ა ვ ა :

მომაქვს სალამი, დიდებულო პოეტო, სამეგრელოდან, იმ მხრიდან, სადაც შენ გაატარე შენი ახალგაზდობა. გჯეროდეს, რომ ყოველ ფაცხაში რიონის პირათ დღეს ლხენითა და თაყვანისცემით გაისმის შენი სახელი. სამეგრელო აღტაცებულია ამ დღეობით და თავის ტაშის კვრას უერთებს ამ ტაშის გრიალს, რაც შენ გესმის. შეჭხედე ამ ხალხით აღსაესე დარბაზს, ამ მღელვარე ყმაწვილ კაცობას, ამ მონარნარე ღიმილს ქალების ტუჩებზე: შენ გიყურებენ, შემოგღიმიან, შემოგკვიან ვაშას და ვაშას!

მაგრამ რა არის ეს? თვით უკვდავება წინ არის. გაიარს

დღე და გაიარს ღამე, წარნარი ვინმე მეგრელი ქალი, — რაც
ეხლა მკრთალათ მოსჩანს მომავალ საუკუნოების ბურუსში, —
დაჯდება შავი ზღვის პირათ, გაჰშლის შენს წიგნსა, გადას-
დებს მერე, წიგნი კალათიდან ჩაუცოცდება და თვალი მისი,
სევდით მკრთომარე, ცის და ზღვის შუა დაიკარგება. ახალი
გრძნობა, ახალი აზრი, შენგან გამოწვეული, გაუთამაშებს მა-
შინ მის გულს, მის გონებას; თვით მტერათ ქცეული და გა-
ბნეული, მაშინ დაიბადები კვალათ; მშვენიერების მოსამსახურე
რე თვითონ გაჰხდები მშვენიერება — აზრი და გრძნობა...

გაუმარჯოს მათს ერთგულს მოსამსახურეს — რადიელს!

მისალოცი წერილები:

რაფიელ ერისთავს.

(თუშნი)

გაქვებთ მოგილოცამთ რაფიელ ერისთავსა გმადლობთ
შრომით მოუღღელსა მნათობს ვარსკვლავს ცისკრისასა საიმე-
დლოთ გაჩენილსა გონების გზის მკეთებელსა მძინართა მღვი-
ძებელსა ელამთა მმართველსა გულის დამარწმუნებელსა უბ-
ნობისა მთესველსა, მსმენელთა მრწმუნებელსა შრომა ღმერ-
თმან დაგიფასოსთ თავადო აწცა ჰსცოცხლებდინ უკუნითი
უკუნი სამდე უფალო უფალო ღმერთო ყოველი არსებულისაო
მძებნელს დანაკარგი აპოენინე ამინ უფალო —

მემცხვარე ივანე ცისკარაშვილი.

მოწყალეო ხელმწიფე,

თავადო რაფიელ დაკითხიძე!

დიდი სიამოვნებით გილოცავთ ორმოც-და-ათი წლის

მოღვაწეობას ჩვენს ქართულ ლიტერატურაში. თქვენი მუხა შეეხო ჩვენი ცხოვრების ყოველივე მხარეს.

თქვენს მუხაში მშვენიერათ არის გამოხატული მამულის სიყვარული, ჩვენი გლეხის შევიწროებული ცხოვრება, სხვა და სხვა მხარე ნამდვილათ ჩვენი საზოგადოებისა, თქვენ გეკუთვნის ბრწყინვალე ადგილი ჩვენს წარჩინებულ პოეტთა შორის.

თქვენი მუხა იწყება შემდეგ გარდაცვალებულის ნიჭიერი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გამსვქვალულის პატრიოტიზმის გრძნობით.

კიდევ ბევრს რასმე მოგწერდით, ჩემო უძვირფასესო რაფიელ დავითისძე, რომ პირადათ მეცა თქვენთვის ის უღრმესი პატივისცემა, რომელიც დანერგულია ჩემს გულში სიკვდილამდე. ღმერთსა ვსთხოვ თქვენს დიდხან სიცოცხლეს, ვისურვებ, რომ თქვენი ნაყოფიერი შრომა ჩვენს ჯერ ნორჩს ლიტერატურაში დიდხანს არ შესწყდეს.

დავშთები თქვენი ღრმათ პატივისმცემელი, უმორჩილესი მოსამსახურე
კონსტანტინე მამაცაშვილი.

წერილი სვანეთიდან

ჩვენს საყვარელ პოეტო რაფიელ!

ნუ გვიწყენ, ჩვენო სახელოვანო პოეტო, თუ „თოვლიან-ყინულიან“ სვანეთიდან სალამი გვიან მოგდის. ნუ გიკვირს, თუ 22 ოქტომბრის საერო დღესასწაულის ამბავმა მხოლოდ 15 ნოემბერს მოაღწია ჩვენამდე. ამისი მიზეზი გახლავს ის მომხიბლავი გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენი საერთო სამშობლოსა, რომელმაც იგი გახადა უხსოვარი დროიდან „ვაშლათ ცილობისა“ ძველთა და ახალთა სამეფოთა შორის. დაჯერეთ თქვენი სამშობლოს მოტრფიალე გული, რომ იალბუხის, უშბას და თვეთნულდის ძირშიაც ერთ მუქა სვანებს

ქართველთ მოძმეებს უყვარხართ და დიდად აფასებენ თქვენს საზოგადო სამშობლოსათვის ნაყოფიერ მოღვაწეობას. გვერწმუნე, მხცოვანო პოეტო, რომ თქვენს „სამშობლოს ხევსურისას“ იგეთივე აღტაცებით მღერიან სვანის პაწია ბაშეები, როგორათაც ქართლ-კახეთისა, სადაც პირველათ გარწეულა ჩვენთვის საამაყო თქვენი აკვანი. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მოლოცვა ნაცვლათ ფეხებზე იახილამურებ აკრულ დეპუტაციისა და ოქროს ასოებით დაბეჭდილი ადრესისა. ჩვენი გულითადი სურვილია ამ ჩვენი მოლოცვით ერთს წამსაც რა არის სიამოვნების შუქი მოეფინოთ თქვენს სამშობლოსადმი უძმატკივარს გულს და თუ ამას მიაღწია ჩვენმა სურვილმა, მიზანიც აგვისრულდება.

თავ. თათარყან დადიშკელიანი.
მღვდელი გაიოზ ძიმისტარაშვილი.
თავისუფალი სვანი და სხვანი.

თავად რაფინელ ღავითის ძე მკისთავს.

საყვარელო პოეტო! იმ დღიდან, რაც თქვენ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყეთ და მგოსნის მანტიით შეიმოსეთ, გურულები ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს ყოველ თქვენ ნაბიჯს ამ სასიქადულო გზაზე, გულდადებით გისმენენ ღირსეულ მგოსნანს. თქვენ თქვენი ქნარით სანატრელი თანამგზავრი ხართ მათი ჭირში და ლხინში, შინ და გარეთ. სადაც უნდა იყოს გურული კაცი: სახლში თუ კარში, სოფლათ თუ ქალაქათ, ბარში თუ მთაში, ყანაში თუ ვენახში, რა საქმესაც უნდა ადგეს ის, ყველგან ესმის მას თქვენი მარჯვე მომართული ქნარის სიმთა ჟღერა, ყველგან სტკბება ის ამ ციურ ხმათა მოსმენით. ეს ციური ხმა ხან შემოიჭრება მათ ლხინში და ნეტარების ზღვაში აცურვებს, ხან-კი მფარველ ანგელოსათ მოეველინება ჭირის დროს და მკურნალ მა-

ლამოთ ედება დაწყულულებულ გულზე. თქვენი ღვთისგან ნაკურთხი კალამი ხან ბოროტებას მუსრავს და მტრის გულის გასაგმირათ ილესება, ხან მჩაგრავ ძალას ებრძვის და უსამართლოთ გაქელორლის ფეხზე წამოყენებას ლამის, ხან შემოიჭრება სასამართლოში და მიუდგომლობას, სამართლიანობას ითხოვს, ხან შეიმოაება მოძღვრის სამოსლით, რომ გვიმოძღვროს ძმობა, ერთობა, სამშობლოს სიყვარული, ან მასწავლებლის კათედრიდან ზნეობრივით წრთენის ჩვენს ნორჩ მოზარდ თაობას, უნერგავს მათ ღედა-ენის, სამშობლოს სიყვარულს, ხან კედევ, როგორც ერთგული ჭირისუფალი, ძაძით მოიბურება და ბეჩავ შრომის შეილთან ერთათ დასტირის სეტყვისგან გინდა გვალვისგან აოხრებულ ყანას, ან და გულ-შეწუხებული ცრემლს ღვრის რომელიმე უპატრონოთ დაგდებული მომაკვდავის ლოგინთან. ძადლით ცხებულმა ვონებამ, განწმედილმა, გრძნობის ზღვათ ქცეულმა გულმა, ღვთისაგან მონიჭებულმა ქანქარმა, რომელიც ზარმაც მონასავით უქმათ არ დამარხეთ, არამედ თქვენი მხნეობით ერთი ასათ გაზარდეთ და ასარგებლეთ ჩვენდა საბედნიეროთ; სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა ნება მოგცათ ღირსეულ მამულიშვილს ღირსეულათ მოგეხადათ თვისი ვალი სამშობლოს წინაშე და აი ღღეს თქვენი ორმოც-და-ათი წლის ლიტერატურულ მოღვაწეობას შემდეგ — სიხარულით შეგცქერით, მხცოვანო პოეტო, მდგომარეს დიდების მთაზე, რომლის მწვერვალზე მოგაქცია თქვენ საკუთარმა ნიქმა და მხნეობამ, ტვირთ-მძიმეთა უსაზღვრო სიყვარულმა. მე 1858 წლებში თქვენთან სამსახურის გამო კარგათ მესმოდა თქვენი ლტოლვილება, თქვენი ძლიერი სულის კვეთება და ამიტომაც სრულებით არ მიკვირს ის უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც გრძნობს თქვენდამი დამაშვრალი ტვირთ-მძიმეთა წოდება. რომლის ვარამი და ყოფა-ცხოვრება ისე ხე-

ლოენურათ დასურათებულია თქვენს ნაწარმოებში. მაშ ნება მიბოძეთ, სასიქადულო მგოსანო, გურული გლახკაცობის სახელით მოგილოცოთ თქვენი ორმოც-და-ათი წლის თრიათ ნაყოფიერი მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე და ჩვენი სიხარული, ამ დღესასწაულით გამოწვეული, შევუერთოთ სხვა ქართველების სიხარულს. კვლავ იცოცხლეთ ჩვენდა სასიქადულოთ, ჩვენდა საბედნიეროთ და კვლავ გაგვაგონეთ მაგ დიდების მთიდან ასეთი საგმირო ხმები:

„გავსწყდეთ, ძმებო, სჯულისათვის
მამულისთვის სისხლი ვსთხიოთ,
შემწეთ ჩვენის სიმართლისთვის—
მალლით ღმერთი მოვიწვიოთ,
ვეცნეთ მტერსა, დავერიენეთ,
დავიფრინოთ, ხმლითა ვსდიოთ,
მეც თქვენში ვარ, თოფი მკარით,
თუ სისუსტე შემამჩნიოთ!..“

დავუთები თქვენი ბრწყინვალეების მართა ერთგული და უმორჩილესი მოსამსახურე ოზურგეთის მაზრის უფროსი კოსტახტინე ალშიბაია.

სახელგანთქმულო თავადო რაფიელ!

მოგილოცავთ საქართველს გაღვიძებას და თვითმცნობელობას. მოგილოცავთ აგრეთვე, რომ ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში თქვენმა მუღმივმა მოღვაწეობამ მწერლობის ასპარეზზე კეთილი ნაყოფი გამოიღო. გულითადი სურვილი აღვისრულდათ. გაიხარეთ, ქართველებმა იცნეს თავიანთი თავი და შეიგნეს საჭიროება განათლებისა და სარგებლობა ერთობისა. თქვენი მწერლობის საგანიც ხომ ეს იყო! თქვენი კალმის ბრწყინვალე ნაწარმოებს ინგილოთა შეილნიც დიდი სიამოვნებით ჰკითხულობენ. ამათაც დაჰბერა განათლების ნიაჲმა, თქვენისთანა დიდებულ მწერალთა მეცადინეობით, ამა-

თაც იცნეს თავიანთი ვინაობა და ჰნატრობენ განათლებას. ერთი საეკლესიო სკოლაში ნასწავლი პატარა ინგილო (ყორაღნელი) დაემუქრა თავის ქვრივ დედას: „არ იქნები ჩემი საყვარელი მშობელი დედა, თუ ჩემი და არ მიეცი სკოლაში წერა - კითხვის შესასწავლათ სამშობლო ენაზეო“. ვინ გაადვიბა მისი გონება, უმეცრების სიბნელით შემოსილი, თუ არა თქვენისთანა მადლიანმა მწერალმა. იქნება გეგონოთ, რომ ინგილოთა მოსწავლე ყმაწვილები თქვენ ვერ გიცნობდენ. ღმერთმა ნუ ქმნას. არა, სახელსა თქვენსა აქაც აქებენ, აღიდებენ და ნეტა რათ იხსენებენ. ამათაც იციან დაფასება სასარგებლო კაცისა. ესენიც კითხულობენ თქვენ ლექსს: „სამშობლო ხეესურისა“, ამათაც მოიგონეს თქვენი დღესასწაული და გილოცავენ. ხოლო პატარა ყორაღნელი ინგილო ჰკზავნის თავის დას საეკლესიო სკოლაში თქვენი სახელის მოსაგონებლათ, მიიღეთ ეს წვლილი მისგან. მკვირედია, მაგრამ ყველა ჯილდოზე უძვირფასესია, ვითარცა ის ერთი გროში, რომელიც მდიდრებთან ერთათ ჩასდო იერუსალიმის ტაძრის განძანაკში წმიდა გულით ერთმა ღარიბმა ქვრივმა დედა-კაცმა და ქრისტე-ღმერთმაც მისი საწირავი უფრო უძვირფასესათ აღიარა, ვიდრე მდიდართა უხვიერი ძღვენი; ამისთვის მეც ვბედავ მოგილოცოთ გამარჯვებას უმეცრებასთან ბრძოლაში. ბურუსი, ჯანდი, ნისლი უმეცრებისა აწ ინგილოთა გონებასაც ნელა-ნელა ჰშორდება და ეფინება ნათელი განათლებისა თქვენისათანა დიდებულ მოღვაწეთა მეოხებით და მეცადინეობით.

მღვდელი ინგილო ჯანაშვილი.

ჩვენო სასიქადულო მსოფანო მგოსანო!

დღეს მთელი საქართველო ერთი გრძობით, ერთი მისწრაფებით გამსჭვალულა. მას სურს შეძლებისა და გვარათ.

პატივი სცეს, მაღლობა გადაუხადოს ერთ თავის სახელოვან მამულის შვილს, რომელმაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შესწირა მამულს, დიდი ღვაწლი დასდვა სამშობლო მწერლობის აღორძინებას. ეს ძვირფასი მამულის შვილი ბძანდებით თქვენ, საყვარელო რაფიელ!

ბედნიერი ხართ, რომ სიცოცხლეშივე გხვდათ წილათ მოისმინოთ თანამემამულეთა მაღლობა. ღღეს არ არის საქართველოში ისეთი კუთხე, სადაც თქვენი ხსენება არ იყოს, არ არის ისეთი ქართველი საქართველოში, თუ საზღვარ-გარეთ, რომ მაღლობას არ გიძღვნიდეს ამ ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის.

ბედნიერი ვარ, რომ მეძლევა შემთხვევა მოგილოცოთ თქვენი ორმოც-და-ათი წლის იუბილე. ვისურვებ, რომ თქვენი მოხუცებულობა დიდხანს მუდამ მყუდროთ და მშვიდათ გაატაროთ.

დავით ჩარკვიანი.

კორესპონდენცია

ქ. ბანჯა. ჩვენ, განჯისა და განჯის სადგურის მოხელე ქართველებმაც, შეძლებისა დაგვარად ვიდღესსწაუღეთ ჩვენი საყვარელი პოეტის თ. რაფიელ ერისთავის იუბილე. შეკითხეთ თუ არა, რომ პრეზინციებშიაც სდგება კომიტეტები, ჩვენც მაშინვე შეკუთვლით საქმეს, რომ ღირსეულათ შეესაბამებოდით საყვარელ პოეტის იუბილეს. 22 ოქტომბერს ნაწირვეს გადავიხადეთ პარაკლისი, რომელსაც დაესწრო თითქმის მთელი განჯის ქართველობა. პარაკლისის დაწყების წინ დეკ. მ. მძინარაშვილმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომლითაც დაუსურათა მსმენელთ თ. რაფიელ ერისთავი და მისი მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე.

«სასიხარულო შემთხვევაა ის, რისთვისაც იკენ შევიკრიბებით დღეს ამ წმიდა ეკლესიაში, იუბილეში!»

საგანი ამ სასიხარულო დღესასწაულისა არის ჩვენი დიდად პატივ-საცემული, ღვაწლით შემოსილი პოეტი თ. რაფ. ერისთავი. ვინ არ იცნობს ამ კაცს? ვისაც-გი რაიმე შეუსწავლია ამ ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში, კგონებ ამ სამშობლოს მოყვარულ ადამიანს ყველა ჩვენგანი იცნობს. დღეს 50 წელი შესრულდა, რაც ეს კაცი დაუღალავათ და უანგაროდ მუშაობს ქართულ მწერლობისათვის. ადვილი არ არის ამ დროში კაცი სრული ნახევარი საუკუნე ემსახუროს უბიწოთ და ერთგულათ სიძაღრთლესა და თავისს სამშობლოს, როგორც ჩვენი საყვარელი პოეტი რაფიელი. უმჯობესათ ამისთანა შემთხვევაში უნდა წინ უძღოდეს კაცს განგება დღითისა და ეწეოდეს მადლი და წყალობა მისი. სამოც-და-თერთმეტი წლის მოხუცი რაფიელ დღესაც კიდევ არ აძლივს მოსვენებას თავის მოხუცებისაგან დასუსტებულ მარჯვენასა და კვლავ აძდიდრებას ქართულ მწერლობასა თავისი მამულის შილებების სახელმძღვანელოთ. რაფიელს ქართული სამწერლო ქმნილებანი მრავალია და ქართული ხალხის აღზრდას მის წარმომდინარეობას და ღირსებას უმეტესათ შეესება და არ ვიცი, რომელი მათგანი ამ ყამად მის სახსოვრათ მოვიხსენიო. უმეტესათ ღირსია ყურადღებისა მისი „სამშობლო ხეკსურისა“ და ის ლექსები, რომელნიც შეესებიან გლეხ-კაცის ყოფა-მდგომარეობას. ეს ლექსები შეიცავენ ღრმა აზრებსა, შესანიშნავ გულისმამკერებელ მოძღვრებას და კაცთ-მოყვარეობის მოკვლეობის აღსრულებას აღუძრავენ ყოველ უგრძობულსაც, არამც-თუ გრძობიერს ქართველს. ჭეშმარიტათ სანატრელია ამისთანა კაცი ყველა ეროვნებაში. ნეტარება იმისთანა მომაკვდავს, რომელიც თავისი ღვაწლით და დაუღალავი ფიქრით და შრომით თავის თავს უკვდავ მოსახსენებლათ გაუხდის თავისს ერის შთამომავლობას. ვინ არ უნდა მიჰბადოს ამისთანა კაცსა, ვინ არ უნდა ნატრობდეს ამისთანა ქართველობას! წარმოიდგინეთ, რა დიდი ზნეობ-

რკიი სწავლა ისახვის თ. რაფიელის ლექსებში გლეხის შესახებ, რამელშიაც ის მარტაკს სიყვარულსა და სიბრაღულს თავის უმცროს მოძმისადმი,—ბედისაგან დაკვირვებულ და დამდაბლებულ გლეხისადმი—და აღუღო რძინებს კაცსა სურვილსა და მოკალეობას მისი აღდგინებისათვის. ლექსში: „სამშობლო სეკსურისა“ პოეტი უღვიძებს კაცს სამშობლოს ერთგულ მოკალეობას და სიყვარულს. უნდა გავწამდეკ, რომ დმერთს უყვარს ის სალსი, რომელსაც ამისთანა კაცებს გამოუჩენს, გაუზრდის და უცოცხლებს დიდსანს, რადგანაც ესენი შეადგენენ შთამომავლობისათვის დაუფასებელ საუნჯეს.

შეიძლება ეს კაცი ამ 50 წლის განმავლობაში, დაუღალავათ მშრომელი სამწროლო ასპარზე, აჩაკითარი ყურადღებისა და ჯილდოს დირსათ არა ჭრაცხდა თავის შრომას, მაგრამ დროებამ და კროკნულმა გრძნობამ დღეს თითონ დააფასეს ეს კაცი და მისი ღვაწლი. მთელი საქართველო დღეს შემოკრებილა და გულთ დღესასწაულობს იმის 50 წლის იუბილეს; ათას ნაირად ცდილობს საქართველო დირსი და ჭეშმარიტი მადლობა გამოუცხადოს თავის საყვარელ და დაუფასებელ პოეტსა. ამისათვის სხვა ქართველთა შორის ვთხოვოთ, ძმანო და დანო, მას, რათა ჩვენც გვიგულოს თავის დრმათ პატივის-მცემლათ. ჩვენც აქ, წინაშე ღვთისა, გარდავიხადოთ მისი სადღეგრძელო პატივისი, შევეკადრნეთ მის მოსასულე წმიდა ანგელოსს რაფიელს, რათა დაიცვას შემდეგისათვისაც მისი სიცოცხლე მრავალყამიერ“.

ამ თვის 22-საკე ქ. განჯის სადგურზედ გამართული იყო რაფიელის სასელობაზე ქართული წარმოდგენა, რომელზედაც, სხვათა შორის, წაიკითხეს იუბილარის სტენები და ლექსები: „ყანწი“ და „სამშობლო სეკსურისა“. წარმოდგენას სალსი ბლომათ დაესწრო ზალაში, სტენის წინ, ჩამოკიდებული იყო რაფიელის სურათი, ცხრველი ყვავილებით შემკული. მაგრამ მარტო ამში არ გამოხატულა პატივისცემა და სიყვარული პოეტისადმი. იმ დღესვე აქაურ-

მა ქართველობამ (როგორც თვით განჯისამ, ისე განჯის სადგურის-
სამ) რაფიელს გაუგზავნა ადრესი და სალიტერატურო ფონდს—
იუბილარის სასკელობაზე 100 მან. ქალებმაც გამართეს სკლის-მო-
წერა რაფიელის სასკელობაზე შემდგარ ფონდის სასარგებლოთ.

დასასრულად შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ სიხარულით ერთი გარემო-
ება: აქაურ ქართველ საზოგადოების წევრნი არაფერ ქართულ საქველ-
მოქმედო და საზოგადო საქმეში ერთმანეთს არ რჩებიან უკან და შემ-
წილობას უწივენ ერთმანეთს როგორც ნიეთიერთ, ისე უხეობრივად.

ვ. ჯაფარიძე.

ქუთაისი: 22 ოქტომბერს ქუთაისის სათავად-აზნაურთა სკო-
ლაში გადაიხადეს ჰარაკლისი თავ. რაფ. ერისთავის 50 წლის
მოღვაწეობისათვის. დეკ. რეგარეიშილმა, სანამ შეუდგებოდა ჰარაკ-
ლისის გადახდას, მიჰმართა საზოგადოებას მშვენიერი სიტყვით,
რომელშიც უკვლასათვის გასაკები ენით განუმატა როგორც მნი-
შნელობა იმ დღის დღისა, ისე მნიშვნელობა თვით იუბილარის
ღვაწლისა ჩვენი ცხოვრებისათვის.

შემდეგ ჰარაკლისის გარდახდისა, რომელზედაც სკოლის მო-
წაფენი ქართულად გალობდენ, მასწავლებელმა დათეშიძემ წაი-
კითხა ლექსი ბ. ხუნდაძისა (დროებით აღმასრულებელი ინსპექტო-
რის მოკვალეობისა). შემდეგ მოწათგებმა სხვა-და-სხვა კლასებისამ
წაიკითხეს თავისი წიგნების შესატერი ლექსები რაფიელისა, რომ-
ლითაც დიდი სიამოვნება გამოიწვიეს მოწივეულ საზოგადოებაში
და შიგა და შიგ ხანდაზმით მოწათგეთა ხორც გალობდა სხვა-და-
სხვა ქართულ საგალობელს. ეს ლიტერატურულ-სასიმილო დილა
გათავდა 2¹/₂ საათზე და საზოგადოება დაიშალა სრულიათ კმაყო-
ფილი.

ბ.

ახალქალაქიდან.

გთხოვთ გადასცეთ გულთაღი მილოცვა ჩვენს დიდებულ ზო-

ეტ იუბილარს, რაფიელს. მრავალყაშიერი იყოს მისი სამშობლო-
სათვის ძვირფასი სიღრცხლე. ჰარაკლისი გადვიხადეთ.

ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა .

ცხინვალიდან.

შინდისის საზოგადოების მცხოვრებნი ვდგესასწაულთხუთ ჩვე-
ნა სასულიერო პოეტის, რაფიელ ერისთავის იუბილეს დღეს. გად-
ვიხადეთ ჰარაკლისი მის სადღეგრძელოთ. სასოებითა და მოგონაღე-
ბით მუხლს ვიდრეკეთ „სამშობლო ხევისურის“ შემოქმედის წინა-
ღე. ასეთი პოეტის მშობელი ერთ არ მოისპობა. სამშობლოს საკე-
თილდღეოთ ღმერთმა დღეგრძელ გუოს, რაფიელ! იუბილარის ფონ-
დის სასარგებლოთ შემოწირულობა იგზავნება:

მამასახლისი მაჭავარიანი

ბ ა თ უ მ ი დ ა ნ .

შორიდან ჩვენც კუერთდებით ძვირფასი სამშობლოს საზოგა-
დო დღესასწაულს, რომელიც გამოწვეულია უსაყვარლესი პოეტ-მო-
სნის, რაფიელის ორმოცდაათი წლის იუბილეთი. მიიღეთ გრძნო-
ბა უგუფითადესი სიყვარულისა ჩვენგან, უმცროს ძმათგან, ბათუმის
ქართული ნოქრებისაგან. ღმერთმა მრავალყაშიერ განავრძოს თქვენი
ძვირფასი სიღრცხლე!

ბათუმის ქართველი ნოქრები.

ქ უ თ ა ნ ს ი დ ა ნ .

დღეს ქუთაისის სათავადაზნაურთ შოლამ ჰარაკლისი გადი-
ხადა რაფიელ ერისთავის ორმოცდაათი წლის მოღვაწეობის იუბი-
ლეს დღეს იუბილარის სადღეგრძელოთ და მის ჰარაკისაგანათ სა-
ღიბრესტურთ დილა გამართა. ვეკლა უგუფითადეს საღამოს მოგო-

ძღვნის, მსტოვანო ჰოეტო, სამშობლოსათვის უზატიოსნესო მოღვა-
წეა!
შვილის გამგე.

ჭ უ თ ა ი ს ი ღ ა ნ .

საყვარელო ჰოეტო! ჩვენგნითაც მიიღეთ გრძნობა აღტაცებუ-
ლი საყვარელისა თქვენდამი ქართველობისა და ქართული ჰოეზიისა
მრავალ მნიშვნელოვან დღეს, როცა თქვენს ორმოცდა ათი წლის
მოღვაწეობას კდღესასწაულობთ. „სესიას ოფიქისა“. „ბერუს
სამღურავისა“. „ხიზანის სამღურავისა“ „ლამის მესრისა“. „ნეტა
რას ტირი, დედილო“ — ს, „სამშობლო ხეკსურისა“ და ხაღსუ-
რი მუზის სხვა მარგალიტების აკტორის წინაშე კავრძლით. მთა-
კარ ანგელოზის საყდარში შეკრებილი მოხელენი კისლით ჰარავლისს
თქვენდა სადღეგრძელოთ.

ქუთაისის მოხელენი.

ჭ უ თ ა ი ს ი ღ ა ნ .

მოსწავლე ახალ გაზღობა მოგილოცავთ ორმოც-და-ათი წლის
საიუბლეო დღეს, გულითა და სულით გისურვებთ კარგათ მყოფ-
ობასა და დღეგრძელობას, რათა შეგძლებოდესთ განაგრძოთ სისა-
რგებლო და ნყოფიერი მოღვაწეობა სადიდებლათ საყვარელი სა-
მშობლოსა.

თ ი ო ნ ე თ ი ღ ა ნ .

მშობლიურ ლიტერატურის ასპირანტზე ორმოცდა ათი წლის
მოღვაწეობის გამო თ. რაფიელ ერისთავის სადღეგრძელოთ ჰარავ-
ლისი გადგინადეთ. იუბილარს მიუძღვნით ღრმა ჰატივის ტემას
სალიტერატურო მოღვაწეობისათვის და მას ჰარადლობისადმი სრულს
გულწრფელ საყვარულს.

თიონეთის საზოგადოება.

ქ უ თ ა ი ს ი ღ ა ნ .

ჩვენც ვუერთდებით გრძნობას მთელი ქართველობისას და თვის აღტაცებას და კრძალვას მიუძღვნით ავტორს „გიგლას ტიტინისას“ ქუთაისის სამეურნეო სკოლის მოწაფენი.

ს უ რ ა მ ი ღ ა ნ .

ვეერთდებით ქართველების საყოველთაო დღესასწაულს; მოგილოცავთ, მხტოვანო პოეტო, სამომხდელს წინაშე ორმოცდა ათი წლის პატიოსანი სამსახურს!

მესამე დასის სახელით მოგილოცავ ვლადიმერ დარჩიაშვილი

კ ა ს კ ი ღ ა ნ .

მაქვს ბედნიერება მოგილოცო პირდაპირ ჩემი მხრით და აგრეთვე როგორც წარმომადგენელმა ქვემო-ჭაქვას საზოგადოებას გლეხ-გატობისამ ორმოცდა ათი წელი მოღვაწეობისა თქვენ მიერ საყვარელი შობელი ხალხისა და მის ღიბურატურის სასარგებლოთ. გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ პოეტს!

მამასახლისი გენო ამილახვარი.

შარსი. ყარსის ქართველობამ ერთათ თავი მოიყარა ამ თვის 22-ს, რათა პატივი ეცათ თავის საყვარელ მგონისთვის. აქა ნახავდით დიდსაც და პატარასაც, მდიდარსაც და ღარიბსაც! მაგრამ, უნდა გენახათ, რა ნაირი სიამოვნება უქროდა ყველას პირზე; რა ძმური და მეგობრული ღიმილით ართმევდენ ერთმანეთს ხელს! აქ შეკრებილი ქართველობა წარმოადგენდა ძალათ მოპატიჟებულსა და მოწვეულ ხალს-კი არა, არამეთ დიდ ოჯახს. რომლის წევრებსაც გაგიყებით უყვართ ერთმანეთი, ერთმანეთის სიამოვნებას სცდილობენ და ერთი რაღაც სასიამოვნო აზრით არიან გამსჭვალულნი და გატაცებულნი!

„დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება“... მოვიდა ქართველობა და მათთან ერთად მათი საყვარელი მოძღვარიც მ. ზაქ. ლუკიანიშვილიც. ხელ-და-ხელ შემდგარ მგალობელთა გუნდის დახმარებით გარდახდილ იქმნა სადღეგრძელო პარაკლისი. მ. ზაქარიამ პარაკლისის დაწყებამდე წარმოსთქვა ჩვეულებრივის გრძნობით საესე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა-რა ღვაწლი ჩვენი მსცოვანი პოეტისა თავის ერისადმი.

პარაკლისს მოჰყვა ლიტერატურული საღამო, რომელზედაც წაკითხულ იქმნა განსაკუთრებით იუბილარის ნაწარმოებნი—სცენები და ლექსები. კიოხვაში მონაწილეობას იღებდენ როგორც ვაჟაკნი, ისე მანდილოსანნი. ყოველ ლექსს და სცენას მოჰყვებოდა ხოლმე ქართული სიმღერა. ცხრა საათიდან დაწყებული პირველამდ გასტანა კიოხვაჲ და სიმღერამ. ამას შემდეგ მანდილოსანთ გაშაღეს სუფრა და დაიწყო კედეც ხელის-მოწერა რაფიელის სახელობაზე დასაარსებელ ფონდის სასარგებლოთ და შეიკრიბა 64 მან.

ამას გარდა გვინდოდა 22 ოქტ. გვეთამაშნა რაფიელის პიესა „ბიძიასთან გამოხუმრება“ სამოქალაქო კლუბში, მაგრამ ხელი შეგვიშალა სომხურმა წარმოდგენამ, რომელიც სწორეთ ამ დღეს იყო დანიშნული, და ამისთვის გადავდეთ ათნოემბრისათვის. წარმოდგენიდან შემოსული და ხელის-მოწერით შეკრებილი ფული ერთათ გამოიგზავნება „ივერიის“ რედაქციაში თავის დროზე.

ერეკლე.

საჩხერა. დღეს, 22 ოქტომბერს, დ. საჩხერის და მის მახლობელ სოფლების მცხოვრებთაგან გაეგზავნა ტფილისში იუბილარს ძვირფას პოეტს რაფიელ ერისთავს მილოცვის ტელეგრამა და გარდახდილ იქმნა დ. საჩხერეში მის სადღეგრძელო.

რძელოთ პარაკლისი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო, როგორც თვით საჩხერელი, აგრეთვე სოფლებიანიც. პარაკლისის გათავებას შემდეგ თავადმა დავით როსტომის ძე წერეთელმა სთქვა შემდეგი:

„დღეს ვლდესასწაულობთ ჩვენ ქართველი ერი ორმოც და ათი წლის მოღვაწეობას პატივცემული მოხუცის თავად რაფიელ დავითის ძის ერისთავისას, რომელიც იმყოფება ამ ჟამათ ქალაქ ტფილისში, სადაც ყოველი კუთხილამ მისწრაფის მასთან დეპუტაციები და დეპეშები მილოცვისა და ვინ იქმნება ისეთი ქართველი, რომ არ თანაუგრძნობდეს მის გრძნობით საესე პოეზიას?“

არა თუ ახლა, ჩვენ დროში, არამედ ძველათაც, როდესაც ყოველი კუთხით მოსეულ მძვინვარე მტერს ხმლით იგერებდენ, ქართველნი მაშინაც თაყვანსა-სცემდენ კალამს, აფასებდენ და უპირატესობას აძლევდენ კალმის ხელში მპყრობელს, გრძნობით საესე წინამძღვარს, რომელიც მელნათ თავის ნაღველს ხმარობდა და დღეს, რასაკვირველია, როდესაც მახვილმა განისვენა და დროთა ვითარება შეიცვალა-დღევანდელმა იუბილარმა თავის წინაპართ ერთა წინამძღომელთ დიდებულთ არაგვის ერისთავთა მახვილი დროთა მოთხოვნილებებისამებრ კალმათ შესცვალა და ომობს სულიერათ ნსწლის განმავლობაში. დღეს არის მისი მოღვაწეობის იუბილე, და ჩვენც საჩხერეს და მის მიდამოს მყოფნი ვლდესასწაულობთ და ვავედრით უფალს—რათა განამრავლოს დღენი მისნი და აკრეთვე მისი მზგავსნი მოღვაწენი—მშრომელნი ქართველნი მამულის-შვილნი“.

ყარამან ჩხეიძე.

იუბილარმა მიიღო ამასთან მრავალი მისალმონი ტელეგრამა, ორიოდე აქ მოგვყავს სანიმუშოთ:

1 ოლთისიდან. კვალს. დიდად მაწუხებს, რომ გერ კესწრე-

ბი ამ საერო დღესასწაულს და არ შემიძლია პირდაპირ მივუღო. რა მხცოვან იუბილარს ხალხის გულში დაფარულ გრძობათა და იმის ჭიჭ-ვარძის გამოძახებულს. გაუმარჯოს ქართული პოეზიის ძამათ-მთავარს, რომელმაც გვასწავლა სამშობლოს სიუკარული და ჩაგრულისადმი თანაგრძნობა.

დუტუ მეგრული.

2 ყვირილიდან. რ. მ-ს. საღამოს გიძღვრით ამ ღირს-შესა-ნიშნავ დღეს 50-წლის უნგარო სალიტერატურო მოღვაწეობისათვის. ღმერთსა ვსთხოვ გამრავლდეს საქართველოში თქვენისთანა პატიოსანი მოღვაწეები. იცოცხლეთ მრავალსა წელსა.

„მწყემსის“ რედაქტორი დევანოზი ლაბაშიძე.

3 ჭუთაისიდან. რ. მ-რ. როგორც ძველი ჭუთაისის წარ-მომადგენელი და იუბილარისათვის იმავე სიუკმიდგანზე ტკბილად მოსაგონებელი სამეგრელოს შვილი, გიძღვრით უგულისათადეს მო-ლოცვას და ვისურვებ თქვენთვის ხანგრძლივ სიცოცხლეს სამშობ-ლო სიტყვიერების სისარგებლოდ.

ჭუთაისის ქალაქის თავი ლოლუა.

4 ოზურგეთიდან რ. მ-ს. დღეს შესრულდა სწორედ ნახევარი საუკუნე მას შემდეგ, რაც თქვენი პოეზიის პირველმა ნაყოფ-მა დაუტკბო სმენა ჩვენს ტვირთ-მძიძე და მსშერალ ხალხს. ორ-მოც-და-ათის წლის განმავლობაში თქვენ უნგროდ და პატიოსნად ემსახურებოდით ხალხს და სამშობლოს. თქვენ შეიყვარეთ მდაბიო ხალხი, დაგვიხატეთ მისი მწარე ხეივანი და ვით დაიდგით ჩვენ გულში საუკუნო ძეგლი. თქვენი დიდება არ გაქრება და ძეგლი თქვენი არ აღიგებება დედა-მიწიდან, ვიდრე ქართველობა არსებობს ქვეყანაზე. შესანიშნავ დღეს, ქალაქი ოზურგეთი თქვენთვის და

ქართულ დღისათვის ჰარაკლისს ისდის და შესთხოვს უზენაესს, რათა განაგრძოს თქვენი ძვირფასი სიტყვებზე მრავალს წყლას:

ქ. ოზურგეთის დეპუტატები: სპირდონ მენაბდე, კვაჭაძე.

5 **ოღენიდან.** „ივერიას“. გთხოვთ გადასცეთ ძვირფასი იუბილარს ჩვენი უღრმესი ჰატივისტება, კისურვებით ამისთვის ხანგრძლივ სიტყვებზე: სამშობლო ლიტერატურის საკეთილ-დღეობთ. პროფესორები პეტრიაშვილი და მელიქიშვილი.

6 **პოლტავიდან.** რაფიელს მოგილოცავთ რამოც-და-ათი წლის სალიტერატურო მოღვაწეობას, კისურვებთ თქვენთვის სიმსხესა და ჯან-მრთელობას შრომის განსაგრძნობად.

თავადი მიხეილ ერისთავი.

7 **ფოთიდან.** რაფიელს. მრავალ მხრივ ნაყოფიერი თქვენი მოღვაწეობა სამშობლო სარბიელზე შეადგენს ჩვენ სასელს, ჩვენ დიდებას ჰირადად მე არ დამავიწყდება თქვენი მზრუნველობა საეკლესიო ადგილ-მამულების შესახებ სამეგრელოში. სულით და გულით ეუერთდები იუბილეს მოდელსასწაულს და შეკავადრებ ზენას, რათა განაგრძოს დღენი ჩემი ძვირფასი მეგობრისა სამშობლო ლიტერატურის სასახლოდ.

გრია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ.

8 **გორიდან.** რაფიელს. მოგიძღვნით გულითადად ჰატივისტებას და მოგილოცავთ საიუბილეო დღესასწაულს, კისურვებთ თქვენთვის დღეგლძრეობას სამშობლო ლიტერატურის სასახლოდ.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა.

9 **ირაკლიდან.** „ივერიას“. კეკელებით ჩვენის თანამეამუ-

ლის პროტის რაფიელ ერისთავის ორმოც-და-ათის წლის ნაყოფი-
ერ მოღვაწეობის იუბილეს. ირკუტსკში მცხოვრებმა ქართველებმა
პარაკლისი გადავიხადეთ ორს ტაძარში. დამსწრეთა შორის იყვნენ
ადგილობრივი მწერლობის წარმომადგენლები, რედაქტორი „კოს-
ტოჩ. ობოზ“. პოპოვი, სტატსკი სოკოტნიკი ბრუგინი და სსკ.
დეკანოზმა აკადემიკოსმა შაფრანოვმა წარმოსთქვა სიტუკა და გა-
მოსთქვა სურვილი, რომ კარგი იქნებოდა ირკუტსკში მცხოვრებ
ქართველებს ჭქონდეთ თავიანთი ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვას
ქართულს ენაზედ ასრულებდნენ. ეთხოვთ რედაქციას გადასცეს
პატრიარქმულს იუბილეს ჩვენი მოლოცვა. ვისურვებთ, რომ ძვირ-
ფას პროტს კიდევ დადსანს ხელთ-ეპყრას სალიტერატურო დროშა.
მერკვილაძე.

10 **ჟუთაიხიდან.** „იკერიას“. ამ დიკს-შესანიშნავ დღეს თქვე-
ნი სალიტერატურო და სამეცნიერო ნაყოფიერი მოღვაწეობის ორ-
მოც-და-ათი წლის იუბილეს გამო ნება მომეცით ჩემის მხრითაც
გამოგიჩხადეთ გუჯითადი და წრფელი პატივისცემა. ვისურვებ
თქვენთვის ჭან-მრთელობას და კეთილ-დღეობას სამშობლო მწერ-
ლობის სასარგებლოდ.

კირილე ლორთქიფანიძე.

11 **თილავიდან.** რაფიელს. შეზობელო, სამწუხაროდ არ
შემეძლო შირადად დავსწრებოდი თქვენს იუბილეს დღესასწაულს,
თქვავის მაზრის თავად-აზნაურნი გალოცავენ ორმოც-და-ათის წლის
მოღვაწეობას და გისურვებენ დღეგრძელობას სამშობლო ლიტერა-
ტურის სასარგებლოდ.

თვად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მაყაშვილი.

12 **გორიდან.** რაფიელს. გორის მაზრის თავად-აზნაურნი სი-
ხარულითა და უღრმესის პატივის ცემით ეგებებიან ნახევარ საუ-

გუნის განმავლობაში სალიტერატურო საზოგადოებას თქვენი მოღვაწეობის იუბილეს.

გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სულხანიშვილი.

13 ოზურგეთიდან. რაჭიელს. სოფელ აკეთის მკვიდრნი შეეკრებენით სასალხო წიგნთ-საცავში ჰანაკლისის გადასასადათ. ვეკედრებით ღმერთს, რათა განაგრძოს დღენი სათაუჯანებელი მკობნის რაფიელისა. მდაბიო ხალხმა ამ დღესასწაულის გამართვაში გულ-წრთელი მონაწილეობა მიიღო: გადასწევიტა დაწარსო სსსი-ჭადულა მწერლის სახელობაზე ჰურის მღაზია, შეუძლებელ მოსწავლეთა დასასმარებლათ. ამგვარი მონაწილეობა გლეხობისა გვიმტიტვიტებს რომ ღრმად პატივცემული იუბილარი არის ჭეშმარიტი გამომხატველი ჩვენი დანაგრული მოძმეების ჭირ კარამისა. შორიდან სიამაყით შემოგვსარით ქართველობისათვის ამ დიდებულ დღეს. საყვარელო, მკობსანო, კაცობრული აზრების ჩვენს გულში ჩამხერგაო, იტოცსდე, მრავალ-ყამიერ ჩვენდა სადიდებლად და შეუბრძოლე გლეხკაცობის მხატვრულ ძალას.

გასია, თავდგირიძის ასული. მღვდელი წულაძე, მამასახლისი წითლიძე.

14 სიღნაღიდან. რაჭიელს. მიიღეთ სიღნაღის თავად-აზნაურობისაგან და ჩემგან მოლოცვა ორმოც-და-ათი წლის სალიტერატურო მოღვაწეობის გამო. სამწუხაროდ, აკათყოფობამ არ შემაძლებინა პირადათ მომელოცა თქვენთვის.

ქ. სიღნაღის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ივანე ანდრონიკაშვილი.

15 ქუთაისიდან. რაჭიელს. მოგილოცავთ თქვენ, ძვირფასო მკობსანო, საიუბილეო დღესასწაულს, ვისურვებთ თქვენთვის მრავალ-ყამიერ მუშაობას ჩვენი ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სვიმონ წერეთელი.

დ. ოაშში. 22 ოქტომბერს დაბა ოჭუძის ხარების ეკკლესიაში იქმნა გადახდილი პარაკლისი ბლადოჩინ ოლანუ ჩხენკელისაგან ჩვენი მხროვანი პოეტის რაფიელ ერისთავის სასჯელზე. მით უფრო საგულისხმოა ეს გარემოება, რომ სამურზაყანოში, სადაც იშვიათად თუ მოიპოვება საერთო გულ-შემატკივარი ადამიანი, იმინს თავა საზოგადოებაში საერთო სურვილია, რომ მიეკედლონ თავიანთ მოძიეო ყოველ თავალ-საჩინო საქმეში. ხალხი იმდენი შეგროვდა, რომ ტყა არ იყო ეკკლესიაში. მ. ბლადოჩინმა აუხსნა საზოგადოებას რაფიელის მნიშვნელობა ქართველ ერისთავის და მასთან აუწყა მისი მოკლე ბიოგრაფია.

ასკანა. 22 ოქტომბერს გადავიხადეთ პარაკლისი რაფიელ ერისთავის საიუბილეო დღესასწაულისა ადგილობრივი ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლების და მოსწავლეთა თანდასწრებით. ხალხი ბლომით დაესწრო.

ასკანის მამასახლისი მკვიშვილი.

დ. სუჯუნა. (სამეგრელო): 22 ოქტომბერს, სუჯუნის წმიდის გიორგის ეკკლესიაში მამა დეკანოზმა თეოდორე სომტარამ წირვის შემდეგ გადაიხადა პარაკლისი ჩვენი ღრმად პატივცემულის პოეტის რაფიელ ერისთავის სადღეგრძელოდ.

ახალციხე. 22 ამ თვეს წმიდა მარინეს ეკკლესიაში, 12 საათზედ, შეგროვდა ხალხი პარაკლისზედ დასასწრებლად. პარაკლისის წინა დეკანოზმა დიმიტრი ხახუტაშვილმა წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით საკსე სიტყვა და სხვა ძღველებთან ერთად გარდაიხადა პარაკლისი რაფიელის სადღეგრძელოდ მრავალ ყამიერით. პარაკლისის შემდეგ ხალხი შეგროვდა აჭაურს სახალხო სამკითხველოში, რომელიც „წერაკითხვის საზოგადოებამ“ დაარსა აჭაურ ქართველობათვის. იქ ჯერ სიტყვა სთქვა ცნობილმა ვინმე მესხმა,

მამა იოანე გვარამაძემ. ამის შემდეგ რაფიელის რჩეული ლექსები წაიკითხეს ადგილობრივ საქველ-მოქმედო საზოგადოების დედათა სკოლის მოწაფეებმა. ამის შემდეგ ნასიამოვნები ხალხი დაიშალა.

დ. ოჭუში. სამშხატოს, 24 ოქტომბერს, ჩვენის საყვარელი ჰოეტის თ. რაფელ კრისტავის სადღეგრძელოდ გარდაიხადეს დ. ოჭუშის ეკლესიაში პანაკლისი. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

დაბლა საძარა. კვირას ოც-და-ოცს ოქტომბერს, წირვის შემდეგ, ადგილობრივმა მღვდელმა ფილიმონ ბარბაქაძემ მოკლეთ გაცნო საზოგადოებას ჩვენი საყვარელი მწერალი, თავადი რაფიელ კრისტავი, და აგრეთვე მისი შრომა და ღვაწლი, რომელიც მიუძღვის მას საზოგადოებისადმი. ამის შემდეგ გადსდილ იქნა პანაკლისი. საზოგადოებამ დიდი სიამოვნებით მოისმინა მამა ფილიმონის სიტყვები და გულთაძი მადლობა შეწირეს მას, რასაკვირველია, თავადის გაცნობისათვის და აგრეთვე პანაკლისის გადსდისათვის, ამასთანავე აღუთქვეს მცირეოდენი შემწეობა საყვარელის თავადის სახელობაზე.

16. დორაბატიდან. „ივერიას“. სულითა და გულით ვულოცავთ მსტოკან იუბილარს დღესასწაულს. გაგვიძეს ბერო მინდაიკ!..
ქართველი სტუდენტები.

17. ხარკოვდან. „ივერიას“. ჩვენო მსტოკანო მგოსანო! მოგილოცავთ რა პირველათ მოკვლეობის ახსრულებას სამშობლოს წინაშე, კისურვებთ თქვენი სიტყვა კვლავაც მძლავრათ განისმოდეს კიდევან კიდემდე სამშობლოს ასაყვავებლათ.

ხარკოვის ქართველი სტუდენტები.

18. ოღესიდან. „ივერიას“. სულით და გულით ვაღვსასწაუ-

ლობთ საყვარელი მსტოკანი ჰოეტის იუბილეს. ვსთხოვთ ჩვენს ნაამხანაგრებს ღასხაშვიდს და კიტა აბაშიძეს ჩვენი წარმომადგენლობა იკასრონ დღესასწაულზე.

ოდესის ქართველები.

19. **კიმვიდან.** „ივერიას“. ამ დიდად მნიშვნელოვნ დღეს თქვენი ორმოც-და-ათი წლის და დაუღალავი ნაყოფიერი შრომისას ჩვენი ახლათ აღორძინებულ ლიტერატურის სარბიელზე, ჩვენც მადლიერნი თანამემამულენი ხმას გაწვდენთ აქედან გულწრფელად საერთო მოლოცვას. ღმერთმა განაგრძოს მრავალ-ყაშიერ ძვირფასი სიტოცხლე ჩვენი რაფიელისა, რომელაც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ხელოვნების საშუალებით გვინერგავდა გულში სამშობლო-სადმი საყვარულის ძალა და წმინდა გრძნობას.

კიევის ქართველი სტუდენტები.

20. **ტომსკიდან.** „ივერიას“. ჰატიოსახო მშრომლო და მსტოკანო მგოსანო, გაუმარჯოს შენს კალამს.

21. **კახიდან.** რაფიელს. კახის საზოგადოებამ აუარებელი ხალხის თანდასწრებით ჰარაკლისი გადვიხადეთ თქვენი ორმოც-და-ათი წლის სალიტერატურო მოღვაწეობის გამო. გულწრფელათ მოგილოცავთ ამ დღესასწაულს და ვასურვებთ თქვენი შრომის განგრძობას ძვირფასი ლიტერატურის საკეთილდღეოთ. მრავალ-ყაშიერ!

კახის მკვიდრნი.

22. **იალტიდან.** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.“ საღამს ვუძღვნით ჩვენს მსტოკანს საყვარელს ჰოეტს. მოხარული ვართ, რომ მოკვსწართ ამ სასიხარულო და მთელი საქართველოსათვის დიად დღეს, ორმოც-და-ათი წლის სალიტერატურო მო-

დგაწეობისას. შორიდან გუერთდებით საერთო მილოცვას და სად-
დეგძელოებას. ღმერთმა გაცოცხლოთ.

ნიკიტის მევენახეობის და მებაღეობის სასწავლებელის მოსწავლენი.

23. **პეტიტორილიდან.** „იგერიას“. ღრმად ჰატიგეგმულო რა-
ფიელ! ჩვენ ჰეტიტორული ქართველი სტუდენტები სუფით და
გუფით მოგილოცავთ თქვენი რამოც-და-ათი წლის საიუბილეო
დღესასწაულს. თქვენი „სამშობლო სეკსურისა“ და „დედა-ენა“
ყოველთვის აგვაფრთოვანებენ ხოლმე და გვაგონებენ ჩვენ მოკალეა-
ბას სამშობლოსადმი. რამოდენიმე მოღვაწესთან ერთად თქვენ სათა-
ვეში იდეგით ჩვენი ცხოვრების განახლების დროს. თქვენ ეცადეთ
ეკროპიულ გუფტურის შეთვისების გზაზე დაგეგენებინათ ჩვენი სა-
ზოგადოება და მოგემზადებინათ ნიადაგი საერო თვით-ცნობიერე-
ბისა. ღრმა ჰატიგისტემა და სხელი თქვენი სამუდამო წაუშლელო
დარჩება ჩვენ გუფში.

ქართველი სტუდენტები.

894.63.09

6 159

3060 25 303.